ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი · შაბათი 5 მაისი 2001 №81 (1354) · ფასი 50 თეთრი

# პასიანსი

## ფედერალური დაზვერვა საქმეზე გადის



ბოლო კოლხეთი — ლოკომოტივი 2:0. გიორგი ლომაია (№1), ლაშა სალუქვაძე და აქვსენტი გილაური კარს გელა ფანჩულიძისგან იცავენ

მოდი, ვიმარჩიელოთ: მეორე ეტაპის მეშვიდე ტურის დღეს გასამართი ექვსი თამაშიდან რომელი შეიძლება იყოს გარიგებულ-ჩაწყობილი? ეგ რამ გაფიქრებინათო, შემოგვედავება მავანი. რამ და, სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას გუშინწინდელმა ნათქვამმა საგანგებო კომიტეტის სხდომაზე: ჩვენი ინფორმაციით, რამდენიმე მატჩის ჩაწყობაცაა მოსალოდნელიო — ჯაშუშ-ინფორმატორები რომ ფედერალებისთვის პატიოსნად მუშაობენ, ეს საქვეყნოდ სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ თქვა.

ჰოდა, მოდი, მართლა ვიმარჩიელოთ: 5000 ლარით ჯიბეშეთხელებული და სამქულადაკლებული „მერანი" ჩემპიონობის მადაზე მოსულ „დინამოს" ნაღდად არ გაურიგდება, არც „საგანგებოსგან" დასჯილი ფოთელები ჩამოყრიან ყურებს „ლოკომოტივთან", „ტორპედოს" და „ვიტ ჯორჯიას" კი ქულები ისე სჭირდებათ, შეიძლება ერთმანეთს ხელი სულაც არ ჩამოართვან.

ქვეექვსეულში კი ასეთი ვითარებაა: „იბერია" უკვე პირველლიგელია და შესაძლოა, ბოლნისში თავი არ მოიკლას, მაგრამ „სიონი" არასპორტულ საქციელში უკვე შემჩნეულია და თავს აღარ გაიფუჭებს. „გორდა", „დილა" და თსუ კი უმაღლესიდან გავარდნის კანდიდატები არიან და სამი ქულა ჰაერივით სჭირდებათ.

აჰა, ვიმარჩიელეთ და რა გამოვიდა? დღეს საქართველოს ექვს სტადიონზე უშელავათო, ჯიგრიანი ფეხბურთი იქნება, მაგრამ... ძალიან გაუტიესო, ხომ არ იფიქრეთ? ამ ჩვენი ჩემპიონატის შემყურეთ ჩვენგან არც ეს გაგიკვირდეთ...

იხილეთ მესამე გვერდი

საქართველოს ჩემპიონატი · უმაღლესი ლიგა · მეორე ეტაპი

## 7 ტური

### I-VI ადგილები

5 მაისი, შაბათი

ტორპედო
ვიტ ჯორჯია

დინამო
მერანი

ლოკომოტივი
კოლხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 37 |
| ლოკომოტივი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 33 |
| დინამო | 6 | 1 | 4 | 1 | 7:7 | 31 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 29 |
| კოლხეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:10 | 22 |
| მერანი | 6 | 1 | 2 | 3 | 1:7 | 18 |

„მერან" — „კოლხეთის" მონაწილეებს ჩაეთვალათ წაგება 0:3 და ჩამოაკლდათ 3-3 ქულა, „კოლხეთს" სწორედ გარიგებულ მატჩში (2:4) მოპოვებული

### VII-XII ადგილები

5 მაისი, შაბათი

გორდა
ბათუმი

სიონი
იბერია

დილა
თსუ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:2 | 25 |
| სიონი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 21 |
| თსუ | 6 | 3 | 0 | 3 | 7:10 | 19 |
| გორდა | 6 | 3 | 0 | 3 | 8:9 | 18 |
| დილა | 6 | 2 | 1 | 3 | 9:6 | 16 |
| იბერია | 6 | 0 | 1 | 5 | 5:18 | 3 |

„გორდა" — „სიონის" მონაწილეებს ჩაეთვალათ წაგება 0:3 და ჩამოაკლდათ 3-3 ქულა, „გორდას" სწორედ გარიგებულ მატჩში (3:2) მოპოვებული



მწვრთნელ ზურაბ ტომარაძეს მეოთხედ გაჰყავს ფინალში გუნდი, ბოლო ორი წელია — „ბასკო"

საქართველოს ჩემპიონატი

# ბასკო თუ სტუ?

## ორშაბათიდან, ორ მოგებამდე

საქართველოს ჩემპიონი „ბასკო" ტრადიციული ფინალისტის, „აზოტის" მძლეველ სტუდენტებს გამოსცდის

იხილეთ მეათე გვერდი



„სტუ-ჯეოსელის" მთავარი მწვრთნელი ნუგზარ ჯეიშვილი (მარცხნივ), მისი თანაშემწე ნიკო ჩერქეზიშვილი და მათი გუნდი ფინალის დებიუტანტები არიან

# ტორპედო ნახევარი ნაკრებია
## 9 მაისს 9 ქუთაისელით

9 მაისს ქუთაისში საქართველოს ნაკრები მხოლოდ ერთი, ისიც ჭაბუკი ლეგიონერით აზერბაიჯანელებს ამხანაგურად დაუპირისპირდება. ძოძუაშვილმა და ყიფიანმა მეზობლებთან სათამაშოდ ნაკრებში უმთავრესად „ტორპედოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელებს უხმეს, თითოს „ლოკომოტივიდან“, „დინამოდან“ და რუსეთის „როსტსელმაშიდან“. სულ კი მწვრთნელთა სიაში 18 ფეხბურთელია;

*მეკარეები: ირაკლი ზოიძე („ტორპედო“), დავით ხმელიძე („როსტსელმაში“, რუსეთი);*

*მცველები: რევაზ ქემოკლიძე, ვალერი აბრამიძე, გივი დიდავა, სევასტი თოდუა, ლევან სილაგაძე (ყველა „ტორპედო“), გიორგი შაშიაშვილი („დინამო“), ედიკ საჯაია, გიორგი ჭანკოტაძე (ორივე „ვიტ ჯორჯია“);*

*ნახევარმცველები: ალექსანდრე გოგობერიშვილი, ლაშა ნოზაძე, გიორგი ყიფიანი (ყველა „ვიტ ჯორჯია“), კახა გოგიჩაიშვილი („ლოკომოტივი“), ვალტერ გუჩუა („ტორპედო“);*

*თავდამსხმელები: მიხეილ აშვეთია, ზურაბ იონანიძე (ორივე „ტორპედო“), ლევან მელქაძე („ვიტ ჯორჯია“).*

აზერბაიჯანის ნაკრები, როგორც იქაურმა კოლეგამ გვითხრა, ქუთაისს თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ესტუმრება. მეზობელთა მწვრთნელის თქმით, ქართველებთან თამაში მისი გუნდისთვის სასარგებლო იქნება და შესარჩევი მატჩებისთვის უკეთ მოსამზადებლად გამოადგება.

საკითხავი ისაა, რას ფიქრობენ საქართველოს ნაკრების მწვრთნელები, მათთვის რა დანიშნულება აქვს აზერბაიჯანელებთან თამაშს. თუმცა კი ადრე თქვეს, უბრალოდ, მეზობლების ვალი გვაქვს, გვთხოვეს, 9 მაისს ვითამაშოთო და ჩვენც დავთანხმდით, ოღონდ კლუბების ნაკრებით დავუპირისპირდებითო. მატჩი ქუთაისში, „ტორპედოს“ სტადიონზე, 18 საათზე დაიწყება.

**ლუკა თალაკვაძე**

# ლატვიელებს ძოძუაშვილი გაახსენდათ
## მწვრთნელები პრეზიდენტს ქართველის დაბრუნებას სთხოვენ



რევაზ ძოძუაშვილი

**ლატვიის** ნაკრების ინგლისელ მწვრთნელ გარი ჯონსონს, რომელმაც რიგაში სან მარინოსთან ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ, ჩვენს იქაურ კოლეგა ასკოლდს ულდრიკისს ხელი გაარტყა და მერე საქმე საბოლოოდ გაუხდა, 10 მაისს, ალბათ, თანამდებობიდან გაათავისუფლებენ.

გუშინ ლატვიის ფეხბურთის ფედერაციაში ლატვიელ მწვრთნელთა საბჭო შეიკრიბა, ჯონსონს მუშაობა ხომ დაუწუნა და ერთი-ორი მწარე სიტყვაც უთხრა, სან მარინოსთან თამაში შენ წააგე და ჟურნალისტს რას ერჩოდი, მასზე ხელი როგორ ასწიეო. მართალია, ჯონსონი თანამდებობიდან ოფიციალურად ჯერ არ მოუხსნიათ, მაგრამ ამ საქმეს ბევრიც არაფერი აკლია.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ლატვიის ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთ ყველაზე სასურველ კანდიდატად რევაზ ძოძუაშვილს ასახელებენ. მწვრთნელთა საბჭოს შეკრებაზე, რომელსაც ჟურნალისტებიც დაასწრეს, ძოძუაშვილის ლატვიაში დაბრუნებაზე თურმე ბევრი ულაპარაკიათ და ფედერაციის პრეზიდენტ გიუნტის ინდრიკსონისთვის უთხოვიათ, ეგებ ისეთი პირობები შევთავაზოთ ქართველ მწვრთნელს, საქართველოდან გადმოიბიროთო. პრეზიდენტი კი თურმე ამ თემაზე ლაპარაკისგან ჯერჯერობით თავს იკავებს და მაინცდამაინც არც ჯონსონის განთავისუფლება სურს. ასკოლდს ულდრიკისის თქმით, ლატვიის ნაკრებმა თავის საუკეთესო მატჩები სწორედ ძოძუაშვილის ხელმძღვანელობით ჩაატარა — ათენში, როცა ბალტიისპირელებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ბერძნები დაამარცხეს და 1998 წელს, ბრაზილიაში, უძლიერესი შემადგენლობით მოთამაშე მასპინძლებთან ამხანაგური თამაში 0:3 წააგეს. სხვათა შორის, ბოლოს რევაზ ძოძუაშვილის ხელმძღვანელობით სწორედ ბრაზილიაში ითამაშა ლატვიის ნაკრებმა.

**კობა ინასარიძე**


# იყიდება!
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29



ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)


*თუ რამ კარგი იყო იოჰან ბოსკამპის ხანმოკლე ეპოქაში, უპირველესად ის რომ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი დაწინაურდა. ორი წლის წინ გიორგი შაშიაშვილი ჰოლანდიელმა თსუ-დან „დინამოში“ გადაიყვანა. ბევრს გაუკვირდა მაშინ ბოსკამპის ეს გადაწყვეტილება, ახლა კი შაშიაშვილი „დინამოს“ დაცვის ბურჯია და 9 მაისს აზერბაიჯანელებთან მატჩისთვის ეროვნულ ნაკრებშიც კი გამოიძახეს.*

# გიორგი შაშიაშვილი: ჯერ დინამო და საქართველო
## სწორედით ხაზზე და შეუტიეთ

— ბოსკამპთან მართლაც კარგი ურთიერთობა მქონდა. „დინამოში“ ყიფიანის მთავარი მწვრთნელობის დროსაც მითამაშია. ბოსკამპმა კი საშუალება მომცა, ევროტურნირზეც მომესინჯა ძალა — შარშანწინ ხომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისში „ზიმბრუს“ წინააღმდეგ ვითამაშე.

**— რაც, ალბათ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო შენთვის...**

— რა თქმა უნდა. კარგ ფორმაში ვიყავი და ასეთი ნდობის გამოცხადებამ საკუთარ ძალებში დამარწმუნა.

**— „დინამოში“ ოთარ კორღალიძის მოსვლით შენთან დამოკიდებულება შეიცვალა?**

— კორღალიძე სისტემატურად არ მაყენებდა ძირითადში, მაგრამ გადამწყვეტ მატჩებში მათამაშა და ვერ ვიტყვი, რომ არ მენდობოდა.

**— რევაზ არველაძემ კი ბევრი სიახლე შემოიტანა „დინამოში“. პირველ რიგში ის, რომ გუნდი ხაზზე განლაგებული სამკაციანი დაცვით ათამაშა. ალბათ, ერთობ გაგიჭირდათ კიდეც მცველებს ამ დავალების შესრულება.**

— გაგვიჭირდა, რადგან ჩვენთვის ეს სიახლე იყო. შედეგსაც ეტყობოდა — რამდენიმე მატჩი დიდი ანგარიშით წავაგეთ, მაგრამ არველაძემ აქცენტი შემტევ ფეხბურთზე გააკეთა. თითქმის მთელი ევროპაც ასე თამაშობს — სამი მცველით და შემტევი ფეხბურთით.

**— ასეთი განლაგებით თამაში „დინამოს“ უპირატესობას ანიჭებს?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ ზედმიწევნით შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ და ხაზზე განლაგებული სამი მცველიც ამისთვისაა. თუმცა ეს საკმაოდ რთულია. მაგალითად, როცა თამაშგარე სიტუაცია იქმნება, ორივე საყრდენმა ნახევარმცველმა უნდა დაგაზღვიოს, თუ არადა, მეტოქე საქმეს მოგითავებს. გვიჭირს დიაგონალური დაზღვევაც, რაც „ტორპედოსთან“ მატჩშიც გამოჩნდა. ასეთ დროს კარგი ფლანგური ნახევარმცველები უნდა იყოს გუნდში და „დინამოს“ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე აქვს — სახვაძე და ბურდული ჩინებულად ირჯებიან.

**— სეზონის დასაწყისში დაცვაში შენს მხარდამხარ რევაზ ქემოკლიძე და ირაკლი ვაშაკიძე თამაშობდნენ, ახლა კი რამაზ სვანაძე და ილია კანდელაკი. პირადად შენზე როგორ იმოქმედე პარტნიორთა შეცვლამ?**

— ქემოკლიძე და ვაშაკიძე უფრო გამოცდილები არიან, თუმცა ახალ თანაგუნდელებთანაც კარგად შევეწყვე. თავიდან კი გაგვიჭირდა, მაგრამ... ისე, სამი მცველით თამაში არც ახლაა იოლი.

**— გასაგებია, მაგრამ ახლა, ფაქტობრივად, „დინამოს“ დაცვის ლიდერი ხარ...**

— დაცვაში, ისევე როგორც ყველა დანარჩენ რგოლში, ლიდერი აუცილებელია. ხოლო ვარ თუ არა მე „დინამოს“ დაცვის ბურჯი, ეს გულშემატკივრებმა უნდა განსაჯონ. თუმცა ცხადია, ახლა უფრო მეტი პასუხისმგებლობა მაკისრია.

**— როგორც უნდა იყოს, გიორგი შაშიაშვილის პროგრესი აშკარაა — ეროვნულ ნაკრებშიც კი გამოგიძახეს. მაგრამ წინსვლა და, ცხადია, ალბათ კიდევ გჭირდებათ. როგორ ფიქრობ, ამისთვის ამ ეტაპზე „დინამოში“ დარჩენა უფრო წაგადგება თუ უცხოეთში წასვლა?**

— ეროვნულ ნაკრებში გამოძახებით, რა თქმა უნდა, ძალიან გახარებული ვარ. „დინამოდან“ ჩემი წასვლა-არწასვლა კლუბის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია. მე კი ვფიქრობ, რომ ჯერ „დინამოში“ და საქართველოს ჩემპიონატში კიდევ უფრო კარგად უნდა გამოვჩნდე — ასე აჯობებს.

— ბარემ ახალგაზრდულ [illegible]ზეც ვთქვათ. გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი ვახტანგ [illegible] კარგი თვალით გიყურებს [illegible] იმედია, სხვანაირად ითამაშებს.

— თუ გუნდში ისევ მიმიწვევენ, ყველაფერს გავიღებ. შევეცდებით, თავი აღარ შევირცხვინოთ, ავმაღლდეთ გულშემატკივრების თვალში მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად მიზერული შანსებიღა დაგვრჩა.

**— ბოსკამპის დროს მარჯვენა ფლანგზე თამაშობდი, მერე კი ცენტრში და მარცხნივაც მოგიწია. თავად რომელ პოზიციაზე გირჩევნია თამაში?**

— უფრო ცენტრალური მცველი ვარ, თუმცა გუნდს სადაც უჭირს, იქ მათამაშებენ. პოზიციის შეცვლა გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე ხდება.

**— ინდივიდუალურად თუ ვარჯიშობ?**

— როგორც ყველა ფეხბურთელი, მეც ვვარჯიშობ დამოუკიდებლად. ძირითადად თავით თამაში მინდა გავაუმჯობესო, ცაციაზეც ვმუშაობ და იმაზეც, რომ ფიზიკურად კიდევ უფრო მოვღონიერდე.

**— „დინამოში“ ზედიზედ მეორე სეზონს ატარებ. გაჩემპიონების შანსი ამჯერადაც მცირეა...**

— ქუთაისში რომ არ წაგვეგო, სხვაგვარად იქნებოდა საქმე. უეფას თასის საგზური უნდა მოვიპოვოთ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემპიონობაზე ხელი ჩავიქნიეთ. თავიდან ბევრს არ სჯეროდა, რომ ჩვენი ახალგაზრდული გუნდით ჩემპიონობისთვის ბრძოლას შევძლებდით, მაგრამ ეს უკვე მოვახერხეთ. ამიტომ, ჯერ გადაწყვეტილი არაფერია და ასე მონდომებით რომ ვიბრძვით, პირველ რიგში მწვრთნელის დამსახურებაა.

**დავით თავართქილაძე**


გიორგი შაშიაშვილს (მარცხნივ) ნაკრებში უხმეს


# იყიდება
(231) 7 17 58
ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.
ქუთაისში
ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიაკოსთან"


### ბელგია
XXXII ტური
მეხელენი 0:3 ანტვერპენი

### პორტუგალია
XXXI ტური
ბენფიკა 0:2 ალვერკა
ბრაგა 2:1 მარიტიმუ

### ჩეხეთი
XXVII ტური
ტეპლიცე — ლიბერეცი გადაიდო

### ავსტრია
XXX ტური
ბრეგენცი 1:0 ტიროლი

### საფრანგეთი
გადადებული მატჩი
ლანსი 1:1 ტრუა

### გერმანია
XXXII ტური
დორტმუნდი 0:0 შტუტგარტი

II ბუნდესლიგა
XXXII ტური
კიკერსი 0:1 ზაარბრიუკენი
დუისბურგი 1:1 ძემნიცი

### თურქეთი
XXXI ტური
ანკარაგიუჯიუ 2:4 ტრაბზონი

### ჰოკეი
მსოფლიოს ჩემპიონატი
გერმანია

კანადა 6:2 შვეიცარია
ლატვია 2:2 ბელარუსი
სლოვაკეთი 3:1 უკრაინა
გერმანია 1:3 იტალია
შვედეთი 11:0 ავსტრია
იაპონია 3:3 ნორვეგია


რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

საქართველოს 12 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

# 7 ტური

ანონსი

# ფრთხილად, ჩემპიონობა ახლოა

## I–VI ადგილები

ქუთაისი. ტორპედო. 5 მაისი. 18 საათი

### ტორპედო — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (ყველა თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე
დისკვალიფიცირებული: კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია)

სავარაუდო შემადგენლობები
ტორპედო: ზოიძე, ხვადაგიანი, აბრამიძე, ლევან სილაგაძე, თოდუა, დიდავა, გურუა, ჯინჭარაძე, კვეტენაძე, იონანიძე, აშვეთია
ვიტ ჯორჯია: ქურაძე, საჯაია, ჭანკოტაძე, ინწკირველი, ჯ. მუჯირი, დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე, გოგობერიშვილი, ყიფიანი, ადამია, ლ. მელქაძე

თუ „ტორპედოს" ჩემპიონობა უნდა, მაშინ „ვიტ ჯორჯიას" აუცილებლად უნდა მოუგოს. თუ ვეტერინარები საპრიზო ადგილებზე ფიქრობენ, მაშინ ქუთაისიდან ქულა მაინც უნდა წამოიღონ. ამიტომ დღეს „ტორპედოზე" დანდობა არ იქნება. ნურავინ ელის ღია, შემტევ ფეხბურთს. დღეს მეტოქეები ზედმეტად ფრთხილები იქნებიან. საბოლოოდ იხეირებს ის, ვინც ნაკლებ შეცდომას დაუშვებს.

„ტორპედო" დღეისთვის უპრობლემოა. არც ერთი დისკვალიფიცირებული და თითქმის არავინ ტრავმირებული... „ვიტ ჯორჯიას" არ ეყოლება დაცვის ბურჯი თენგიზ კობიაშვილი. ტრავმები აწუხებთ საჯაიასა და ჭანკოტაძეს, მაგრამ ქუთაისში ისეთი თამაშია, როცა აუცილებელიც კია, ტკივილს გაუძლო.

უპირატესობა აშკარად მასპინძელთა მხარესაა. ფსიქოლოგიურადაც მკნედ არიან რიონისპირელები. სულ ახლახან, სწორედ ვეტერინარებთან თამაშში თითქმის გაინაღდეს სათასო ფინალის საგზური.

და მაინც, მიუხედავად უპირატესობისა, ერთ კვირაში „ვიტ ჯორჯიას" ორჯერ წაქცევა საძნელო საქმეა.

თბილისი. ეროვნული. 5 მაისი. 18 საათი

### დინამო — მერანი

მსაჯები: მ. მალალურაძე; გ. ჩოჩიშვილი (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიშვი
დისკვალიფიცირებულნი: გუჯაბიძე, დავითიძე, მუხინი (მერანი)

სავარაუდო შემადგენლობები
დინამო: ხაჩირაშვილი, სვანაძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, ა. სახვაძე, მანწკავა, გაბიდაური, ბურდული, იაგორაშვილი, მიკუჩაძე, ზირაქიშვილი
მერანი: კოროშინაძე, გოგიტაძე, ცქოფურიშვილი, ზ. კვაჭაკორი, გ. ილურიძე, ჩხაიძე, დევიძე, კოშკაძე, ხუციშვილი, გოდერძიშვილი, მინაშვილი

„დინამოს" წაფორხილების უფლება არა აქვს, თორემ ნანატრი ვერცხლი გაუფრინდება ხელიდან და შეიძლება ბრინჯაოც დაკარგოს. ამიტომ ათგზის ჩემპიონები მხოლოდ მოსაგებად გავლენ მოედანზე. ტრავმებმა შეაწუხა გოჩა ტყებუჩავას ბიჭები, ამიტომ „დინამოს" ჩვეული შემადგენლობა შეიძლება ზედმეტად სავარაუდოც კი გამოდგეს.

„მერანი" დასჯილია, იქნებ ზომაზე მეტადაც კი. ამიტომაც ჩვეულებრივზე მეტად გაბრაზებულები და აღგზნებულები ეწვევიან ავჭალელები „ეროვნულს".

ოთარ გაბელიას არ ეყოლება ძირითადის სამი მოთამაშე. გუჯაბიძეს, დავითიძეს და მუხინს ზედმეტი ყვითლები დაუგროვდათ.

საერთოდ, ერთია საკითხავი. რისთვის იბრძვის „მერანი" მეთორმეტე ეროვნულში? მხოლოდ თასისთვის, სხვა არაფერი აინტერესებთ ავჭალელებს. მაგრამ სფფ-ს ვერდიქტმა ძალიან გაახელა „მერანი" და არ არის გამორიცხული, ამას „დინამოს" პრიზიორობა შეეწიროს.

ოთარ გაბელიას გუნდს ფინალში გასვლის მიზერული შანსი კიდევ დარჩენია. ამიტომ, არც იქნება გასაკვირი, რომ „მერანი" ზედმეტ ყვითელ ბარათებს და გაუთვალისწინებელ ტრავმებს მოერიდოს, მით უფრო „მერანის" განაცხადში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია.

თბილისი. 26 მაისი. 5 მაისი. 18 საათი

### ლოკომოტივი — კოლხეთი

მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა
დისკვალიფიცირებული: გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი)

სავარაუდო შემადგენლობები
ლოკომოტივი: ასლანიძე, ბალაშვილი, ცხადაძე, შელია, რ. ონიანი, ქიქვიშვილი, სალუქვაძე, აჩბაბაძე, დათვაძე, კაიდარაშვილი, ბაქრაძე
კოლხეთი: ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, ფაშულიძე, კირკველია, შალამბერიძე, ქობულაძე, ლალანიძე, ხუჭუა, ჟ. გვასალია, წიფწივაძე

არ გვახსოვს, ბოლოს როდის ითამაშა უგოგიჩაიშვილოდ „ლოკომოტივმა", თუმც დღეს მოუწევს. რკინიგზელთა სათამაშო სტილი, ალბათ, უცვლელი დარჩება, მაგრამ ფაქტია, შეტევას სიმწვავე მოაკლდება.

მიუხედავად ამისა, „ლოკომოტივს" ჰყავს შემადგენლობა, რომელსაც გამარჯვება ძალუძს და არც საჩემპიონო შანსია ბოლომდე დაკარგული.

„კოლხეთის" მისია მეთორმეტე ჩემპიონატში, ფაქტობრივად, ამოწურულია. უმაღლეს ლიგაში ადგილი შენარჩუნებულია, ხოლო სფფ-ს განაჩენის შემდეგ ევროთასებზე თამაშის შესაძლებლობა თითქმის გამქრალი.

და მაინც, რატომღაც გვგონია, რომ დღეს ჰაკეში სოსო ფილია ძირითად შემადგენლობას გამოიყვანს. გუნდში არც ერთია დისკვალიფიცირებული და ტრავმირებულებიც გამოჯანმრთელდნენ.

ამიტომ „26 მაისზე" დღეს უკომპრომისო და დაძაბული თამაში იქნება.

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 4 | 37 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 4 |
| 2 ლოკომოტივი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | -3 | 33 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 5 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | -5 | 0 |
| 3 დინამო | 6 | 1 | 4 | 1 | 7:7 | 0 | 31 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 1 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 3 | 29 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 9 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 1 |
| 5 კოლხეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:10 | -4 | 22 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | -6 | 0 |
| 6 მერანი | 6 | 1 | 2 | 3 | 1:7 | -6 | 18 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | -4 | 1 |

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბათუმი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:2 | 5 | 25 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:1 | 3 | 5 |
| 2 სიონი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 3 | 21 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 4 |
| 3 თსუ | 6 | 3 | 0 | 3 | 7:10 | -3 | 19 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | -5 | 3 |
| 4 გორდა | 6 | 3 | 0 | 3 | 8:9 | -1 | 18 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 6 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 |
| 5 დილა | 6 | 2 | 1 | 3 | 9:6 | 3 | 16 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | -4 | 0 |
| 6 იბერია | 6 | 0 | 1 | 5 | 5:18 | -13 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | -9 | 0 |



სამშაბათს მცხეთაში პაატა ჯინჭარაძის „ტორპედომ" ედიკ საჯაიას (მარცხნივ) „ვიტ ჯორჯიას" თასის ნახევარფინალის პირველი თამაში 2:1 მოუგო



გიორგი ბალაშვილის (№16) „ლოკომოტივს" დასკვნით ეტაპზე პირველი მარცხი ზაველ ღაღანიძის „კოლხეთმა" აგემა

## VII–XII ადგილები

რუსთავი. ფოლადი. 5 მაისი. 18 საათი

### გორდა — ბათუმი

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. მიქელაძე (სამტრედია); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე
დისკვალიფიცირებულნი: ტულუში, გელა ქორიძე (ბათუმი)

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 5 მაისი. 18 საათი

### სიონი — იბერია

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

გორი. ცენტრალური. 5 მაისი. 18 საათი

### დილა — თსუ

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი; გ. კაკაჩიშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი


რატი ალექსიძე

# ან ჰო მითხარ, ან არა

## რატი ალექსიძე და კლაუდიო რანიერი კაცურად ილაპარაკეს

**ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ დაინტერესდა ლონდონის „ჩელსი“ რატი ალექსიძით. ორჯერ სტაჟირებაზე მიიწვია კიდეც. შარშანწინ კი ალექსიძე ჩელსელი გახდა, თუმცა მისი კარიერა პრემიერლიგაში დამუხრუჭდა — ძირითადში არა და არ ენდობიან რატის. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ეროვნულ გუნდშიც იშვიათად იწვევენ. ისრაელის წინააღმდეგაც რამდენიმე წუთით შეუშვეს მინდორზე. არადა, რატი ალექსიძისგან ყველანი გაცილებით მეტს ველოდით.**

**ჩელსელ ქართველს გუშინ ინგლისში შევეხმიანეთ და, ცხადია, ლონდონურ კლუბში მის მომავალზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.**

**— ინტერნეტით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს „ჩელსის“ ულტიმატუმი წაუყენე — ან ძირითადში მათამაშეთ, არადა გუნდს დავტოვებო.**

— არა, ასე არ არის საქმე. „ჩელსიდან“ წამოსვლას არ ვაპირებ. უბრალოდ მათ ჩემი ვუთხარი — თუ არ მათამაშებთ, მაშინ იქნებ სხვა გუნდში გამანათხოვრით-მეთქი.

**— განათხოვრება ერთია და გაყიდვა მეორე. „ჩელსის“ უფრო რომელი ვარიანტი აძლევს ხელს?**

— ჩემს გაყიდვას ნამდვილად არ აპირებენ, განათხოვრებაზეც კი უარი მითხრეს და ამავე დროს, არც არაფერს მპირდებიან.

**— კონტრაქტი კიდევ რამდენი ხნით გაკავშირებს კლუბთან?**

— ორი წელი და, რა თქმა უნდა, ვერ შევურიგდები კიდევ სათადარიგოებში ყოფნას.

**— ვისთან გქონდა საუბარი — კლაუდიო რანიერისთან თუ „ჩელსის“ პრეზიდენტ კენ ბეიტსთან?**

— მთავარი სიტყვა კლაუდიო რანიერის ეკუთვნის. მან უნდა გადაწყვიტოს ჩემი ბედიც და მეც მას ველაპარაკე. რანიერი კი ჩემს გაშვებაზე უარს ამბობს.

**— აბა, რა უნდა ქნა?**

— სეზონის დამთავრების შემდეგ კიდევ ერთხელ დაველაპარაკები. რანიერმაც ეგ მითხრა — იმ დროისთვის უფრო უპრიანი იქნება ამაზე საუბარიო.

**— „ჩელსიდან“ წამოსვლა, ალბათ იოლი გადასაწყვეტი არაა...**

— დიახ, ეგრეა და ჩემი სურვილიცაა „ჩელსიში“ დავრჩე, მაგრამ...

**— შენი ფიზიკური ფორმით და კონდიციებით კმაყოფილი ხარ?**

— თავს კარგად ვგრძნობ, სასურველ კონდიციაში ვარ, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა მაკლია. სათადარიგოთა გუნდში კი ვთამაშობ, მაგრამ ეს ხომ სხვა რამეა. ძირითადში სულ რაღაც 3-4 ჯერ თუ დამაყენეს, რაც ერთობ არასაკმარისია სათამაშო პრაქტიკისთვის.

**— როგორ ფიქრობ, მაინც როგორ გადაწყდება ყოველივე?**

— აბა, რა გითხრათ. „ჩელსიში“ მისვლაა ძნელი, თორემ წამოსვლა ადვილია. ხოლო თუ გამანათხოვრებენ ახალი გუნდის მოძებნა პრობლემა არ იქნება — პრემიერლიგის სხვა რომელიმე კლუბში ვითამაშებ.

**დავით თავართქილაძე**


# რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**

**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კუტუზოვის ქუჩა №3**

**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით**



კლაუდიო რანიერის ჯანფრანკო ძოლას იმედი კიდევ ორი წელი ექნება

# ძოლას ერთგულება და პატრიოტიზმი

**იტალიელი** ფეხბურთელი, ოდესღაც „სკუადრა აძურას" წევრი, ჯანფრანკო ძოლა ორი წლის შემდეგ თამაშს თავს დაანებებს, მანამდე კი ლონდონის „ჩელსიში" დარჩება.

34 წლის თავდამსხმელმა განაცხადა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ, ოჯახური მიზეზების გამო იტალიაში უნდა დაბრუნდეს, მაგრამ დასძინა, რომ ხუთშაბათს ლონდონელებს კონტრაქტი გაუგრძელა.

ძოლა, რომელიც ინგლისში იტალიური „პარმადან" 1996 წელს 6,45 მილიონ დოლარად გადავიდა, ამბობს, რომ პრემიერლიგაში საქმე არ დაუმთავრებია — ჩემპიონის ტიტული მოსაგები მაქვსო.

„ინგლისური ფეხბურთიდან წასვლა არ მსურს და არც იტალიურ ფეხბურთში დაბრუნება გამივლია ოდესმე გულში. სამშობლოში დაბრუნების მიზეზი ფეხბურთთან საერთო არ არის კავშირში. უბრალოდ, მე და ჩემს მეუღლეს, ფრანკას გვინდა შვილები იტალიელებად ავზარდოთ, ლონდონში კი ამის მოხერხება ძნელია. მაგრამ ორი სეზონი მაინც დავრჩები, რადგან პრემიერლიგის ჩემპიონობა არ მომიპოვებია" — თქვა ძოლამ.

შეგახსენებთ, რომ ძოლა 1997 წელს ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. იმ წელიწადს „ჩელსიმ" ფეხბურთის ასოციაციის თასი მოიგო. 1998 წელს იტალიელის გოლითით ლონდონელები ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელნიც გახდნენ.

„ჩელსის" აღმასრულებელმა შეფმა, კოლინ ჰაჩისონმა ყოველივე ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „ჯანფრანკომ თუ ინდომა, ფეხბურთელობის შემდეგაც მოვუნახავთ სამსახურს. მწვრთნელთა კორპუსში ავიყვანთ. ძოლა ის კაცია, რომელსაც შარშან, ზაფხულში სამხრეთ ევროპული კლუბები საოცარ გასამრჯელოებს სთავაზობდნენ, მაგრამ მან ისინი მოიგერია და რაც მთავარია, ერთი სიტყვა არ დასცდენია, ხელფასი მომიმატეთ, თორემ წავალო. წინა კვირაში, კონტრაქტის გაგრძელებაზე რომ ვსაუბრობდით, მან მითხრა, ტედი შერინგემი ჩემზე სამი თვითაა უფროსი და ხომ ხედავთ, წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდაო. მწამს, შანსი ჯანფრანკოსაც ექნება".

# დიეტა იტალიურად
## ნუ გახდები, თორემ სალაპარაკო გახდები

**იტალიურ** კლუბებში მობურთალი ფეხბურთელები კოხტაობას გადაყოლილნი ყოფილან და ჭარბი წონით შეწუხებულები ისეთ აბებს ყლაპავენ, გუნდების სამედიცინო პერსონალის აზრით, სპორტსმენს მხოლოდ და მხოლოდ ტანსმოდებულ ქონის ჩამოფერთხვაში რომ ეხმარება. პარასკევს სწორედ ამ აბების გარშემო ატეხილი ხმაურის გამო შეიკრიბნენ იტალიური ფეხბურთის მესვეურნი. ფეხბურთელები, რომლებიც დოპინგ-ტესტმა დისკვალიფიკაციის პირისპირ დააყენა, აკრძალული ნივთიერებებთან სიახლოვეს უარობენ. თითქმის ყველა ბრალდებული ჯიუტად ირწმუნება, რომ შესაძლოა ტესტებმა ის ნივთირებები გამოააშკარავეს, რომლებსაც ექიმები მათ წონაში ოდნავ მატებისთანავე უნიშნავენ. გამოდის, რომ ყველაფერში დამნაშავენი ფეხბურთელთა თეთრხალათიანი მეგობრები ყოფილან. ამ შემთხვევაში ძნელია გარკვევა, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი.

საქმეს ნათელს პარასკევის შეკრების მოთავეთა მიერ გადადგმული ნაბიჯი მოჰფენს. ოლიმპიური კომიტეტისა და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას ჭარბი წონის დასაგდები აბების შემადგენლობის გარკვევისთვის უკვე სპეციალური კომისიის შექმნაც მოუსწრია. იტალიის ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტი სერჯო კამპანა საქმეს ეჭვის თვალით უყურებს, მაგრამ მისი სიტყვები ოდნავ არაობიექტურია, რადგან თანამდებობიდან გამომდინარე, ფეხბურთელთა ინტერესებისკენ იხრება. „ყოველივე დიდ გამოცანას ჰგავს. არის სპეციალური ტაბლეტები, რომლის მიღებაც სპორტულ დარბაზში სამთვიან ვარჯიშს უდრის. ფეხბურთელები ძალიან ხშირად აზრზეც არ არიან, რა აბებს ყლაპავენ, ისინი ექიმებს ენდობიან".

სანამ კამპანა და მისთანანი მტყუან-მართალს გაარჩევენ, ფეხბურთელთაგან ზოგიერთს უკვე გამოუტანეს საბრალდებულო დასკვნა. სერია B-ს უპირველესი მეგოლის, პიაჩენცელი ნიკოლა კაჩას ოცდასამი გოლი მთლად მისი ბომბარდირული ტალანტის დამსახურება არ ყოფილა. თავდამსხმელს თურმე გოლის კეთებაში ორი რამ, ნორანდროსტერონი და ნორეტიოკოლანოლონიც ფრიად ეხმარებოდა. ესენი კი სტეროიდთა ჯგუფს განეკუთვნება და საფეხბურთო სამყაროში დოპინგის სახელითაა ცნობილი. კაჩამ დოპინგის პირველი ტესტის ჩაგდებას მეორეც მიაყოლა და ახლა განაჩენს ელის. ჩვეულებრივ, ამგვარ ნარკოტიკებით გაჯერებულ და გაყოჩაღებულ ჯეელებს სტანდარტული სასჯელი — თექვსმეტთვიანი დისკვალიფიკაცია ემუქრებათ.

ნიკოლა კაჩას კვალს მისი თანაგუნდელი, მცველი სტეფანო საკეტიც გაუყვება. მის ორგანიზმში ანაბოლიკ-სტეროიდების დოზა საკმარისზე მეტი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ფეხბურთელს ათასი სისულელით, მათ შორის წონის დასაგდები, თუ გრიპის საწინააღმდეგო აბებით დაეწყო თავის მართლება.

„პიაჩენცას" თავდამსხმელი და მცველი ამ სეზონში დოპინგ-ტესტისგან შერისხულთა და ჯერჯერობით ეჭვმიტანილთა ამალას მიემატნენ. აი, ის ხალხი, ვინაც სერია A-ს თუ სერია B-ს სწრაფ რიტმს ჭარბი წონის გამო ვერ გაუძლო და გულგატეხილმა გამოცდილი ექიმის სასწაულმოქმედ აბებს მიმართა:



ფერნანდო კოუტუ

*კრისტიან ბუჩი და სალვატორე მონაკო* („პერუჯა") — პირველი დოპინგ-ტესტი, ტესტი A გაიარეს 14 სექტემბერს, „ლაციო" — „პერუჯას" დაპირისპირების შემდეგ. B ტესტმაც დაადასტურა მათი დოპინგის მოხმარება 22 თებერვალს: დისკვალიფიცირებულნი არიან თექვსმეტი თვით.

*ანდრეა დე როლდი* („პესკარა", სერია B). 24 სექტემბრისა და 22 თებერვლის ორივე ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა. დისკვალიფიცირებულია თექვსმეტი თვით.

*ჟან-ფრანსუა ჟილე* („ბარი"). „რეჯინასთან" მატჩის შემდეგ ჩააგდო დოპინგ-ტესტი. განმეორებითმა ანალიზმა დაადასტურა A ტესტის შედეგები. დისკვალიფიკაციის ვადა ჯერ არ არის განსაზღვრული.

*ფერნანდუ კოუტუ* („ლაციო") — „ფიორენტინასთან" თამაშის შემდეგ დოპინგ-ტესტმა დადებითი შედეგი უჩვენა. მეორე ტესტმაც დაადასტურა პირველი ტესტის მართებულობა. დისკვალიფიკაციის ვადა ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული.

*ედგარ დავიდსი* („იუვენტუსი") — „უდინეზე"— „იუვენტუსის" მატჩის შემდეგ ჩააგდო პირველი ტესტი. განმეორებითი ტესტი ჯერ არ ჩატარებულა.

**გიორგი გამარდაშვილი**

## ჰოლანდია

**გადადებული მატჩი**

**ვალვაიკი 2:2 აიაქსი**

1:0, 2:0 ჰუგენდორპი (1, 13), 2:1 ვიჩგე (16), 2:2 იკედია (46)

აიაქსი: გრიმი, დე კლერი, პასანენი, იკედია, გალაშეკი, ვიჩგე (კრუზი 73), ობრაიენი, ვან დერ გუნი (შ. არველაძე 46), იაკუბუ, ვან დერ მეიდე, ვამბერტო (ვან დერ ვაარტი 62)

მწვრთნელი: კო ადრიანსე

6 500 მაყურებელი

## დანია

**თასის 1/2 ფინალი. I მატჩი**

**მიდტიულანდი 1:1 სილკებორგი**

1:0 ბ. სანდი (2), 1:1 ტ. პოულსენი (10)

## შვეიცარია

**თასის 1/2 ფინალი**

**სერვეტი 1:0 სენტ გალენი**

1:0 ფრეი (77)

**ლოზანა 0:0 (პენ.3:4) ივერდონი (II)**

## ბელარუსი

**თასის 1/2 ფინალის წილისყრა**

დინამო (მინსკი) — სლავია (მოზირი); ბელშინა (ბობრუისკი) — ვედრიჩ-97 (რეჩიცა)

I მატჩები — 10 მაისი, საპასუხოები — 18 მაისი. ფინალი გაიმართება 27 მაისს, მინსკში

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი**

## აზია

**VII ჯგუფი. IV ტური**

**თურქმენეთი 2:5 უზბეკეთი**

0:1 კასიმოვი (21წ), 0:2 ირისმეტოვი (35), 1:2, 2:2 ბაირამოვი (42, 44), 2:3 ბაკაიევი (48), 2:4 აკოპიანცი (82), 2:5 გეორგიევი (88)

**იორდანია 6:0 ტაივანი**

1:0, 2:0 აბუ ტუქი (45, 49პ), 3:0 ალ-შახრანი (61), 4:0 ავადათი (85), 5:0, 6:0 ჰამარშეხი (87, 89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზბეკეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 15:4 | 10 |
| იორდანია | 4 | 2 | 1 | 1 | 10:4 | 7 |
| თურქმენეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 9:6 | 6 |
| ტაივანი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:20 | 0 |

V ტური, 5 მაისი: ტაივანი — უზბეკეთი; იორდანია — თურქმენეთი

VI ტური, 7 მაისი: თურქმენეთი — ტაივანი; უზბეკეთი — იორდანია

Copa Toyota Libertadores '2001

## ლიბერტადორესის თასი 2001

**III ჯგუფი. VI ტური**

**დეპორტეს კონსეპსიონი (ჩილე) 3:0 ხორხე უილსტერმანი (ბოლივია)**

**სან ლორენსო (არგენტინა) 1:1 ნასიონალი (ურუგვაი)**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნასიონალი | 6 | 4 | 2 | 0 | 9:2 | 14 |
| დეპორტეს კონსეპსიონი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 7 |
| სან ლორენსო | 6 | 2 | 1 | 3 | 9:10 | 7 |
| ხორხე უილსტერმენი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:13 | 6 |

ურუგვაის „ნასიონალი" და ჩილეს „დეპორტეს კონსეპსიონი" გავიდნენ მეორე ეტაპზე

**V ჯგუფი. VI ტური**

**გუარანი (პარაგვაი) 0:1 რივერ პლეიტი (არგენტინა)**

**სთრონგესტი (ბოლივია) 2:1 ელ ნასიონალი (ეკვადორი)**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 6 | 4 | 0 | 2 | 13:6 | 12 |
| ელ ნასიონალი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:9 | 9 |
| გუარანი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:11 | 7 |
| სთრონგესტი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:14 | 7 |

არგენტინის „რივერ პლეიტი" და ეკვადორის „ელ ნასიონალი" გავიდნენ მეორე ეტაპზე

## ფეხბურთის რუკასთან



**საფრანგეთის** ჩემპიონატის ლიდერ „ნანტის" მეკარემ მეტიუ მორომ მილანის „ინტერთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 18 წლის გოლკიპერი, რომელიც ფრანგულ კლუბში მეორე სეზონს ატარებს, გაისიდან უკვე მილანური გუნდის შემადგენლობაში ჩაირიცხება. „ნანტი" მას ხელშეკრულების გახანგრძლივებას სთავაზობდა, მაგრამ ახალგაზრდა მეკარემ „ინტერში" გადასვლა არჩია. „შეთანხმების გაგრძელება ჯერ კიდევ შარშან შემეძლო, თუმცა ვიცოდი, რომ ჩემი შეძენით იტალიური კლუბები იყვნენ დაინტერესებულნი. მაშინ განვაცხადე, რომ სეზონის ბოლოს „ნანტს" დავტოვებდი. ბედნიერი ვარ, რომ „ინტერში" გავაგრძელებ კარიერას" — განაცხადა ფრანგმა.

**ესპანური „სარაგოსას" ნახევარმცველმა მარკოს ვალესმა ვარჯიშისას მუხლის მყესები დაიზიანა და სეზონი ნაადრევად დაასრულა. ექიმების განცხადებით, იგი თვეზე მეტ ხანს ვერ შეძლებს მინდორზე დაბრუნებას და შესაძლოა, ოპერაციაც დასჭირდეს. თუ მართლაც ასე მოხდა, მაშინ ფეხბურთელს სარეაბილიტაციოდ კიდევ უფრო მეტი დრო დასჭირდება. აღსანიშნავია, რომ 25 წლის ვალესის შეძენის სურვილს ბოლო დროს რამდენიმე ესპანური კლუბი გამოთქვამდა.**

**გერმანული** „ლევერკუზენის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ უახლოეს დღეებში, ალბათ, „ვოლფსბურგის" ნახევარმცველ ზოლტან სებესკენთან და „კარლსრუეს" ფეხბურთელ მიხაელ ზეპეკთან გააფორმებს კონტრაქტს. გერმანიის ვიცე-ჩემპიონები ვოლფსბურგელთან ოთხწლიან შეთანხმებას მოაწერენ ხელს, მის სანაცვლოდ კი 4 მილიონ გირვანქას გადაიხდიან. სებესკენი „ლევერკუზენში" იორგ რეებს შეცვლის, რომელიც სეზონის ბოლოს „კიოლნში" აპირებს გადასვლას. გერმანული სააგენტოების ცნობით, კარლსრუელ ზეპეკს სხვა კლუბებიც იწვევდნენ, თუმც მან „ლევერკუზენში" თამაში ამჯობინა.

**ესპანური პრესის ცნობით, „ბარსელონას" მცველმა კარლეს პუიოლმა კლუბთან ახალ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ამრიგად, 23 წლის ფეხბურთელი, რომელსაც შეთანხმება სეზონის ბოლოს უსრულდებოდა, „კამპ ნოუზე" 2004 წლამდე დარჩება. იგი „ბარსელონას" ძირითად შემადგენლობაში პირველად 1999 წელს გამოჩნდა. მანამდე კი ახალგაზრდულ გუნდში ირიცხებოდა. კონტრაქტის პირობით, თუ რომელიმე კლუბი პუიოლის შეძენას მოისურვებს, სანაცვლოდ „ბარსელონას" 15 მილიონი გირვანქა უნდა გადაუხადოს.**

**იტალიური** სააგენტოები იუწყებიან, რომ „პარმა" იაპონელი ნახევარმცველის, ჰიდეტოში ნაკატას შეძენით დაინტერესდა. ეს ფეხბურთელი სეზონის ბოლოს „რომადან" წასვლას აპირებს, რადგან ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. იაპონელს სხვა კლუბებიც ეპატიჟებიან, მათ შორის ლონდონის „არსენალიც". „პარმას" ასევე სურს, რომაული კლუბიდან ახალგაზრდა ალესანდრო რინალდი გადაიბიროს და ორივე მოთამაშეში დედაქალაქურ კლუბს 30 მილიონ დოლარს სთავაზობს.

**ინგლისის პრემიერლიგაში აღზევებულმა „ფულემმა" „ფიორენტინას" ჩეხი მცველის, ტომაშ რეპკას სანაცვლოდ 4 მილიონი გირვანქა შესთავაზა. აღსანიშნავია, რომ ეს ფეხბურთელი სეზონის ბოლოს ფლორენციული კლუბის დატოვებას აპირებს. „ფულემის" გარდა მას დორტმუნდის „ბორუსია" და ბირმინგემის „ასტონ ვილაც" იწვევენ, თუმცა ინგლისური კლუბის წარმომადგენლები უკვე აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ 27 წლის ჩეხის აგენტთან და ოთხწლიან კონტრაქტსაც ჰპირდებიან. რეპკა „ფიორენტინაში" 1997 წლიდან თამაშობს. იგი ამ კლუბში პრაღის „სპარტადან" ჩაირიცხა, მას შემდეგ, რაც ჩეხეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.**

**ფრანგული** „ლილის" მწვრთნელი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი სეზონის ბოლოს სავარაუდოდ პოსტს დატოვებს და სხვა კლუბში გადავა სამუშაოდ. ბოსნიელ სპეციალისტს „მონაკო" და რამდენიმე ინგლისური კლუბი ეპატიჟება. ჰალილჰოჯიჩმა შარშან „ლილი" მეორე დივიზიონიდან ელიტაში გადაიყვანა, გუნდს საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსიც ჰქონდა, მაგრამ წინა ტურში „ლილმა" „ლიონთან" 1:2 წააგო და პირველობის იმედიც თითქმის გაუქრა.

**ფრანგულ „სენტ ეტიენს" მომავალი სეზონიდან მწვრთნელად ანრი მიშელის მიწვევა სურს. ეს სპეციალისტი ამჟამად „გრენობლს" უდგას სათავეში. „უახლოეს დღეებში შესაძლოა შეთანხმებასაც მივაღწიოთ. აქტიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ" — განაცხადა „სენტ ეტიენის" წარმომადგენელმა და იქვე დასძინა, რომ კონტრაქტი სამწლიანი იქნება. მიშელი „გრენობლს" 1997 წლიდან თავკაცობს.**

**24 წლის პატრიკ კლუივერტმა ფეხბურთში უკვე ბევრი რამ მოასწრო. აღზევებაც ახსოვს და დაცემაც. თითქოს ყველაფერი ფანტასტიკურად დაიწყო, მაგრამ უკვე რამდენიმე წელიწადია, კლუივერტს უიღბლო ადამიანი უფრო ეთქმის — მისი „ბარსელონა" დიდი „რეალის" ჩრდილშია, ჰოლანდიის ნაკრებიც ისე აირია, შეიძლება მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვერ გავიდეს. პატრიკისგან კი კვლავ უმაღლესი დონის ფეხბურთს ელიან...**
**გთავაზობთ „ფრანს ფუტბოლის" ჟურნალისტის ჟან მარი ლანოეს წერილის შემოკლებულ ვარიანტს, რომელიც უფრო მოედნის გარეთა კლუივერტს გვაცნობს.**



ოჯახური იდილია: შფოთისთავი პატრიკ კლუივერტი სამაგალითო მამა და მეუღლეა

# თითქმის კლასიკური დრამა

## კლუივერტმა ვან გაალს რონალდო დააავიწყა

**გაცვეთილ** მინდორზე რუხლაბადიანი ბიჭუნა ბურთს კენწლავს, ხან ფეხით, ხან თავით, ხანაც მხრით. 14 წლის ორლანდო ბრაუერს ჩინებული ტექნიკა აქვს: „მე „ამსტელვეენში" ვთამაშობ, გუნდში, რომელიც „არენას" სტადიონის მახლობელ რაიონში ბინადრობს — ყვება ორლანდო — მაგრამ ამ მინდორთან ახლოს ვცხოვრობ და ხშირად მოვდივარ სავარჯიშოდ. მიყვარს ეს ადგილი, იმიტომ, რომ აქ დაიწყეს პატრიკ კლუივერტმა და ედგარ დავიდსმა. თავს მათ ადგილზე წარმოვიდგენ ხოლმე და მჯერა, ოდესღაც მეც ასეთივე ცნობილი ფეხბურთელი გავხდები".

„შელინგვაუდისგან", პირველი საფეხბურთო კლუბისგან, სადაც კლუივერტი თამაშს იწყებდა, ახლა თითქმის არაფერია დარჩენილი. ხანდახან იქ სურინამელი ბავშვები მიდიან, თავს კლუივერტად ან დავიდსად წარმოიდგენენ და ოცნებისგან ლამის გიჟდებიან.

დავიდსისგან განსხვავებით, პატრიკი ჰოლანდიაში, ამსტერდამის ჩრდილო-აღმოსავლეთში დაიბადა. თუმცა მამამისი ფაუსტინო სურინამელია, ხოლო დედა — ლიდვინა ანტილის კუნძულებიდანაა.

მამა თავის დროზე პარამარიბოს უძლიერეს გუნდ „რობინ ჰუდში" თამაშობდა, მერე კი დიდი იმედი ჰქონდა, რომ მეორე შვილი პატრიკი კარგი ფეხბურთელი გამოვიდოდა. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, პატრიკის საფეხბურთო ზმანებებს დედაც იზიარებდა. ის ახლაც მისი მთავარი გამამხნევებელი და საყრდენია. ლიდვინა ყოველ დილას უშვებდა პატარა პატრიკს ეზოში ფეხბურთის სათამაშოდ, თანაც ახალგამომცხვარი ფუნთუშებით უმასპინძლდებოდა შვილსა და მის თანატოლებს: „ჩემი პროფესიონალ ფეხბურთელად გახდომის სურვილი ოჯახიდან მოდის — ამბობს კლუივერტი — ამისთვის მშობლების ყოველთვის დიდად მადლობელი ვარ".

შეიძლება ითქვას, რომ პატრიკის ფეხბურთელად ჩამოყალიბება იმ დღიდან დაიწყო, როცა ფუნთუშებით ხელში ეზოში ჩავიდა და მეზობლის ბიჭებთან გააჩაღა ბურთაობა. ეს 17 წლის წინ მოხდა...

თავიდან კლუივერტი „შელინგვაუდში" თამაშობდა. და მერე როგორ! ერთ სეზონში ფუნთუშებზე წამოჩიტულმა რვა წლის ბიჭუნამ 256 გოლი გაიტანა და რაღა გასაკვირია, რომ მალე ის ყველგანმყოფმა ტონი ბრაიან სლოტმა, „აიაქსის" ახალგაზრდა ტალანტების სპეციალისტმა შეამჩნია. ასე მოხვდა პატრიკი დიდ „თეთრ-წითელ" გუნდში. სხვათა შორის, იმავე წელს „აიაქსმა" მისი შელინგვაუდელი მეგობარი ედგარ დავიდსიც აიყვანა.

„აიაქსის" ბავშვთა სკოლა პატარებისთვის ყოველთვის მეორე სახლივით იყო. მთელ დღეებს ისინი იქ ატარებდნენ და ვარჯიშის გარდა ზოგად განათლებასაც იღებენ.

სწავლის მხრივ პატრიკს რაიმე მიღწევები არასოდეს ჰქონია. მასწავლებელი ეროლ აბრაჰამი იხსენებს:

„ფეხბურთის განსაკუთრებულმა ნიჭმა, სამწუხაროდ, პატრიკი ძალიან ადრე დაასავადა „ვარსკვლავური სენით". ის ძალიან ჭირვეული იყო, ადგილზე ვერ ჩერდებოდა. მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც მოსწონდა, ხშირად აცდენდა გაკვეთილებს და არასოდეს ამზადებდა საშინაო დავალებას. მაგრამ ბევრს პატიობდნენ, რადგან მან მთავარი იცოდა: პროფესიონალ ფეხბურთელად ჩამოყალიბებისთვის ბევრი ვარჯიში იყო საჭირო. ამ მხრივ მასთან პრეტენზია არავის ჰქონდა. პატრიკი ბურთთან ურთიერთობისას დიდ სიამოვნებას იღებდა. მოკლედ, ბავშვობაშივე თავს ერთგვარ შოუმენად აღიქვამდა, რომლის მოქმედებითაც გარშემომყოფნი აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ".

პატრიკ კლუივერტი: „ყოველთვის ვფიქრობდი, ნეტავ რას მივაღწევ ფეხბურთში-მეთქი. ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდებოდა. ჩვიდმეტი წლისა უკვე „აიაქსის" მთავარ გუნდში ვთამაშობდი. ასეთ ასაკში მინდორზე ვერაფერს გავაკეთებდი, რომ არა საკუთარი თავის ურყევი რწმენა".

მასწავლებლების თავის ამტკიცებელი პატრიკი მწვრთნელების სიხარული იყო. „აიაქსის" ჭაბუკთა გუნდში ნამდვილ უნივერსალად ყალიბდებოდა — თამაშობდა თავდამსხმელად, გამთამაშებლად და ცენტრალურ მცველადაც კი. მისი საუკეთესო თვისებები — ბურთთან რბილი და ზუსტი მუშაობა, ორიგინალური დრიბლინგი და ძლიერი ხასიათი — უკვე მაშინ ჩამოყალიბდა.

ჩვიდმეტი წლისა იმდენად დახვეწილი მოთამაშე იყო, რომ მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა ჩემპიონატის გახსნის მატჩში, „ვალვაიკის" წინააღმდეგ ძირითადში დააყენა. ეს იყო 1994 წლის 28 აგვისტოს. და რა? სამი ბურთიდან ერთი თავად გაიტანა, მეორე პარტნიორს გაატანინა, ხოლო მესამე მისი წაქცევისთვის დანიშნულ ჯარიმას მოჰყვა...

კლუივერტის გამოჩენამ „აიაქსს" რონალდოს დაკარგვა გადაატანინა. იმ სეზონის წინ ამსტერდამელებს მსოფლიოს მომავალ საუკეთესო ფეხბურთელთან უნდა გაეფორმებინათ კონტრაქტი, მაგრამ ბელუ ორიზონტის „კრუზეირომ" საქმე „ეინდჰოვენთან" დაიჭირა. პსვ-მ ბრაზილიელში დაახლოებით შვიდი მილიონი დოლარი გადაიხადა: „ვერ გადმოვიბირეთ რონალდო, სამაგიეროდ გვყავს კლუივერტი — თქვა ვან გაალმა „ვალვაიკთან" მატჩის შემდეგ — ესეც ჩვენი პასუხი".

პასუხი მართლაც ღირსეული გამოდგა: „დაუჯერებელია — იხსენებს კლუივერტი — ერთ თვეში ხუთი ბურთი გავიტანე და ჩემპიონატის ბომბარდირთა სიაში დავწინაურდი. ძველ „დე მეერზე" თამაში დიდი სიამოვნება იყო. ის სტადიონი „აიაქსის" სასახელო გამარჯვებებით სუნთქავდა. დღესაც გული მტკივა ხოლმე, „დე მეერი" ხომ უკვე ისტორიაა. მგონია, „დე მეერის" მინდორზე გასული ჩვენი მოწინააღმდეგეები თამაშს 0:2-დან იწყებდნენ. იმდენად გვჯეროდა საკუთარი თავის".

აბა, მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ კლუივერტის ისტორია მალე თავდაყირა დადგებოდა და ნამდვილ საშინელებად გადაიქცეოდა?..

ამსტერდამში, კაფე „დრაივერში" ხშირად ნახავთ სურინამიული წარმოშობის ცნობილ ჰოლანდიელ ფეხბურთელებს. აი, რას ამბობს მუსიკოსი ივანი: „კლუივერტს კარგად ვიცნობ. თუ ამსტერდამში ჩამოვიდა, აქ აუცილებლად მოდის... ვერც ერთ სხვა ბიჭს ვერ დაგისახელებთ, ახლობლებისა და გარშემომყოფთა მიმართ ასეთი ყურადღებიანი რომ იყოს. ყველას ძმასავით გვიყვარს და ვამაყობთ მისით. მიუხედავად იმ ისტორიებისა..."

ივანს კარგად ახსოვს ის დრო, როცა პატრიკის ცხოვრება კალეიდოსკოპივით იცვლებოდა. 1994-95 წლების სეზონმა არნახული აღიარება მოუტანა. აგვისტოში დებიუტი ჰქონდა ჰოლანდიის ჩემპიონატში, 16 ნოემბერს პირველი მატჩი ჩაატარა ეროვნულ გუნდში, მაისში კი მისი გოლით „აიაქსმა" ჩემპიონთა თასი მოიგო... ამბობენ, ეს გოლი დედამისს მკითხავმა წინა დღით უწინასწარმეტყველაო...

მერე? მერე კინემატოგრაფია. დრამა. თითქმის კლასიკური დრამა. ისტორია ბიჭისა, რომელსაც ბედი არაჩვეულებრივად წყალობდა, რომელსაც უყვარდა ცხოვრება და ალკოჰოლური სასმელები და ავარია... — ტრაგიკული ავარია ამსტერდამის ჩახერგილ ქუჩაზე, 95-ის 9 სექტემბერს, როცა მთვრალმა კლუივერტმა თავისი „ბეემვე" პარკინგიდან გამოსულ კაცს სასიკვდილოდ დაეჯახა...

პატრიკი არ დაუპატიმრებიათ. ციხის ნაცვლად 250 საათი იძულებითი სამუშაოები აკმარეს. მსაჯულთა მაშინდელ გადაწყვეტილებას დღესაც ბევრი მიიჩნევს უსამართლოდ. შესაძლოა, ასეც იყოს. თუმცა პატრიკმა დიდი გაკვეთილი მიიღო — ცხოვრებაში გული დაეძალა.

თვითონ ყვება, ჰოლანდიაში დარჩენა აღარ შემეძლოო. „აიაქსში" კიდევ ერთი სეზონი გაატარა და „მილანში" გადაბარგდა. იქვე გადავიდნენ დავიდსი, ბოგარდი და რაიციგერი. ეს იყო ნაბიჯი ახალ სამყაროში ძველ მეგობრებთან ერთად, მაგრამ ოპტიმიზმი მალე იმედგაცრუებამ შეცვალა.

„მილანში" ეგონათ, რომ ისევე კარგად ვითამაშებდი, როგორც „აიაქსში" — ამბობს კლუივერტი — მაგრამ ამისთვის რამდენიმე პირობა იყო საჭირო. უმთავრესი ის არის, რომ მოთამაშე თავისი შესაძლებლობების მიხედვით უნდა გამოიყენო. მკაცრ სქემებს მიჩვეული არ ვიყავი, „მილანში" კი მარჯვენა თავდამსხმელად გამამწესეს. ასეთმა შეხედულებამ ბევრი ღირსება დამიჩრდილა".

ერთადერთი ნათელი წერტილი ამ დროს მისი ოჯახი იყო. კლუივერტი მეგობარ გოგონა ანჟელასთან, პატარა კინსისთან და დედასთან ერთად ცხოვრობდა. ლიდვინა ფუნთუშებს აღარ უცხობდა, მაგრამ მისთვის ისევ უახლოეს ადამიანად რჩებოდა: „დედა ყოველთვის ჩემს მხარეზე იყო, ფსიქოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში მეხმარებოდა და გუნდში მოქცევასაც კი მასწავლიდა" — დასძენს კლუივერტი.

ბარსელონაში გადაბარგება ახალ იმედებს უკავშირდებოდა. კატალონიაში მას ვან გაალი და თანამემამულეთა მთელი ჯგუფი ელოდა. მაგრამ...

წლეულს კლუივერტი „ბარსაში" მესამე სეზონს ატარებს. ოჯახი ჩინებულ სახლში ცხოვრობს, რომელიც ქალაქს გადაჰყურებს. აი, მინდორზე კი... 1999-ში „ბარსასთან" ერთად ესპანეთის „ოქრო" მოიგო, მერე ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც მოხვდა, თუმცა...

ახლა „ბარსა" ლიგაში მოსახვედრად იბრძვის. უეფას თასიდანაც გავარდა... „საკვირველია პირდაპირ — ყვება კლუივერტი — ვერაფრით აგვიხსნია, რატომ გვაქვს ჩავარდნები. თითქოს კარგ ფორმაში ვართ. ყველაფერი ნორმალურადაა. არადა, მინდორზე გავდივართ და"...

თუმცა კლუივერტი ვან გაალს მთლად არ დაშორებია. ახლა მათი გზები ნაკრებში იკვეთება. მაგრამ იქაც გაწბილება გაწბილებას ემატება.

ევრო 2000-ის მეოთხედფინალში, იუგოსლავიასთან შესრულებულმა ჰეთ თრიქმა პატრიკი თითქოს „ნარინჯისფერთა" ლიდერად აქცია, მაგრამ ნახევარფინალში ყველაფერი საშინლად დამთავრდა. პატრიკმა პენალტი ვერ გაიტანა — ხუთიდან ერთ-ერთი, რომელიც იმ საღამოს ჰოლანდიელებმა ვერ შეაგდეს...

„ნარინჯისფერთათვის" ცუდად დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლიც: შინ ფრემ ირლანდიასთან და მარცხმა პორტუგალიასთან ვან გაალის გუნდი ლამის ჯგუფის აუტსაიდერად აქცია: „თუ ჩემპიონატზე ვერ მოვხვდით, კატასტროფა იქნება — ამბობს კლუივერტი — ახლა გვეჩვენება, რომ ასეთი რამ შეუძლებელია, მაგრამ ეს ხომ ფეხბურთია".

თუმცა, პატრიკი მომავლის იმედს არ კარგავს: „ჯერ ახალგაზრდა ვარ და კიდევ მოვუმატებ. ყოველი მატჩის შემდეგ რაღაც დასკვნები გამომაქვს და ვცდილობ, შეცდომებზე ვისწავლო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია".

მაისში პატრიკი მესამე ბავშვის მამა გახდება. შარშან ანჟელაზე დაქორწინდა და ამსტერდამში დიდი ქორწილიც გამართეს, ქალაქში, სადაც ის აუცილებლად დაბრუნდება: „აიაქსის" ბავშვთა მწვრთნელი მინდა გავხდე. ეს, ალბათ დღეს ტკბილი ოცნებაა, მაგრამ დაუბრუნდე ფესვებს, განა ამაზე სასიამოვნო რა უნდა იყოს?.."

აი, ასეთია პატრიკ კლუივერტის გამოუცნობი და ჯერაც დაფარული საუნჯე.

**სოლომონ გულისაშვილი**






ევრო-2000-ის ნახევარფინალში იტალიელებთან ვერგატანილი პენალტი პატრიკ კლუივერტს დღესაც მწარედ ახსოვს

გიო ახვლედიანის

## სვეტი

### თვალდახუჭული მიმოხილვა

**ესე იგი...** ჩემპიონთა თასის ფინალში გადიან „ბაიერნი“ და „ვალენსია“?

ასეა?

ისე, უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო, ისევე როგორც უკეთესი.

თუმცა, რა არის უარესი და რა უკეთესი, დღეს ძალიან ძნელი გასარკვევია.

ოთხ დღეში ზუსტად გვეცოდინება, ვინ გავა ფინალში.

ერთხელ გარი ლინეკერმა თქვა, ფეხბურთი ისეთი თამაშია, რომელიც ოთხმოცდაათ წუთს გრძელდება, ბოლოს კი გერმანელები იგებენო. ეს ოხუნჯობა რომ ბოლო წლების ჩემპიონთა ლიგას მოვარგოთ, გამოვა, რომ ფეხბურთი ოთხმოცდაჩვიდმეტ წუთს გრძელდება და ბოლოს მადრიდის „რეალი“ ასწევს ხოლმე თასს. ანუ „რეალიცა“ და „ბაიერნიც“ იმათ შორის ჩანან, ვინც ბოლოს იგებს.

თუმცა „ბაიერნი“ სწორედ ის გუნდი გახლავთ, რომელმაც საუკუნეში ყველაზე სახელგანთქმულად წააგო ჩემპიონთა თასი შეხვედრის ბოლო სამ წუთში. იმის შემდეგ „ბაიერნის“ მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა ჭკუა ისწავლა და იმგვარ შეცვლებს აღარ ახორციელებს, მაშინ რომ განახორციელა. მეტიც, რომც უნდოდეს, ვერც განახორციელებს, რადგან ლოთარ მათეუსი და მარიო ბასლერი აღარ ჰყავს. ეფენბერგს კი ვერ შეცვლის, რადგან ამ ოთხშაბათს ეფენბერგი ისედაც არ იქნება ყვითელი ბარათების შეგროვების გამო. ამიტომ, „ბაიერნს“ მეტი შანსი აქვს, რომ თამაშის მიწურული უკეთესად წარმართოს.

მადრიდელთათვის ძალიან მნიშვნელოვანია ფიგუს ფაქტორი. „რეალმა“ რვაჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი და სულ ფიგუს გარეშე. ფიგუს ცხოვრებაში არ მოუგია რაიმე თასი ევროპული მასშტაბით. მაგრამ ფიგუს მოუგია ბევრი მნიშვნელოვანი თამაში. ახლა ემთხვევა — ორი თამაში უნდა მოიგოს და თასსაც მოიგებს. ასე რომ, ძნელი გასარკვევია.

ისევე, როგორც „მესტალიაზე“ დასატრიალებელი ამბავი. „ვალენსიას“ უნდა ერთი გოლი „ლიდსის“ კარში და „ლიდსსაც“ უნდა ერთი გოლი „ვალენსიას“ კარში, რის შემდეგაც „ვალენსიას“ კიდევ უნდა ერთი გოლი „ლიდსის“ კარში. ანუ ყველაფერი მენდიეტაზე ჰკიდია და არა იონ კარეუზე, რომლის ნდობაც ძალიან ძნელია. თავის მხრივ, რიო ფერდინანდს არ უნდა ეგონოს, რომ კარეუ კარიერაში ოდესმე კიდევ დაარტყამს ისეთს, „ელანდ როუდზე“ რომ დაარტყა, ხოლო ლი ბოიერმა არ უნდა ჩათვალოს, რომ მაღალი ბიჭია და თავურებს არ უნდა მიაწვეს.

ეს თამაში დიდ საიდუმლოს შეიცავს, რადგან არავინ იცის, რა უფრო მნიშვნელოვანია „ლიდსისთვის“, წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა, თუ გაისად იმავე ლიგის ჯგუფურ ტურნირში მოხვედრა. ამ საიდუმლოს დღეს, „ჰაიბერიზე“ გაეცემა პასუხი, სადაც „არსენალი“ „ლიდსს“ მასპინძლობს. საღამოს პირზე ეგებ ცხადიც შეიქნას, რომ „ლიდსი“ წლეულს ლიგის ფინალში გავა, გაისად კი უეფას თასის ფინალში.

უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო. ალბათ, უკეთესიც.

# გაყრა



## რონალდომ რონალდო მიატოვა

**რონალდო** ცოლს ეყრება. 24 წლის ბრაზილიელი ვარსკვლავი (თუ ვარსკვლავყოფილი) 18 თვის წინ შერთულ მილენ დომინგუშს ზაფხულზე თავისუფლებას უბოძებს. ეს ამბავი ბრაზილიურმა გაზეთმა „ჟენტემ“ გაახმაურა.

მოგეხსენებათ, რონალდოსა და მილენ დომინგუშს ერთი წლის ვაჟი ჰყავთ, სახელად რონალდო. ახლა დიდი რონალდო ცდილობს იურიდიულად ისე მოაგვაროს საქმე, რომ მომავალში ვაჟი მატერიალურად უზრუნველყოს და მისი ნახვის უფლებაც დაიტოვოს.

როგორც ცნობილია, რონალდო რიოში ხანგრძლივი ყოფნისა და ნაოპერაციევის მოშუშების შემდეგ, სამი კვირაა, რაც მილანში ჩავიდა. „ინტერის“ ფორვარდი იქ ვარჯიშობს და ისვენებს, თუმცა მთელი ამ ხნის განმავლობაში მილენ დომინგუში მასთან არავის უნახავს. ის სან პაულუში, მშობლების სახლშია და გაყრის პროცესისთვის ემზადება.



## აქაც გარი

**პრემიერლიგის** სპონსორმა, ლუდის მწარმოებელმა კომპანია „კარლინგმა“ გუშინ ჩვეულებისამებრ წინათვის საუკეთესო ფეხბურთელი და მწვრთნელი დაასახელა.

თუ ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურების სარბიელისეული მიმოხილვის თუნდაც სათაურებისთვის შეგივლიათ თვალი, უმალ მიხვდებით, ვინც გახდა აპრილის საუკეთესო ფეხბურთელი — რა თქმა უნდა, ლივერპულელი გარი მაკალისტერი.

წინა ხუთ მატჩში 36 წლის სქოთმა ხუთი გოლი შეაგდო, აქედან ოთხი დიდებული საჯარიმოთი და ერთიც პენალტით. „ბარსელონას“ კარში გატანილმა იმ პენალტმა „ლივერპული“ უეფას თასის ფინალში გაიყვანა, ხოლო საჯარიმოებიდან ერთ-ერთმა „ლივერპულს“ მოსისხლე მტერი „ევერტონი“ დაამარცხებინა მერსისაიდულ დერბიში და ამ გოლის გატანის დრო 94-ე წუთი იყო. —

აი, ასე გაიბრწყინა უბერებელმა გარიმ, რომელიც კარგა ხნის ჩამოწერილი ჰყავდათ და თურმე რამდენი შეძლებია. ისიც აღვნიშნოთ, რომ გარი მაკალისტერი აქამდე არასდროს მოხვედრილა „კარლინგის“ თვალთახედვის არეში.

სპონსორის განცხადებაში ნათქვამია: „მისი როგორც ნახევარმცველის გამოცდილება და გოლების გატანის უნარი მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ დიდი ფეხბურთელია“.

თვის მწვრთნელი კი „ლიდსის“ თავკაცი დევიდ ოლირი გახდა და უცნაური არც ამაშია რამე. ლიდსელებმა აპრილში ოთხი პრემიერლიგული თამაში ჩაატარეს და ოთხივე მოიგეს. დაამარცხეს — „საუთჰემპტონი“, „ლივერპული“, „ვესტ ჰემი“ და „ჩელსი“, ამასთანავე გავიდნენ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში. საერთოდ კი ოლირის გუნდს პრემიერლიგაში ზედიზედ ცამეტი წაუგებელი თამაში დაუგროვა.

საუკეთესოდ დასახელებისას „კარლინგმა“ აღნიშნა, დევიდ ოლირის დამსახურება მით უფრო დასაფასებელია, რომ მთელი სეზონი ნახევარი გუნდი დამტვრეული ჰყავდაო.

**გიორგი დარჯანია**

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

ამასწინათ ახალი ანეკდოტი (სავარაუდოდ ქალაქ რუსთავში მოგონებული) მოვისმინეთ და აღვშფოთდით. თუმც სანამ ჩვენი აღშფოთების კონკრეტულ მიზეზებს მოგიყვებით, თავად ანეკდოტს მოგახსენებთ.

აი, ანეკდოტი: ბექემი შერინგემს, ადამსს და სხვა ინგლისელ ფეხბურთელებს დაენიძლავა, საქართველოს ნაკრებს მარტო მოვუგებო. მილიონზე დანიძლავდნენ. გადაიკიდა ბექემმა ჩანთა და გამოფრინდა თბილისში. დანარჩენები ლონდონში დარჩნენ თამაშის ტელევიზორში სანახავად.

...ჩართეს ტელევიზორი. თამაში დაიწყო. პირველი ტაიმის 35-ე წუთისთვის ბექემი 2:0-ს იგებს. გაცოფდა შერინგემი, მილიონი წავაგეო და ტელევიზორს წიხლი ჰკრა. ტელევიზორი დაიმტვრა.

...გადის რამდენიმე დღე. ბექემი ლონდონში ბრუნდება. მეგობრები აეროპორტში ხვდებიან. ხედავენ, ბექემს ცხვირ-პირი ჩამოსტირის. რა მოგივიდა, მილიონი მოიგე და კიდევ ცუდ ხასიათზე ხარო, უსაყვედურეს.

რაღა რა მომივიდაო, უპასუხა ბექემმა, 2:0-ს ვიგებდი, მაგრამ მსაჯი საზიზღარი გამოდგა, პირველი ტაიმის მიწურულს მოედნიდან გამაძევა და თამაშიც 2:2 დასრულდაო.

ეს იყო ანეკდოტი.

ახლა იმის შესახებ, ჩვენ რატომ აღვშფოთდით.

ჯერ ერთი, ანეკდოტი თავიდანვე ტყუილით იწყება. არ არის ბექემი ის კაცი, ვინმეს მილიონზე რომ დაენიძლავება. სახეზე ეტყობა.

მეორე ტყუილი: წესებში ნათლად წერია, რომ თამაში შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე გუნდებში შვიდზე მეტი ფეხბურთელია.

მესამე ტყუილი: თუ თამაში მაინც ჩატარდა და ტელევიზიით გადაიცემოდა, დალოცვილი, მარტო ერთი ტელევიზორი აჩვენებდა? ვთქვათ და დაამტვრია შერინგემმა ის ერთი ტელევიზორი და აღარ ნახა მატჩი ბოლომდე, მეორე დღეს ან გაზეთში ვერ წაიკითხა შედეგი, ან ვინმემ არ უთხრა?

მეოთხე ტყუილი: მას მერე, რაც მსაჯმა ბექემი მოედნიდან გააძევა, როგორღა გადადიოდა საქართველოს ნაკრები მოწინააღმდეგის ნახევარზე? თანამსაჯი ოფსაიდს ვერ ამჩნევდა?

დაბოლოს, რუსთაველებს კატეგორიულად ვთხოვთ, სერიოზულად დაფიქრდნენ თავიანთი იდეურ-მორალური მომზადების დონეზე. ანეკდოტების საკუთარ ქვეყანაზე, მთავრობაზე, ნაკრებზე და სხვა რაღაცეებზე მოყოლა არ შეიძლება. რატომ? ამას ვერავინ გეტყვით, მაგრამ ასეა. თუ მაინც და მაინც ანეკდოტები გსურთ მოყევით სხვებზე, მაგალითად ამერიკელებზე... თუმცა, არა, ამერიკა ხომ ჩვენი მეგობარი ქვეყანაა.

მაშინ, გერმანელებზე... თუმცა არა, გერმანია ხომ ჩვენი მეგობარი ქვეყანაა და თან „ლევერკუზენი“ თბილისში რომ ჩამოვიდა, „ასპირინი“ ჩამოგვიტანა.

მაშინ, რუსებზე... დედა, ეს რა წამოგვცდა. როგორ შეიძლება.

მაშინ... მაშინ... ნუ, მეზობლები თავისთავად გამოირიცხებიან, რუმინელებზე, არგენტინელებზე და ეგეთებზე მოყოლას აზრი არ აქვს, არც გამოვა გემრიელი ანეკდოტი... მაშინ...

ჰა, დაგვეხმარეთ, რა!

თუმცა, სტოპ! აი, გამოსავალი: არანაირი ანეკდოტი! აიკრძალოს! და სამთავრობო დონეზე შეიქმნას ანტი ანეკდოტური რამდენიმეკაცა, რომელიც მკაცრად გააკონტროლებს, ქვეყანაში ვინმე ხუმრობის ხასიათზე ხომ არ არის.

**ბაბუნა ძიძია**

**ავტორი სიამოვნებით იქნებოდა მდიდარი. გთხოვთ, ალტერნატიული მოსაზრებით ნურავინ გამომეხმაურება**



## იტალია

პაატა კედია



ზინედინ ზიდანი (№21) რომაელებს სკუდეტოს ეცილება

# ჩემპიონი იუვენტუსი გახდება!

| XXIX ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ბოლონია | — | უდინეზე |
| ლეჩე | — | ბრეშა |
| ხვალ | | |
| ინტერი | — | ატალანტა |
| ლაციო | — | ბარი |
| ვერონა | — | ფიორენტინა |
| პერუჯა | — | მილანი |
| პარმა | — | ნაპოლი |
| ვიჩენცა | — | რეჯინა |
| იუვენტუსი | — | რომა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 28 | 19 | 6 | 3 | 55:26 | 63 |
| იუვენტუსი | 28 | 16 | 9 | 3 | 46:22 | 57 |
| ლაციო | 28 | 17 | 5 | 6 | 51:30 | 56 |
| პარმა | 28 | 13 | 8 | 7 | 40:22 | 47 |
| მილანი | 28 | 11 | 11 | 6 | 45:38 | 44 |
| ატალანტა | 28 | 10 | 12 | 6 | 35:25 | 42 |
| ინტერი | 28 | 11 | 8 | 9 | 38:35 | 41 |
| ბოლონია | 28 | 11 | 7 | 10 | 40:39 | 40 |
| ფიორენტინა | 28 | 9 | 12 | 7 | 47:40 | 39 |
| პერუჯა | 28 | 9 | 9 | 10 | 40:43 | 36 |
| ბრეშა | 28 | 7 | 11 | 10 | 32:37 | 32 |
| უდინეზე | 28 | 10 | 2 | 16 | 41:49 | 32 |
| ლეჩე | 28 | 7 | 10 | 11 | 35:46 | 31 |
| ვიჩენცა | 28 | 7 | 7 | 14 | 29:41 | 28 |
| ნაპოლი | 28 | 6 | 10 | 12 | 27:40 | 28 |
| რეჯინა | 28 | 7 | 5 | 16 | 24:43 | 26 |
| ვერონა | 28 | 6 | 6 | 16 | 29:50 | 24 |
| ბარი | 28 | 5 | 4 | 19 | 26:54 | 19 |

**„პერუჯასთან“** ფრე წაგების ტოლფასია — ამბობს „მილანის“ ხორვატი ნახევარმცველი ზვონიმირ ბობანი და ამტკიცებს, რომ ეს მატჩი „შავწითელთა“ კალენდარში ძნელ შეხვედრათა სერიას ხსნის: „კურის“ სტადიონზე სტუმრობას თანაქალაქელ „ინტერთან“ შეყრა, მერე „ფიორენტინას“ მასპინძლობა მოსდევს, ხოლო ამის შემდეგ „სტადიო ოლიმპიკოზე“ მილანელებს „რომა“ ელით.

პერუჯაში „მილანი“ სავარაუდოდ ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: როსი, ჰელვეგი, კოსტაკურტა, მალდინი, კოკო, გატუზო, ალბერტინი, კალაძე, სერჟინიო, ბირჰოფი, შევჩენკო.

ბობანი კი ამბობს: „ჩვენ ვიცით, რომ პერუჯიდან სამი ქულის წამოღება უძნელესი საქმეა, მაგრამ საამისოდ ყველა ღონეს ვიხმართ. თუ ჩემპიონატში მეოთხე ადგილს ვუმიზნებთ, ამ ტურში უეჭველად უნდა გავიმარჯვოთ“.

მიაქციეთ ყურადღება? ბობანი მალდინის სავარაუდო შემადგენლობაში არ არის, მაგრამ ისეა შემართული, გეგონებათ „კურის“ სტადიონზე ძირითადი ბრძოლა სწორედ მას უნდა დააწვეს. ვფიქრობთ, ეს მრავლისმეტყველი ამბავია.

ხორვატისგან განსხვავებით ფრანჩესკო კოკო მოედანზე იქნება და რა გასაკვირია, მოგების ჟინით რომ იყოს შემართული:

„ჩვენ კარგ ფორმაში ვართ, წინაალმდეგ შემთხვევაში ექვს შეხვედრაში 14 ქულას ვერ მოვიპოვებდით. ამიტომაც, გამარჯვება გვჭირდება და ამისთვის ვიბრძოლებთ კიდეც“.

მაგრამ ამ უქმეებზე იტალიაში „პერუჯასა“ და „მილანის“ მატჩი მთავარი არ არის. მთავარი ის დიდი დაპირისპირებაა, ტურინის „სტადიო დელე ალპიზე“ რომ გაიმართება, ლიდერი „რომა“ მდევარ „იუვენტუსს“ ხვდება. სხვაობა 6 ქულაა.

ამ დაპირისპირებას „იუვენტუსის“ ფრანგი ნახევარმცველი ზინედინ ზიდანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ის ამბობს:

„მთელი სეზონია ვამბობ, რომ „სკუდეტო“ ჩვენ უნდა მოვიგოთ და ამ სიტყვებზე უარს დღესაც არ ვამბობ. პრობლემა არ არის, ვიმეორებ და, ყველამ გაიგოს: ამ სეზონში „სკუდეტო“ „იუვენტუსმა“ უნდა მოიგოს. თუ ჩვენ ამ ტურში „რომას“ დავამარცხებთ, სხვაობა სამ ქულამდე შემცირდება და მერე ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

ზიდანს ჰკითხეს, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ „იუვენტუსი“ ვერ მოიგებსო. მან უპასუხა:

„მაშინ რაღაც-რაღაცეები შესაცვლელი იქნება. მაგრამ იცით რას გეტყვით, წარმოუდგენელია „იუვენტუსმა“ სამი წელიწადი ჩემპიონის ტიტულის გარეშე გაატაროს“.

„გაძეტა დელო სპორტი“ „იუვენტუსის“ და „რომას“ სავარაუდო შემადგენლობებსაც გვთავაზობს.

„იუვენტუსი“: ვან დერ სარი, ტუდორი, ფერარა, იულიანო, პესოტო, ძამბროტა, ტაკინარდი, დავიდსი, ზიდანი, ინძაგი, დელ პიერო.

„რომა“: ანტონიოლი, ალდაირი, სამუელი, მანგონე, კაფუ, ტომაზი, ძანეტი, კანდელა, ტოტი, ბატისტუტა, დელვეკიო.

აქამდე, კვირა ღამის მეტოქეები ტურინში 67-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. აქედან 44-ჯერ „იუვენტუსმა“ იმარჯვა, 17 თამაში ფრედ დასრულდა, ხოლო 6-ჯერ რომაელებმა გაიმარჯვეს. „იუვენტუსმა“ გაიტანა 132 გოლი, ხოლო „რომამ“ 45.

რაც შეეხება „იუვენტუსისა“ და „რომას“ ყველა შეხვედრას და მის სტატისტიკას, იგი ასეთია: 135 მატჩი, რომელთაგან ტურინელებმა 63 მოიგეს, ფრედ დასრულდა 39, ხოლო „რომამ“ 33-ჯერ იმარჯვა. „იუვენტუსმა“ გაიტანა 206 გოლი, „რომამ“ — 145.

ბოლოს „იუვენტუსმა“ „რომას“ გასულ სეზონში, 2000 წლის 13 თებერვალს მოუგო 2:1. ამ სეზონში, 2000 წლის 22 დეკემბერს, რომში ჩატარებული შეხვედრა 0:0 დასრულდა.

„სტადიო დელე ალპიზე“ „რომამ“ „იუვენტუსს“ ბოლოს 1995 წლის 23 დეკემბერს აჯობა — 2:0. მაშინ გოლები აბელ ბალბომ და ჩირო ფერარამ (საკუთარ კარში) გაიტანეს.

## ინგლისი

გიგა კობახიძე

# რა ურჩევნიათ ლიდსში?

| XXXVII ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| არსენალი | — | ლიდსი |
| ასტონ ვილა | — | ქოვენთრი |
| ბრედფორდი | — | მიდლსბრო |
| ჩელსი | — | ევერტონი |
| ლესტერი | — | ტოტენჰემი |
| ლივერპული | — | ნიუკასლი |
| მანჩესტერი | — | დერბი ქაუნთი |
| სანდერლენდი | — | ჩარლტონი |
| ვესტ ჰემი | — | საუთჰემპტონი |
| ზეგ | | |
| იფსვიჩი | — | სიტი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 35 | 24 | 8 | 3 | 77:25 | 80 |
| არსენალი | 35 | 19 | 9 | 7 | 59:34 | 66 |
| ლივერპული | 35 | 18 | 8 | 9 | 62:37 | 62 |
| ლიდსი | 35 | 18 | 8 | 9 | 54:39 | 62 |
| იფსვიჩი | 36 | 19 | 5 | 12 | 54:40 | 62 |
| ჩელსი | 35 | 15 | 9 | 11 | 62:41 | 54 |
| სანდერლენდი | 36 | 14 | 11 | 11 | 41:37 | 53 |
| ჩარლტონი | 36 | 14 | 10 | 12 | 48:50 | 52 |
| ასტონ ვილა | 36 | 12 | 15 | 9 | 43:38 | 51 |
| ნიუკასლი | 35 | 13 | 8 | 14 | 41:47 | 47 |
| ტოტენჰემი | 36 | 12 | 10 | 14 | 42:49 | 46 |
| საუთჰემპტონი | 35 | 12 | 10 | 13 | 35:42 | 46 |
| ლესტერი | 36 | 13 | 6 | 17 | 34:46 | 45 |
| ევერტონი | 36 | 11 | 8 | 17 | 42:55 | 41 |
| ვესტ ჰემი | 36 | 9 | 12 | 15 | 41:48 | 39 |
| მიდლსბრო | 36 | 8 | 14 | 14 | 41:42 | 38 |
| დერბი ქაუნთი | 36 | 9 | 11 | 16 | 35:58 | 38 |
| სიტი | 36 | 8 | 10 | 18 | 39:61 | 34 |
| ქოვენთრი | 36 | 8 | 9 | 19 | 34:60 | 33 |
| ბრედფორდი | 35 | 5 | 9 | 21 | 28:63 | 24 |

**ადგილობრივი** დროით დღის ხუთი საათისთვის ბევრი, ძალიან ბევრი რამ გაირკვევა. ოთხი პროფესიული ლიგა, 45 შეხვედრა და უმეტეს მათგანში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა — აი, ინგლისური ფეხბურთის დღევანდელი დღის ანონსი.

ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი? ის ლონდონში შედგება, მაგრამ არა „ჰაიბერიზე“, არამედ ოდნავ მოშორებით: „ბარნეტი“ „ტორკის“ მასპინძლობს. ეს მესამე დივიზიონია, სადაც ბოლო ტურია, საიდანაც მხოლოდ ერთი გუნდი ვარდება უკვე უხსენებელ ლიგაში. იმ ჭაობში ჩასული ბევრი უნახავთ. დაბრუნებული კი — თითო-ოროლა. ჰოდა, ამ ერთი უბედურის ბედი სწორედ ჩრდილო ლონდონში გადაწყდება — „ტორკი“ ბოლოსწინა, 23-ე ადგილზეა და 47 ქულა აქვს, ბოლოზე მყოფ მასპინძელ „ბარნეტს“ კი — 45. მოკლედ, თამაშია, დედა შვილს არ აიყვანს!

მთავარი პრემიერლიგური ჯახიც ლონდონის ჩრდილოეთშია, სადაც დევიდ ოლირი, თუ არ თვალთმაქცობს, თავისი „შვილების“ დასვენებას აპირებს. არადა, ვითომ ჩემპიონთა თასის აღება უფრო იოლია „ლიდსისთვის“, ვიდრე ჩემპიონატის სამეულში მოხვედრა? მომავალ ჩემპიონთა ლიგაში გასაღწევად ხომ მხოლოდ ეს ორი გზა არსებობს. „იმდენ მოთამაშეს დავასვენებ, რამდენსაც შევძლებ“ — განაცხადა გუშინ იორკშირელთა ირლანდიელმა მწვრთნელმა, ვინც მთელი თავისი კარიერა „არსენალში“ გაატარა, ახლა კი ყოფილ გუნდს ლიგის საგზურს ეცილება. „ჩემი პრიორიტეტი ჩემპიონთა თასის ფინალში გასვლაა. მე სამშაბათი უფრო მაინტერესებს, ვიდრე შაბათი“ — ამბობს ოლირი. დავიჯეროთ, მართლა ასეა? „ლიდსის“ თავკაცი გვაჯერებს „ჩემმა ბიჭებმა ოთხშაბათს „ვალენსიასთან“ თამაშს მთელი ძალები შეალიეს, „არსენალთან“ კი ამას ვერც მოვთხოვ და რომც მოვინდომო, აღარ გამოვა“.

ამჟამად „ლიდსი“ მეოთხეა და იმდენივე ქულა აქვს, რამდენიც „ლივერპულსა“ და „იფსვიჩს“. მოიგებენ დღეს იორკშირელები? — სამეული თითქმის განაღდებული აქვთ, ვინაიდან ბოლო ორ შეხვედრაში უკვე გავარდნილ „ბრედფორდს“ და ზედიზედ რვა მარცხით გაბრუებულ „ლესტერს“ მასპინძლობენ. არსენ ვენგერის გუნდი მოიგებს? — სამეული ყოველგვარი თითქმის გარეშე განაღდებული აქვს.

„ლიდსის“ პლუსია ის, რომ 26 დეკემბრის მერე სტუმრად არ დამარცხებულა, ბოლო ექვს შეხვედრაში მხოლოდ ორი გოლი გაუშვა, „არსენალთან“ ბოლო დუელში კი გასულ ნოემბერს დაკურის გვიანი გოლით იმარჯვა.

„ლიდსის“ მინუსია, რომ წინა სეზონში „არსენალთან“ ორივე მატჩი წააგო (შინ 0:4, ლონდონში 0:2), „ჰაიბერიზე“ არ მოუგია 1994 წლის დეკემბრის მერე, დისკვალიფიცირებულია დევიდ ბეტი და რაც მთავარია, ოლირი ხალხის დასვენებას აპირებს იმ დროს, როცა ვენგერს ხუთკვირიანი შესვენების შემდეგ დენის ბერხკამპი დაუბრუნდა. მოკლედ მიდი და გაიგე, რა ხდება!

დიდი ამბავია ქოვენთრიში: ვერ მოუგებს იქაური „სიტი“ ბირმინგემელებს, გავარდება. გავარდება პირველად 1968 წლის შემდეგ, თუმცა გორდონ სტრაჩანი იმედს არ კარგავს და აცხადებს: „ჩვენ შეგვიძლია ბოლო ორი თამაშის მოგება და ამაში შეუძლებელს ვერაფერს ვხედავ“. „ქოვენთრის“ სქოთმა მწვრთნელმა კვირის დასაწყისში გოლფის ტურნირზე ავტომანქანა მოიგო, რაც ფანებს კარგად ენიშნათ — ესე იგი, იღბლიანი კვირა აქვსო. შეგახსენებთ, რომ წინა მატჩი „ქოვენთრიმ“ „ლივერპულთან“ წააგო და ერთი გოლი ყოფილ თანაკლუბელებს გარი მაკალისტერმა გაუტანა. მსგავსი რამ დღესაცაა მოსალოდნელი, ვინაიდან „ასტონ ვილას“ თავდასხმის ლიდერი სწორედ ექს-ქოვენთრელი დიონ დაბლინია.

ელიტაში დარჩენის შანსი კიდევ ერთ „სიტისაც“ შემორჩენია, თუმცა შესაძლოა, ეს მანჩესტერული გუნდი დღეს ისე დაემშვიდობოს პრემიერლიგას, ფეხიც კი ვერ მოიქნიოს — ჯო როილის შეგირდებს თამაში ორშაბათს უწევთ და თუ დღეს ყველაფერი მათთვის ცუდად დამთავრდა, ჩემპიონთა ლიგის კიდევ ერთ მოსურნე „იფსვიჩს“ უკვე პირველდივიზიონელის სტატუსით ესტუმრებიან.

კვლავ საფრთხის ქვეშაა „დერბი ქაუნთი“, რომელიც დღეს ჩემპიონს ეთამაშება, შემდეგ ტურში კი „იფსვიჩს“. ამიტომ „ცხვრები“, ვგონებთ, კონკურენტთა წარუმატებლობის იმედად უფრო არიან. მართალია, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჩემპიონობა სამი კვირის წინ მოიპოვა და აწი არაფერი ადარდებს, ძნელი სავარაუდოა, რომ ქინქლაძის გუნდმა „ოლდ ტრეფორდზე“ რაიმეს მიაღწიოს. მითუმეტეს, რომ ჩემპიონთათვის განკუთვნილ თასს ფეხბურთის ასოციაცია მანჩესტერელებს სწორედ დღეს ჩააბუტებს, ზეიმის ჩამწარება კი არავის სურს. „შაბათს ჩვენთან საკარნავალო ატმოსფერო იქნება. ერთი სული მაქვს, თასს ხელს როდის შევახებ“ — ამბობს ფილ ნევილი.

„ოლდ ტრეფორდიდან“ ნახევარი საათის სავალზე, ლივერპულის „ენფილდ როუდზე“ კი ჟერარ ულიე კვლავ უძლიერესი შემადგენლობის გამოყვანას აპირებს. სხვა რა გზა აქვს — ორი თვეა, ეს გუნდი მხოლოდ მნიშვნელოვან მატჩებს ატარებს. ინგლისის თასის ფინალამდე ერთი კვირით, უეფას თასის ფინალამდე კი 11 დღით ადრე „ლივერპული“ (თუ პირველი) უშირერო „ნიუკასლს“ ხვდება და მეოთხე ფრონტის მთავარი მიზნის, სამეულში მოხვედრის, გადაჭრას შეეცდება.



პირველი წრის ლიდსი — არსენალი. იორკშირელებმა ოლივიე დაკურის (№4) ამ გოლით იმარჯვეს

## გერმანია

ვანო ოქროპირიძე
ბერლინიდან

# კატენაჩოს გენერალი

| XXXII ტური | |
|---|---|
| დღეს | |
| აინტრახტი | ბოხუმი |
| ჰანზა | კოტბუსი |
| შალკე | ვოლფსბურგი |
| ლევერკუზენი | ბაიერნი |
| მიუნხენი | კიოლნი |
| ჰამბურგი | ლაუტერნი |
| ხვალ | |
| ფრაიბურგი | ჰერტა |
| ვერდერი | უნტერჰახინგი |
| გუშინ | |
| დორტმუნდი | შტუტგარტი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შალკე | 31 | 16 | 8 | 7 | 58:30 | 56 |
| ბაიერნი | 31 | 17 | 5 | 9 | 58:35 | 56 |
| დორტმუნდი | 31 | 15 | 8 | 8 | 55:38 | 53 |
| ლევერკუზენი | 31 | 16 | 5 | 10 | 52:38 | 53 |
| ჰერტა | 31 | 17 | 1 | 13 | 56:50 | 52 |
| ლაუტერნი | 31 | 15 | 4 | 12 | 47:50 | 49 |
| ფრაიბურგი | 31 | 12 | 10 | 9 | 46:35 | 46 |
| ვერდერი | 31 | 13 | 7 | 11 | 47:47 | 46 |
| კიოლნი | 31 | 12 | 9 | 10 | 54:43 | 45 |
| ვოლფსბურგი | 31 | 11 | 11 | 9 | 55:39 | 44 |
| მიუნხენი | 31 | 11 | 7 | 13 | 40:53 | 40 |
| ჰამბურგი | 31 | 10 | 9 | 12 | 54:52 | 39 |
| ჰანზა | 31 | 11 | 6 | 14 | 33:44 | 39 |
| შტუტგარტი | 31 | 8 | 10 | 13 | 40:47 | 34 |
| უნტერჰახინგი | 31 | 8 | 10 | 13 | 31:50 | 34 |
| კოტბუსი | 31 | 10 | 3 | 18 | 33:49 | 33 |
| აინტრახტი | 31 | 8 | 5 | 18 | 36:64 | 29 |
| ბოხუმი | 31 | 7 | 6 | 18 | 29:60 | 27 |



ანდრეას მიოლერი

**„მათ კონფლიქტს** თუ ჩვენი ინტერესები შეეწირა, ორივეს გუნდიდან წასვლა მოუწევს, იმისმიუხედავად ვინ იქნება დამნაშავე“ — განაცხადა ოთხშაბათს გელზენკირხენის „შალკეს“ მენეჯერმა რუდი ასაუერმა, რომელმაც იმ „ორში“ კლუბის თავკაცი ჰუუბ სტევენსი და ერთ-ერთი ლიდერი ანდრეას მიოლერი იგულისხმა. მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის შავმა კატამ შაბათს „ბოხუმთან“ დაკარგული ორი უძვირფასესი ქულის შემდეგ გაირბინა. იმ შეხვედრაში მიოლერმა რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი გააფუჭა. ნამატჩევს სტევენსს რომ ჰკითხეს, მიოლერი რატომ გამოცვალეთო, უპასუხა, მოგება მინდოდა და იმიტომო. ამ სიტყვებმა 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გაანაწყენა. შედეგად მწვრთნელ-შეგირდს შელაპარაკება მოუვიდათ, თუმცა ხმამაღლა არაფერს ამბობენ. „არანაირი კომენტარი, სათქმელი არაფერი მაქვს“ — ორივემ ამ შინაარსის სიტყვებით გაისტუმრა ჟურნალისტები.

ბუნდესლიგის დასრულებამდე სამი ტური დარჩა, ჩემპიონობისთვის ასეთი დაძაბული ბრძოლა გერმანიაში არ ახსოვთ. „ეს უკვე ნერვების ბრძოლაა, ჩემპიონი ის გახდება, ვისაც უფრო მტკიცე ხასიათი აქვს“ — აღნიშნავს „ბილდი“. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ ჩემპიონი ისევ „ბაიერნი“ უნდა გახდეს, რადგან მისნაირი გამოცდილებითა და ხასიათით ვერცერთი კონკურენტი დაიკვეხნის. „შალკეს“ კი როგორც ჩანს ნერვები უკვე ღალატობს.

გელზენკირხენელები დღეს „ვოლფსბურგს“ მასპინძლობენ, კლუბს რომელთანაც პირველ წრეში 0:2 დამარცხდნენ. საერთოდ კი შვიდჯერ შეხვედრიან, ერთხელ მოუგიათ, ერთხელ, წლეულს პირველ წრეში წააგეს და ხუთჯერაც ფრედ ითამაშეს. „ცხადია, ახლა უნდა მოვიგოთ, სხვა არჩევანი არ გვაქვს“ — ამბობს შალკელთა მეგოლე ებე სანდი. მასპინძლებს დისკვალიფიცირებული ჰაიტო არ ეყოლებათ, სტუმრები კი ერთბაშად აკპობორის, აკონორსა და ბილიშკოვს მოისაკლისებენ. აკპობორი ვოლფსბურგელად შეგიძლიათ აღარც ჩათვალოთ, მას მოგეხსენებათ, ბავშვებით ვაჭრობაში სდებენ ბრალს, კლუბმაც აბა, ეგეთი კაცი გუნდში გასაჩერებელი არაო და დაითხოვა.

„შალკეს“ შევეშვათ და ტურის მთავარ მატჩზე ვთქვათ — „ლევერკუზენი“ მიუნხენის „ბაიერნს“ მასპინძლობს. „ჩვენ „ბაიერნს“ მოვუგებთ“ — ირწმუნება ლევერკუზენელთა თავკაცი ბერტი ფოგთსი, რომელსაც კარგად მოეხსენება რომ ამ სიტყვის შეუსრულებლობისთვის პასუხს მოსთხოვენ, მაგრამ ეს ამბავი მწვრთნელს დიდად აღარ აღარდებს, რადგან...

„გერმანიაში მუშაობა აღარ მინდა, აქ არავის ვჭირდები. ვერ გამიგია რას ვაკეთებ ისეთს, რომ ჩემს მიმართ ყველა ასე აგრესიულია“ — აცხადებს მწვრთნელი, რომელსაც უცხოეთში მუშაობის სურვილი გასჩენია.

ერთი სიტყვით ასეა, ფოგთსი „ლევერკუზენის“ თავკაცი არის და არც არის. თვითმხილველები ამბობენ, ვარჯიშებზე მთვარი მწვრთნელის შთაბეჭდილებას პეტერ ჰერმანი უფრო ტოვებსო, რომელიც ბერტის თანაშემწედ, ცხადია, მის დაუკითხავად კლუბის მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა ერთი კვირის წინ დანიშნა.

ჰოდა, ასეთი არეული „ლევერკუზენი“, დღეს სუპერ, სუპერ, სუპერ-„ბაიერნს“ მასპინძლობს, რომელსაც მეჰმეთ შოლი არ ეყოლება. მას „რეალთან“ მატჩის მერე ფეხის თაბაშირში ჩასმა დასჭირდა და „კატენაჩოს გენერალი“ საგონებელში ჩააგდო, რადგან შესაძლოა ვერც ოთხშაბათს ითამაშოს მადრიდელებთან საპასუხო შეხვედრაში. „კატენაჩოს გენერალის“ ვინაობა თუ გაინტერესებთ გეტყვით — იგი ოტმარ ჰიცფელდია, რომელსაც მანჩესტერში და მადრიდში ნათამაშები დაცვითი ფეხბურთი მოუწონეს, ცხადია, საბოლოო შედეგის გამო და ახალი მეტსახელიც მოუძებნეს.

„დაივიწეთ „რეალი“ ჯერ „ლევერკუზენი“ გველის, რომელსაც აუცილებლად უნდა მოვუგოთ“ — აფრთხილებს შეგირდებს ჰიცფელდი. იგი დღეს რამდენიმე ცვლილებას აპირებს, მაგალითად ძირითადში აბრუნებს ჩირიაკო სფორცას. შვეიცარიელს ჯერ მომხადების დონეს უწუნებდნენ, მერე კი ტრავმა მიიღო და ამის გამო დიდი ხანი აღარ გამოჩენილა.

ჩემპიონობის კიდევ ერთი მოსურნე „დორტმუნდი“ წუხელ „შტუტგარტს“ მასპინძლობდა და მოგების შემთხვევაში ლიდერებს ქულებით უთანაბრდებოდა. დორტმუნდელთა მატჩისწინა განწყობით თუ ვიმსჯელებთ, მიზნის მიაღწევდნენ.

„ჰერტა“ კი ფრაიბურგში ჩადის, სადაც ისევ არ იქნება ლევან ცქიტიშვილი, რომელსაც მკურნალობის პროცესი ნამეტანი გაუგრძელდა.

„ფრაიბურგი“ კარგი გუნდია, მაგრამ ბოლოში, ჩვენ მოგება გვჭირდება და იქ მხოლოდ სამი ქულისთვის მივდივართ“ — იმუქრება იურგენ რიობერი, ბერლინელთა თავკაცი. ვითომ შეძლებს „ჰერტა“ ფრაიბურგში ზედიზედ მესამედ მოგებას, ბოლო ორი სტუმრობისას ბერლინელებმა 1:0 და 2:0 იმარჯვეს. ისე, სტუმრებს მიზნის მიღწევაში, შესაძლოა, მასპინძელთა ტუნისელი ლეგიონერების ბაიასა და სელიმის არყოფნაც დაეხმაროთ, ორივე თავისი ქვეყნის ნაკრებშია მიწვეული. „ჰერტას“ ქომაგები დღესვე სტადიონზე რამდენჯერმე სთხოვენ ერთხმად სებასტიან დაისლერს (მას „ბაიერნი“ ეპატიჟება) ბერლინულ კლუბში დარჩენას. გასჭრის თუ არა თხოვნა, შედეგს სეზონის ბოლოს გამოჩნდება.

არჩილ არველაძის „კიოლნი“ „მიუნხენ 1860„-ს ეწვევა. „კიკერის“ ინფორმაციით, წინა ტურში გატანილი გოლის მიუხედავად ქართველი ფორვარდი კვლავ სათადარიგოთა სკამზე იჯდება.

ახლა ცხრილის მეორე ნაწილს ჩავხედოთ, სადაც არანაკლებ დაძაბული ვითარებაა. ყოფნაარყოფნისთვის „შტუტგარტი“, „უნტერჰახინგი“„ „კოტბუსი“ და „აინტრახტი“ იბრძვიან. ბოხუმელებს თუ ჰკითხავთ, ლიგაში დარჩენის შანსები მათაც აქვთ, მაგრამ ეგეთ შანსს თეორიული უფრო ეთქმის, ვიდრე პრაქტიკული.

თითქმის იგივე მდგომარეობაშია „აინტრახტი„ რომელსაც დარჩენილ სამ თამაშში ხუთი ქულის ამოქაჩვა სჭირდება, რათა გაისადაც ელიტაში ითამაშოს. ეს ამოცანა, ფრანკფურტელთა თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამოუხსნელია. თუმცა საამსაქმოდ მიწვეული ფრიდელ რაუში იმედს არ კარგავს. „რაც მწვრთნელად დავინიშნე, სულ ძლიერ მეტოქეებთან მოგვიხდა თამაში. „ბაიერნი“, „ლევერკუზენი“, „ჰერტა“, „კაიზერსლაუტერნი“... რა უნდა მექნა? ახლა კი კარგი კალენდარი გვაქვს და უნდა გამოვიყენოთ“ — ამბობს იგი. თუ ვერ გამოიყენეს, მაშინ აინტრახტელებს ქომაგთა რისხვა არ ასცდებათ, რომლებიც კლუბის ოფისში მუქარის წერილებს დიდი ხანია აგზავნიან.

პატარა „კოტბუსის“ გულშემატკივრებს კი მხოლოდ ერთი კაცის ეიმედებათ. იგი კაპიტანი ვასილ მირიუტა გახლავთ, რომელიც ორიოდე დღის წინ „ჰამბურგთან“ მოლაპარაკებას აწარმოებდა, მაგრამ უშედეგოდ.

## ესპანეთი

გიორგი დარჯანია

# გალისიელთა და ბავარიელთა საქმე

| XXXIII ტური | |
|---|---|
| დღეს | |
| სოსიედადი | ვალენსია |
| სელტა | რეალი |
| ესპანიოლი | ბარსელონა |
| ხვალ | |
| ვალიადოლიდი | მალაგა |
| ოვიედო | ბილბაო |
| ალავესი | რასინგი |
| რაიო ვალეკანო | დეპორტივო |
| ოსასუნა | მალიორკა |
| სარაგოსა | ნუმანსია |
| ვილიარეალი | ლას პალმასი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 32 | 21 | 6 | 5 | 70:33 | 69 |
| დეპორტივო | 32 | 18 | 6 | 8 | 61:38 | 60 |
| ვალენსია | 32 | 16 | 8 | 8 | 49:25 | 56 |
| მალიორკა | 32 | 15 | 11 | 6 | 46:38 | 56 |
| ბარსელონა | 32 | 14 | 10 | 8 | 69:51 | 52 |
| სელტა | 32 | 13 | 9 | 10 | 44:45 | 48 |
| ვილიარეალი | 32 | 13 | 8 | 11 | 49:47 | 47 |
| ალავესი | 32 | 13 | 7 | 12 | 49:44 | 46 |
| მალაგა | 32 | 13 | 7 | 12 | 52:51 | 46 |
| ესპანიოლი | 32 | 13 | 6 | 13 | 40:33 | 45 |
| ბილბაო | 32 | 11 | 9 | 12 | 41:44 | 42 |
| რაიო ვალეკანო | 32 | 9 | 12 | 11 | 52:55 | 39 |
| ლას პალმასი | 32 | 11 | 6 | 15 | 33:52 | 39 |
| სარაგოსა | 32 | 8 | 12 | 12 | 48:51 | 36 |
| ვალიადოლიდი | 32 | 8 | 11 | 13 | 35:43 | 35 |
| ოვიედო | 32 | 9 | 7 | 16 | 40:57 | 34 |
| სოსიედადი | 32 | 8 | 9 | 15 | 40:62 | 33 |
| ოსასუნა | 32 | 7 | 11 | 14 | 37:48 | 32 |
| რასინგი | 32 | 8 | 7 | 17 | 39:53 | 31 |
| ნუმანსია | 32 | 7 | 8 | 17 | 32:56 | 29 |



ვიქტორ ფერნანდესი

**ვიგოელები** ფრიად კმაყოფილნი დარჩნილან ჩემპიონთა ლიგაში „ბაიერნისგან“ „რეალის“ დამარცხებით. „რეალი“ ახლა მხოლოდ მიუნხენში საპასუხო მატჩზე ფიქრობს და წარმოუდგენელია, მთელი ენერგია ჩვენ დაგვახარჯოს, ესპანეთის ჩემპიონობა ხომ ფაქტობრივად განაღდებული აქვს“ — ასე იმშვიდებს თავს „სელტას“ მწვრთნელი ვიქტორ ფერნანდესი და ლოგიკურად ასეც უნდა იყოს.

ამ მოსაზრებას ასეთი ცნობაც ამყარებს — ვისენტე დელ ბოსკე „ბაიერნთან“ საპასუხო მატჩის წინ სტივ მაკმანამანის, ივან ელგერას, ხოსე მარია გუტიერესის და კლოდ მაკალელეს დასვენებას აპირებს. თუმცა ნუ დავივიწყებთ, რომ „რეალს“ სათადარიგოთა სკამზე არცთუ ურიგო ფეხბურთელები უზის: ივან კამპო, ფლავიო კონსეისაო, ალბერტ სელადესი, სანტიაგო სოლარი და სავიო, რომლებიც სავარაუდოდ მოედანზე გავლენ.

მეორე მხრივ, „სელტაც“ ბრწყინვალედ თამაშობს. გუნდი, რომელიც საშობაოდ გასავარდნთა ზონის შორიახლოს ტრიალებდა და მწვრთნელს მოხსნას უპირებდნენ, ბოლო თოთხმეტ შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ დამარცხდა და მეექვსე ადგილამდე ალზევდა, რაც მომავალ სეზონში უეფას თასზე თამაშის უფლებას იძლევა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამ პატივს გალისიელებს ბარე ოთხი გუნდი ეცილება, რომლებიც „სელტას“ ერთ წაფორხილებას ელოდებიან.

კიდევ დავუმატოთ, რომ ბრწყინვალე ფორმაში არიან დიეგო კატანია, გუსტავო ლოპესი და უპირველესად ალექსანდრ მოსტოვოი, რომელიც წინა ტურებში „დეპორტივოსთან“ და „ბარსელონასთან“ მატჩების გმირი გახდა.

ვერაფრით ვიხსენებ, როდის ვერ მოიგო „ბარსელონამ“ აქამდე ზედიზედ ექვსი თამაში და მოუგებელი სერია შვიდამდე თუ გაზარდა, ნალდი საოცრება იქნება. თუმც ეს კიდევ არაფერი. მთავარი ისაა, რომ 17 ივნისს, პრიმერადივიზიონის ბოლო ტურის მერე ცხრილს რომ ჩახედავთ, „ბარსელონა“ შესაძლოა ოთხეულს მიღმა, ანუ ჩემპიონთა ლიგის მიღმა აღმოჩნდეს. მაგრამ ეს მაინც ნაკლებად მოსალოდნელი რამაა, რადგან კარლოს რექსაჩის ხელი გუნდს წინა თამაშისას უკვე დაეტყო, როცა „ბარსელონამ“ „სელტა“ დააწიოკა, თუმცა მაინც ვერ დაამარცხა.

აქვე აღვნიშნოთ, რომ „ბარსას“ თანაქალაქელი და ახლანდელი მეტოქე „ესპანიოლი“ ოთხი წელია, რაც „მონტჯუისზე“ გადაბარგდა და აქედან მოყოლებული „ბარსელონა“ ვერ დაუმარცხებია.

დღევანდელ შეხვედრაში კატალონიელთა უპირველეს გუნდს წინა ტურში მიღებული მეხუთე ყვითელი ბარათის გამო პეპ გვარდიოლა და გაბრი არ ეყოლება, პატრიკ კლუივერტმა კი სასჯელი უკვე მოიხადა.

„ვალენსია“ სან სებასტიანს ესტუმრება და მაურისიო პელეგრინოს, ხუან სანჩესის და მიროსლავ ჯუკიჩის გარეშე მოუწევს თამაში. პელეგრინოს კუნთი უტკენია, დანარჩენი ორნი კი დისკვალიფიცირებულნი არიან. ამათ გარდა, ექტორ რაულ კუპერი სავარაუდოდ რამდენიმე ფეხბურთელსაც დაასვენებს, რათა შუა კვირაში „ლიდსს“ მხნედ დახვდეს. თუმცა ასეთი არჩევანი „ვალენსიასთვის“ შესაძლოა საბედისწეროც გამოდგეს, რაკი მისი ოთხეულში მოხვედრა გარანტირებული სულაც არაა და ვითომ კუპერი ლიგის უცილობლად მოგების იმედადაა?

„რეალ სოსიედადს“ კი უმძიმესი დანაკლისი აქვს. წინა ტურში გაძევებულ ედგარას იანკაუსკასს ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. არადა, ლიტველი ბასკთა ბომბარდირია.

„დეპორტივოს“ დივიზიონში ბოლო ოთხი გასვლითი მატჩი წაგებული აქვს და ლიგაში „ელანდ როუდზე“ წაგებასაც თუ დავუმატებთ, ხუთი გამოვა. დამეთანხმებით, ჩემპიონობაზე მელცნებე გუნდისთვის ეს საზიზღარი შედეგია. თუმცა ჩემპიონობაზე აღარც უნდა ფიქრობდნენ გალისიელნი — „რეალი“ ძალიან წინაა გაჭრილი.

ამ უქმეებზე მადრიდის გარეუბან ვალეკანოში ჩასულ ლაკორუნიელებს ვეტერანი დონატო დისკვალიფიკაციისა და ნურედინ ნაიბეტი სანაკრებოდ გამოძახების გამო ვერაფრით დაეხმარებიან.

უეფას თასის ფინალში გასვლამ შინაურ ჩემპიონატში ჩვენს თამაშს დაღი დაასვაო, წუხს „ალავესის“ თავკაცი ხოსე მანუელ ესნალ პარდო, რომლის გუნდმაც წინა ორი მატჩი წააგო და უეფას თასი თუ ვერ მოიგო, გაისად ევებ ევროტურნირის მიღმა დარჩეს.

ვიტორიელთათვის ერთი კარგი ამბავიცაა — მტკივანი კოჭი მოირჩინა და ერთთვიანი მკურნალობის მერე მინდორზე ბრუნდება ხავი მორენო, რომელსაც გაცდენამ ბომბარდირთა სიაში პირველობა დააკარგვინა. სამაგიეროდ, ბასკებს დისკვალიფიცირებული ოსკარ ტელიესი არ ეყოლებათ.

რა უნდა „ნუმანსიას“? გათამაშების ცხრილში მის ადგილსამყოფელს შევხედოთ და რაც უნდა, იოლად გამოვიცნობთ.

ბარსელონელთა ოთხეულში მოხვედრის აუცილებელი პირობა „მალიორკას“ მიერ ქულების დაკარგვაა. ხვალ კუნძულელები პამპლონაში ეთამაშებიან „ოსასუნას“, რომელმაც „ბარსელონასა“ და „რეალს“ ოთხი ქულა აწაპნა. „მალიორკას“ პამპლონაში სამუელ ეტოო ვერ გაჰყვა, რომელმაც სულ სხვა მიმართულებით, კამერუნისკენ გასწია, რათა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ანგოლის წინააღმდეგ გაისარჯოს.

ოვიედოში ის გუნდები ხვდებიან, რომლებიც შინ კარგად თამაშობენ და გასვლაზე — ცუდად. ბილბაოელთა მდგომარეობას ხოსება ეჩებერიას და იულიენ გერეროს ტრავმები და ბიტორ ალკისას დისკვალიფიკაცია ამძიმებს.

„ვილიარეალს“ ოღენ ერთი ქულა აკლია სანუკვარ მეექვსე ადგილამდე და უეჭველად თავს დადებს „ლას პალმასთან“ შეხვედრაში, მით უფრო, რომ მარტინ პალერმომ სასჯელი პატიოსნად მოიხადა და მინდორს უბრუნდება. კანარის კუნძულელებს ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეული გიარე არ ეყოლებათ.

## NBA. პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე)

# ჯაზი შეწყდა



REUTERS სოლტ ლეიკ სიტი

იუტელი ჯონ სტოქტონი (მარჯვნივ) სტივ ნეშის წინააღმდეგ

**დასავლეთი**

3 მაისი

| | |
|---|---|
| იუტა | 2 |
| დალასი | 3 |

**იუტა 83:84 დალასი**

**იუტა:** მელოუნი (24 ქულა, 10 მოხსნა), რასელი (15), პოლინაისი (12)
**დალასი:** ფინლი (33), ჰოვარდი (19), ნოვიცკი (18)

ახლა უკვე დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ „იუტა ჯაზი" კარგა ხნით ჩამოშორდება ტიტულისთვის ბრძოლას. 1997 და 1998 წლის ვიცე-ჩემპიონი თანდათან სუსტდება, რაც პირდაპირ კავშირშია გუნდის ორი მხცოვანი ლიდერის — კარლ მელოუნისა და ჯონ სტოქტონის ასაკის მატებასთან. ნბა-ს ყველა დროის მეორე მექულე, მელოუნი მალე 38 წლისა მოიყრება, ყველა დროის პირველი მეპასე ჯონ სტოქტონი კი ამ ცოტა ხნის წინ მეორმოცე წელში გადადგა. ეს შეხმატკბილებული დუეტი საკმარისად ძლიერია იმისთვის, რომ „იუტა" პლეი ოფში გაიყვანოს, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან იქ რაიმე ღირებულის მიღწევა არარეალურია.

აგერ „იუტა" პირველ წრესაც კი ვერ გასცდა, პირველად ბოლო ექვს წელიწადში. ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ „ჯაზის" ქომაგები მათგან უმთავრესს, გუნდის ლიდერთა საპენსიო ასაკს გამორიცხავენ. „იუტამ" სერიის გადამწყვეტი, მეხუთე თამაში ბოლო წამებზე წააგო, ყველაფერი ერთმა სროლამ გადაწყვიტა და შესაძლოა პირიქით მომხდარიყო. ნება გვიბოძონ, არ დავეთანხმოთ მათ, „იუტა" სერიაში 2:0 წინ იყო და მომდევნო სამი მარცხი შემთხვევითობის კი არა, გადაღლილობის ბრალი უფრო უნდა იყოს. კი, კარლ მელოუნი რკინის კაცია, დღესაც ძალიან ძლიერია და 16-წლიან კარიერაში ლამის ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი მატჩები გამოუტოვებია, მაგრამ ფაქტი სახეზეა — მას ამ სერიის ბოლომდე ჯანი არ მიჰყვა. ბოლო თამაშის ბოლო მეოთხედში ის საკუთარ აჩრდილს ჰგავდა.

მეხუთე შეხვედრა მთლიანად სერიის ანარეკლი გახლდათ. „იუტას" არ გასჭირვებია თავდაპირველად სოლიდურად დაწინაურება. გამართულად მუშაობდა ბებრული მანქანა. სტოქტონი ცოტას აგდებდა, სამაგიეროდ, თანაგუნდელებს პასებს არ უგვიანებდა და საბოლოოდ 11 პასიც მოუგროვდა. ვეტერანებს კარგად უბავდნენ მხარს ასევე მხცოვანი ოლდენ პოლინაისი და 30 წლის „ახალგაზრდა" დონიელ მარშალი (11 ქულა). ამიტომაც იყო, რომ „იუტაც" თავიდანვე მოსწყდა მეტოქეს. მასპინძლებმა საწყისი მეოთხედი 20:16 მოიგეს, მეორე კი სულაც 28:17 და 15 ქულით გაუსწრეს სტუმრებს, რაც სანახევროდ გამარჯვებას ნიშნავდა. ახლა კი გავტეხეთ ეს ურჯუკი ტეხასელები, მაგათ სასწაული თუ იხსნისო, ფიქრობდა თავის კერპთა ზეობით ალტაცებული დარბაზში თავშეყრილი ოცი ათასი ქომაგი და კიდევ რამდენჯერმე მეტი სოლტლეიკსიტელი, რომელთაც იმ დღეს ბილეთები არ ერგოთ, მაგრამ მათ დაავიწყდათ, რომ „დალასმა" ამ სერიაში ხალხი სასწაულს მიაჩვია.

ტეხასელებს, როგორც ყოველთვის, დრო დასჭირდათ გონზე მოსასვლელად. მათ მესამე მეოთხედში თოთხმეტ ქულამდე შეამცირეს სხვაობა და გენერალური ბრძოლა მეოთხე მეოთხედისთვის გადადეს, როდესაც „იუტას" საბოლოოდ გამოეცლებოდა ძალა. გადამწყვეტი თორმეტწუთეული სტუმართა შტურმით დაიწყო. თავისიანებს მაიკლ ფინლი წაუძღვა და მეოთხედში ცხრა ქულა მიითვალა. მანამდე უქულოდ მყოფმა გამთამაშებელმა სტივ ნეშმაც გამოიღვიძა, სამი სამქულიანი ჩააგდო და ხუთი პასიც გააზერხა. სხვებიც თვალის დახამხამებაში გამოცოცხლდნენ და „დალასმა" 18:4 გაქცევა მოაწყო. „იუტა" შეშფოთებით ადევნებდა თვალს მოვლენათა განვითარებას, თავად კი ვერაფერს აზერხებდა. მასპინძლებმა ბოლო მეოთხედში ოდენ 12 ქულა მოინაგრეს.

„დალასში" ბევრი კარგი ბიჭი თამაშობს: ფინლი, ნეში, ნოვიცკი, ჰოვარდი... მაგრამ იმ მატჩის გმირობა სულ სხვას ერგო. კელვინ ბუთი „მავერიქსის" ძირითადიც კი არაა, იგი აყლაყუდა ცენტრ შონ ბრედლის ცვლის ხოლმე და ბოლო მეოთხედში მოედანზე იყო. შესანიშნავადაც გაისარჯა დაცვაში, მეოთხედში ექვსი მოხსნა და ორი დაფარება გააზერხა, მაგრამ შეტევაში დიდი ვერაფერი ბიჭია, იმ თამაშში მხოლოდ ერთხელ შეუტია „იუტას" კალათს და ისიც უშედეგოდ, ამიტომ მას დიდ ყურადღებას არავინ უთმობდა. სწორედ ამან დაღუპა „ჯაზმენები", ისინი ბოლო წამებზე 83:82 იგებდნენ, ბურთი „დალასს" ჰქონდა და რადგან იმ დღეს მაიკლ ფინლი მშვენივრად თამაშობდა, ყველა მისგან ელოდა გადამწყვეტი სროლის შესრულებას. შეტევა მან წამოიწყო და სამქულიან ხაზს შიგნითაც შეიჭრა, მაგრამ თავად სროლის ნაცვლად სამწამიან ზონაში ეულად მდგომ ბუთს უპასა. ამანაც ჩააგდო, როცა სირენამდე 9,8 წამი რჩებოდა. „ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ გმირი გავხდებოდი. ძალიან ბედნიერი ვარ" — ამბობდა ნამატჩევს ბუთი.

„იუტას" კიდევ რჩებოდა საკმარისი დრო მატჩის გადასარჩენად, მაგრამ კარლ მელოუნმა ბოლო წამზე ააცილა და თავადვე დაუსვა წერტილი „იუტას" ტანჯვა-წვალებას.

დალასში კი ხარობენ. ხუმრობა ხომ არაა — „მავერიქსი" ბოლო თერთმეტ წელიწადში პირველად გავიდა პლეი ოფში და პირველი წრეც გაიარა, რაც ტეხასელთათვის 1988 წლის შემდეგ არნახული მიღწევაა. ახლა „დალასი" თანაშტატელ „სან ანტონიოს" დაეჭიდება. ეს უკანასკნელი „იუტაზე" ძლიერი კია, მაგრამ „მავერიქსი" დანებებას არ აპირებს.

**ირაკლი ფირცხალავა**



REUTERS სოლტ ლეიკ სიტი

დალასელმა დირკ ნოვიცკიმ გამარჯვებით გაიხარა

## საქართველოს ჩემპიონატი

# ბასკო ან სტუ

## ფინალზე ფიქრმა აზოტი უფინალოდ დატოვა

**ფინალი**

**ანონსი**

7 მაისი. ვერის ბაღი. 16.00
**სტუ-ჯეოსელი — ბასკო**

10 მაისი. ბათუმი
**ბასკო — სტუ-ჯეოსელი**

*თუ საჭირო გახდა*

11 მაისი. ბათუმი
**ბასკო — სტუ-ჯეოსელი**

**მეათე** ეროვნულში სანახავი ფინალიღა დაგვრჩა. ამ ჩემპიონატს „ბასკო" — სტუ-ს საჩემპიონო ბრძოლით უნდა დაედგას გვირგვინი, გამარჯვებული თავს მოიწონებს, ადრე თუ გვიან წაგებულსაც ყველაფერი დაავიწყდება და მეათე საკალათბურთო ჩემპიონატიც ისტორიას შეუერთდება.

სიმართლე ვთქვათ, კალათბურთის ქართველი გულშემატკივარი გარკვეულწილად ნირწამხდარი ელის ფინალური სერიის დაწყებას. ამ ხალხს არც გაემტყუნება, სტუ — „აზოტის" ნახევარფინალური დაპირისპირების ხილვამ ქომაგს ხინჯი დაუტოვა გულში. კარგი კალათბურთის ნაცვლად ვერის ბაღში მისულებმა მსაჯთა უმოწყალო გვემა ნახეს, უმსგავსობას შეესწრნენ, შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი და წავიდნენ. ვინ იცის სამუდამოდაც...

ამ სკანდალმა, რა გასაკვირია, რომ ფინალური პაექრობაც დაჩრდილა, მაგრამ პასუხი დამნაშავეებმა უნდა აგონ და არა იმ გუნდებმა, რომელთაც ფინალში თამაშის უფლება ალალად მოიპოვეს. ჩემპიონობის უმთავრესმა ფავორიტმა ბათუმის „ბასკომ" ნახევარფინალურ სერიაში ულაპარაკოდ მოუგო „მაკაბის", თბილისურ კლუბს შინ და სტუმრად დამაჯერებლად სძლია და ახლა ტიტულის შესანარჩუნებლად სტუ-ს ბარიერიღა დარჩა გადასალახი. თავის მხრივ, სტუ-მაც ვაჟკაცურად გაიკვლია გზა ფინალისკენ, ნახევარფინალში რამდენადაც მოულოდნელი უნდა იყოს, თვით მრისხანე „აზოტი" ჩამოიშორა, გუნდი, რომელიც თავდავიწყებით მიილტვოდა ქართული ოქროსკენ და მის შემადგენლობას თუ თვალს გადავავლებთ, გაჩემპიონების კარგი შანსიც ჰქონდა.

ფინალში თამაშს „აზოტს" უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ სხვაგვარად მოხდა. ნუგზარ ჭეიშვილის სტუ-მ, შეიძლება ითქვას, თავს აჯობა, რუსთაველ კლუბს ყოველმხრივ მობილიზებული დაუხვდა, გასაკვირად არეულ-დარეულ „აზოტს" გამართული, ჭკუადამჯდარი კალათბურთი დაუპირისპირა და ჩემპიონატის უმთავრესი სენსაციის ავტორიც შეიქნა.

მალა ჭამაში მოდისო და ახლა „ბასკოს" ტახტიდან ჩამოგდება დაისახა მიზნად სტუ-მ. დასაკარგი ამ კლუბს არაფერი აქვს, სტუდენტებისთვის ვიცე-ჩემპიონობაც დიდი პატივი გახლავთ და ამ მიღწევას ფინალში წაგებაც ველარ გაახუნებს. ბრძოლით კი იბრძოლებს ნუგზარ ჭეიშვილის სამწყსო, ნამდვილ ტრიუმფამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩენია.

ამ ნაბიჯის უკან მძლავრი „ბასკო" მოიაზრება. ბათუმური კლუბი ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის ტიტულს ფლობს და ცდას არ დააკლებს, ქართულ კალათბურთში ბატონობა რომ გაიხანგრძლივოს. ზურაბ ტომარაძის გუნდს გულის სიღრმეში, ვინძლო, ეამა კიდეც ფინალში სტუ-სთან შეტოქება. „აზოტთან" ბრძოლის სიმძაფრე ტომარაძეს ჯერ „ვითასა" და შემდეგ „ბასკოს" მთავარი მწვრთნელის რანგშიც გამოუცდია და რუსთაველთა საჩემპიონო დავიდან გამოთიშვა, ყველაფრის გათვალისწინებით, გულს უნდა მოეფონოს. სამაგიეროდ, „ბასკო" ახლა სულ სხვა საშიშროების წინაშე იმყოფება, რაც ამ კლუბის მესვეურებმაც კარგად უნდა გაიაზრონ. ფინალში, მართალია, სასურველი მეტოქე ჰყავთ ზღვისპირელებს, მაგრამ დაარხეინების უფლება არ უნდა მისცენ მწვრთნელებმა კალათბურთელებს. ისიც უნდა გაიხსენონ, რომ „აზოტი" უპირველესად ზედმეტმა თავდაჯერებულობამ იმსხვერპლა.

და, რა თქმა უნდა, უმთავრესი წვლილი სტუ-ს წარმატებაში ირაკლი ხომტარიას მიუძღვის, რომლის ფასი სტუდენტურ კლუბს არავინ ჰყავს. სამი შეხვედრის განმავლობაში „აზოტი" უძლური იყო ტექნიკოსთა ლიდერის წინააღმდეგ და საკითხავი ისღაა, „ბასკო" თუ შეძლებს ხომტარიას გაუვნებლებას. ერთი ნაღდია, ბათუმელებს ჩემპიონობა თუ სურთ, ხომტარია უნდა გააჩერონ.

შემსრულებლები „ბასკოს" უფრო მეტიც ჰყავს და კარგიც. ამ კლუბს სათამაშო დისციპლინაც სანაქებო აქვს და ტაქტიკურადაც საკმაოდ განსწავლულია. მწვრთნელთა ჩანაფიქრს მოედანზე ამერიკელი ჯეფ როჯერსი ასხამს ფრთებს და ყველაზე დიდ საფრთხეს ვახტანგ ნაცვლიშვილთან ერთად სწორედ შავკანიანი ლეგიონერისგან უნდა ელოდნენ სტუდენტები. თუ ჭეიშვილის ბიჭებმა როჯერსისა და ნაცვლიშვილის განეიტრალება შეძლეს, საქმეს ერთიორად გაიიოლებენ. თუ ვერა და, წასაგებად არიან განწირულნი.

ყველაზე საინტერესო კი მაინც ისაა, თუ სად გადის ამჟამინდელი სტუ-ს შესაძლებლობათა ზღვარი. შეძლებს სტუ „ბასკოსაც" იგივე დამართოს, რაც „აზოტს"? ფინალში თუ გაამართლებს ჭეიშვილის ტაქტიკა?

ამ კითხვებს პასუხი ძალიან მალე გაეცემა. სულ რამდენიმე დღე და მეათე ეროვნულის ჩემპიონსაც შევიტყობთ: „ბასკო" ან სტუ.

## სლოვენია

I-VI ადგილები. XXXII ტური

**ოლიმპია — კრკა 95:60, როგლა — კრაშკი ზიდარი 84:94**

**პივოვარნა 83:94 სლოვანი**

**პივოვარნა:** ნაკიჩი (20), ლისიცა (16), დუშჩაკი (13), იურაკი (13), დრაგშიჩი (6), მილეტიჩი (5), ბროლიხი (3), ერჟენი (2)
**სლოვანი:** ლაკოვიჩი (33), ნოვაკი (18), ცმიტიშვილი (12), უზრეხელიძე (11), ჟაკელი (8), ბოისა (7), ჯურკოვიჩი (3), პავიჩი (2)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 32 | 20 | 2 | 3099:2128 | 62 |
| კრკა | 32 | 27 | 5 | 2897:2520 | 59 |
| სლოვანი | 32 | 19 | 13 | 2696:2610 | 51 |
| პივოვარნა | 32 | 19 | 13 | 2834:2796 | 51 |
| როგლა | 32 | 14 | 18 | 2722:2917 | 46 |
| კრაშკი ზიდარი | 32 | 13 | 19 | 2410:2705 | 45 |

**ნახევარფინალი**

(ორ მოგებამდე)

**ოლიმპია — პივოვარნა**
**კრკა — სლოვანი**

მატჩები გაიმართება 9, 12 და, თუ საჭირო გახდა, 16 მაისს

## თურქეთი

**პლეი ოფი**

I წრე (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| გალათასარაი | 2 |
| ბუიუქ კოლეჯი | 1 |

**გალათასარაი 86:73 ბუიუქ კოლეჯი**

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში | 1 |
| ყარშიაკა | 1 |

**ბეშიქთაში 83:84 ყარშიაკა**

## ევროლიგა

ფინალი (სამ მოგებამდე).
მეოთხე მატჩი. 3 მაისი

**ტაუ 96:79 კინდერი**

ტაუ: სკოლა (13), გარსია (1), ბენეტი (19), ფუარე (10), ვიდალი (1), ტიმინსკასი (18), შტომბერგასი (8), ალექსანდერი (18), ობერტო (8)
კინდერი: ჯინობილი (15), აბიო (15), ბონორა, ამბრასა, ფროზინი (6), ანდერსენი (2), რიგოდო (14), გრიფიტი (18), სმოდიში (9), იარიჩი

სერიის ანგარიშია 2:2
გადამწყვეტი მატჩი გაიმართება 10 მაისს ბოლონიაში



TELEBASKET

მატჩის საუკეთესო მოთამაშე, ტაუელი მინდაუგას ტიმინსკასი კინდერელებს ფარზე მარტო გაუმკლავდა


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია

(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის

განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109



იყიდება



ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ. მ. მიშენებით.
დიღმის მასივი, IV კვარტალი, მე-19 კორპუსი,
პირველი სართული. ფასი შეთანხმებით

ტელ:
397 198. 959 032. 8 77 428283



იყიდება



სამოთახიანი სუფთა ბინა 2 (9), საერთო ფართი 103 კვ. მ.
აბაზანა-ტუალეტი რემონტით, ბ/აივნით, ბარნოვის ქ.
№71 II სად. შესასვლელი კეკელიძის ქუჩიდანაც:

ტელ:
22-75-07. 69-52-58




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძალა ერთობაშია, ლაბაძე — ნახევარფინალში

**ჰიუსტონი. აშშ-ის თიხნარის პირველობა ვაჟებში. საპრიზო 350 ათასი $**

„სარბიელის" გუშინდელ საჩოგბურთო წერილს სახელად „ლაბაძე იწყებს და ამთავრებს" კი ერქვა, მაგრამ სინამდვილეში ირაკლი ლაბაძე ჰიუსტონში საქმეების დასრულებას ჯერჯერობით სულაც არ აპირებს — ის კი არა, 19 წლის თბილისელმა წყვილებში კარიერის პირველ ნახევარფინალში გააღწია.

ირაკლის მეწყვილე ტურნირზე საკმაოდ ცნობილი ჩოგბურთელი გეორგ ბასტლი გახლავთ. ქართულ-შვეიცარიული დუეტი ძირითად ბადეში ერთი საკვალიფიკაციო მატჩის მოგებით მოხვდა, პირველ წრეში კი მასპინძლებს — რობი გინეპრისა და სესილ მემიტს აჯობა 7:5, 6:4. ვინაიდან წყვილებში ასპარეზობა შედარებით ნაკლები ხალხმრავლობით გამოირჩევა, ეს ერთი გამარჯვებაც უკვე იმას ნიშნავდა, რომ ჩვენებური ATP-ის ტურნირის მეოთხედფინალისტი გახდა.

ლაბაძესა და ბასტლს მიღწეულზე შეჩერება არც უფიქრიათ და ადგილობრივი საზომით ხუთშაბათს, თბილისური დროით კი გუშინ დილით ჰოლანდიელი იან სიმერინკი და ამერიკელი ჯონ უეიტიც გაამწარეს 6:4, 6:4. ახლა ქართველის ანგარიშზე ნახევარფინალისტი წყვილისთვის განკუთვნილი 7870 დოლარის ნახევარი და 15 საკლასიფიკაციო ქულაა, რაც მწვანეებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი შეიძლება გამოდგეს. ჰიუსტონში დაგროვებული ქულებით ირაკლი, რომელიც წყვილებში ამჟამად კლასიფიკაციით 173-ეა, საუკეთესოთა ნუსხაში მნიშვნელოვნად წაიწევს წინ და ხეირიან პარტნიორთან ერთად ბევრი მსხვილი ტურნირის ძირითად ბადეშიც მოხვდება.

ბასტლისა და ლაბაძის მეტოქეები ნახევარფინალში ისევ მასპინძლები — კევინ კიმი და ჯონ ტომასი იქნებიან, კიდევ ერთი გამარჯვების შემთხვევაში კი ალბათ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს, ინდურ დუეტთან ლეანდერ პაესსა და მაჰეშ ბჰუპატისთან მოუხდებათ გაჯიბრება. თუმც სჯობს, ძალიან წინ არ გავიხედოთ და ჩვენებურს წარმატება ვუსურვოთ.

იქვე, ჰიუსტონში მოასპარეზე 18 წლის ენდი როდიკს ამჟამად არავის გამხნევება არ სჭირდება. სრულიად აშშ-ის უპირველესმა საჩოგბურთო იმედმა გასულ კვირაში კარიერის პირველი ტიტული მიითვალა და ვინძლო ამ კვირის ბოლოსაც მთავარი ჯილდოთი დატოვოს ზედიზედ მეორე ტურნირი.

მერვედფინალში წინა სეზონის საუკეთესო იუნიორმა მხცოვან შვედ მაგნუს გუსტაფსონს აჯობა 6:2, 6:4. 34 წლის სკანდინაველი ვეტერანი შვილისტოლა მეტოქემ კარგად შენიღბული შემოკლებულებითა და აბრაგნებით აპამპულავა, ტყვიასავით მოწოდებებს არ გააკარა და საერთოდ, თამაშის ყველა ასპექტში დაჩაგრა.

„კორტზე თავს საშინლად ვგრძნობდი, მეშინოდა, სულ მშრალზე არ წავაგო-მეთქი. სამწუხაროა, რომ ენდის სრულებით ვერ გავუწიე წინააღმდეგობა, მეორე ხელის ანგარიშმა არ მოგატყუოთ, დღეს ის ყველაფერში მჯობდა" — დაიჩივლა ერთ დროს საუკეთესოთა ათეულელმა გუსტაფსონმა.

„არ მსურს, ერთგანზომილებიანი ვიყო და მხოლოდ მოწოდების, ან უკანა ხაზზე თამაშის ხარჯზე ვიგებდე, ამიტომ ვცდილობ, მრავალფეროვნად გავისარჯო, ზოგჯერ ბადესთანაც გავიდე და მეტოქეები „გამოვიჭირო". ვფიქრობ, მომავალში ეს ყველა საფარზე გამომადგება" — აღნიშნა როდიკმა, რომელმაც კი ბისკეინში ჰარდზე მსოფლიოს ორი ყოფილი პირველი ჩოგანი — პიტ სამპრასი და მარსელო რიოსი დაამარცხა.

**მერვედფინალი: ენდრიუ ილი (2, ავსტრალია) — ალექსანდრ პოპი (გერმანია) 4:6, 6:2, 6:3; ჟერომ გოლმარი (3, საფრანგეთი) — დევიდ სანჩესი (ესპანეთი) 7:6, 6:4; კრისტოფ როშიუ (6, ბელგია) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 6:2, 7:5; ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) — ქსავიე მალისი (7, ბელგია) 7:6 (7:4); ჰიუნგ-ტაიკ ლი (8, კორეა) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:0, 4:6, 7:5**

**მალიორკას (ესპანეთი) ღია პირველობა თიხნარი. საპრიზო 500 ათასი $**

**მერვედფინალი: კარლოს მოია (3, ესპანეთი) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 6:4, 4:6, 6:3; გილერმო კორია (4, არგენტინა) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:0, 7:5; სლავა დოსედელი (ჩეხეთი) — ფერნანდო ვისენტე (7, ესპანეთი) 6:3, 0:6, 6:4; ნიკოლას კიფერი (6, გერმანია) — მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:1, 6:4; ხუან ბალსელსი (ესპანეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:4, 6:2**

**მიუნხენი (გერმანია) BMW-ს ღია პირველობა თიხნარი. საპრიზო 400 ათასი $**

ფრანკო სკილარისთვის მიუნხენი ბუენოს-აირესზე არანაკლებ საყვარელი ქალაქია: არგენტინელმა კარიერის სამი ტიტულიდან ორი სწორედ BMW-ს ღია პირველობიდან გააყოლა ხელს და სავსებით შესაძლებელია, წლეულს ჰეთ თრიკიც შეასრულოს.

„აქ ყველაფერი მომწონს, ხალხი, ბურთები, კორტი, ამინდიც კი. ჩამოვედი თუ არა, მაშინვე ჩვეულად ავთამაშდი — ამბობს სკილარი, რომელმაც მიუნხენში ჩატარებული თორმეტივე მატჩი მოიგო — როლან გაროსის წინ საუკეთესო ფორმაში ჩადგომა ჰაერივით მჭირდებოდა, პარიზში ხომ შარშან ნახევარფინალში გასვლით დაგროვებული უამრავი ქულა მაქვს დასაცავი."

ტურნირზე მესამედ განთესილი სამხრეთამერიკელის მორიგი მსხვერპლი მასპინძელი კრისტიან ფინკი გახდა 6:2, 7:5.

**მერვედფინალი: ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) — ტომას ენქვისტი (2, შვედეთი) 1:6, 6:2, 7:6 (7:2); იუნეს ელ აინაუი (მაროკო) — ტომას იოჰანსონი (5, შვედეთი) 6:4, 6:4; ფლავიო ზარეტა (ბრაზილია) — მარსელო რიოსი (6, ჩილე) 6:3, 6:2; ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) — სხენგ ზალკენი (8, ჰოლანდია) 5:7, 6:3, 7:6 (8:6); ანტონი დიუპუი (საფრანგეთი) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 7:6 (7:5), 6:4**

**ჰამბურგი (გერმანია) „ბეტი ბარკლის თასი" თიხნარი. საპრიზო 565 ათასი $**

სეზონის პირველი მატჩი თიხნარზე ვინუს უილიამსისთვის იოლი გასეირნება გამოდგა. ჩია ესპანელი გალა ლეონ გარსია ჯანიან, აყლაყუდა ამერიკელთან შედარებით სულ სხვა წონით კატეგორიას განეკუთვნებოდა და თავგანწირულად სირბილისა და ერთი-ორი მართლაც ლამაზი გათამაშების მოგების მიუხედავად, მეტოქეს სულ 3 გეიმს გამორჩა 1:6, 2:6.

„თიხნარი, ბალახი, ჰარდი, საფარის ცვლილება ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს, მთავარია, ისე მოვიქცე, როგორც დედა და მამა მეტყვიან და წარმატებაც არ დააყოვნებს — აღნიშნა დამჯერმა ქალიშვილმა მოგების შემდეგ — ამ კორტზე ჩვეულებრივთან შედარებით მეტი დარტყმა მჭირდება ქულების დასაგროვებლად, მაგრამ ამასთან სირბილი და სრიალი დიდ სიამოვნებას მანიჭებს."

კიდევ უფრო გამანადგურებელი ანგარიშით გაიმარჯვა მერვედფინალში კიდევ ერთმა „მამიკოს გოგომ", ელენა დოკიჩმა. 18 წლის აწ უკვე იუგოსლავიის სახელით მოასპარეზე ელენამ მეხუთედ განთესილ მაგდალენა მალეევას 6:1, 6:1 გადაუარა.

**მერვედფინალი: პატი შნიდერი (შვეიცარია) — კონჩიტა მარტინესი (3, ესპანეთი) 6:3, 2:6, 6:2; ამანდა კუტცერი (2, სამხრეთ აფრიკა) — ბაიანკა ლამადე (გერმანია) 2:6, 6:3, 6:4; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (4, ესპანეთი) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:2; ჟიუსტინ ენენი (6, ბელგია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 7:6 (7:3), 1:6, 6:2**

**ავთანდილ სვანიძე**



AP მიუნხენიდან

ფრანკო სკილარი მიუნხენში დაუმარცხებელია

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

# კროკო

### გერმანია. ბუნდესლიგა. 32-ე ტური

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 002 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 003 | მიუნხენი-კიოლნი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 18.30 | 004 | შალკე-ვოლფსბურგი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 18.30 | 005 | აინტრახტი-ბოხუმი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 18.30 | 006 | ჰანზა-კოტბუსი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 23.15 | 007 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 2,2 | 3,2 | 2,9 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ვერდერი-უნტერჰახინგი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 20.30 | 009 | ფრაიბურგი-ჰერტა | 2,3 | 3,1 | 2,8 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 32-ე ტური

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 012 | ალენი-ობერჰაუზენი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 18.00 | 013 | ალემანია-ზანქტ პაული | 2,5 | 3,2 | 2,4 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 014 | არმინია-ფიურტი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 18.00 | 015 | ნიურნბერგი-მაინცი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.00 | 016 | როიტლინგენი-ოსნაბრიუკი | 1,6 | 3,6 | 4,4 |

**7 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 017 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 2,8 | 3,1 | 2,3 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 37-ე ტური

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 018 | არსენალი-ლიდსი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 019 | ასტონ ვილა-ქოვენთრი | 1,8 | 3,4 | 3,5 |
| 19.00 | 020 | ბრედფორდი-მიდლსბრო | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 19.00 | 021 | ჩელსი-ევერტონი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 022 | ლესტერი-ტოტენჰემი | 2,2 | 3,1 | 2,9 |
| 19.00 | 023 | ლივერპული-ნიუკასლი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 19.00 | 024 | მანჩესტერი-დერბი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 19.00 | 025 | სანდერლენდი-ჩარლტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 026 | ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი | 1,7 | 3,3 | 4,2 |

**7 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 027 | იფსვიჩი-სიტი | 1,5 | 3,6 | 5,6 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 46-ე ტური

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 028 | ბოლტონი-შეფილდი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 17.30 | 029 | ბარნლი-უოტფორდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 17.30 | 030 | ჯილინგემი-ბლექბერნი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 17.30 | 031 | გრიმსბი-ფულემი | 3,5 | 3,1 | 1,95 |
| 17.30 | 032 | ჰადერსფილდი-ბირმინგემი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 17.30 | 033 | პორტსმუთი-ბარნსლი | 1,6 | 3,6 | 4,4 |
| 17.30 | 034 | პრესტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 17.30 | 035 | უენსდი-ქრიუ | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 17.30 | 036 | სტოკპორტი-კრისტალ პალასი | 2,9 | 3,4 | 2,1 |
| 17.30 | 037 | ტრანმერი-ნოტინგემი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 17.30 | 038 | უიმბლდონი-ნორვიჩი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 17.30 | 039 | ვულვერჰემპტონი-ქუინზ პარკი | 1,65 | 3,1 | 5,3 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 46-ე ტური

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 040 | ბრენტფორდი-ბერი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 041 | როვერსი-რექსემი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 042 | ლუტონი-პორტ ვეილი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 043 | მილუოლი-ოლდემი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 19.00 | 044 | ნორთჰემპტონი-უოლსოლი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 045 | ნოტსი-ოქსფორდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 046 | პიტერბრო-როტერჰემი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 19.00 | 047 | რედინგი-ბორნმუთი | 2,0 | 3,4 | 2,9 |
| 19.00 | 048 | სტოკი-სუინდონი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 19.00 | 049 | სუონსი-კემბრიჯი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 050 | უიგანი-ბრისტოლი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 051 | უიკომბი-კოლჩესტერი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 46-ე ტური

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 052 | ბარნეტი-ტორკი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 053 | კარლაილი-ჰალი | 2,6 | 3,3 | 2,3 |
| 19.00 | 054 | ჩელტენემი-საუთენდი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 055 | ჩესტერფილდი-ჰალიფაქსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 056 | დარლინგტონი-ბლექპული | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| 19.00 | 057 | ექსეტერი-ლინკოლნი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 058 | ჰარტლპული-კარდიფი | 2,1 | 3,3 | 3,0 |
| 19.00 | 059 | მაკლსფილდი-ლეიტონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 19.00 | 060 | მენსფილდი-სკანთორპი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 061 | პლიმუთი-როჩდეილი | 3,0 | 3,3 | 2,1 |
| 19.00 | 062 | შრიუსბერი-ბრაიტონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 063 | იორკი-კიდერმინსტერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

### იტალია. სერია A. 29-ე ტური

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 065 | ბოლონია-უდინეზე | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.30 | 066 | ლეჩე-ბრეშა | 2,0 | 2,8 | 3,8 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 067 | ინტერი-ატალანტა | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 18.00 | 068 | ლაციო-ბარი | 1,1 | 7,0 | 14,0 |
| 18.00 | 069 | პარმა-ნაპოლი | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| 18.00 | 070 | პერუჯა-მილანი | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 18.00 | 071 | ვერონა-ფიორენტინა | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 18.00 | 072 | ვიჩენცა-რეჯინა | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.30 | 073 | იუვენტუსი-რომა | 2,1 | 2,9 | 3,4 |

### იტალია. სერია C1/a. 33-ე ტური

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 074 | ალბინოლეფე-ლუკეზე | 2,5 | 2,4 | 3,2 |
| 19.00 | 075 | ალესანდრია-კარარეზე | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 19.00 | 076 | ალძანო-ლივორნო | 2,6 | 2,5 | 2,9 |
| 19.00 | 077 | ბრეშელო-მოდენა | 3,4 | 2,5 | 2,3 |
| 19.00 | 078 | ჩეზენა-სპალ | 1,65 | 2,8 | 6,5 |
| 19.00 | 079 | ლეკო-ვარეზე | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 19.00 | 080 | ლუმეცანე-არეცო | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 19.00 | 081 | პიზა-რეჯანა | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 19.00 | 082 | სპეცია-კომო | 2,5 | 2,6 | 2,9 |

### იტალია. სერია C1/b. 33-ე ტური

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 083 | ასკოლი-ტორესი | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 19.00 | 084 | ატლეტიკო-ბენევენტო | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 19.00 | 085 | დი სანგრო-აველინო | 2,7 | 2,5 | 2,8 |
| 19.00 | 086 | ფ.ანდრია-კატანია | 2,6 | 2,7 | 2,7 |
| 19.00 | 087 | ჯულიანოვა-აკილა | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 19.00 | 088 | მესინა-სავოია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 089 | ნოჩერინა-პალერმო | 3,1 | 2,6 | 2,4 |
| 19.00 | 090 | პეზარო-ლოდიჯანი | 2,0 | 2,5 | 4,4 |
| 19.00 | 091 | ვიტერბეზე-ფერმანა | 2,2 | 2,5 | 3,6 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 33-ე ტური

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 092 | სოსიედადი-ვალენსია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.30 | 093 | სელტა-რეალი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 24.00 | 094 | ესპანიოლი-ბარსელონა | 3,1 | 3,0 | 2,2 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 095 | ვალიადოლიდი-მალაგა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 21.00 | 096 | ოვიედო-ბილბაო | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 097 | ალავესი-რასინგი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 21.00 | 098 | ოსასუნა-მალიორკა | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 21.00 | 099 | ვილიარეალი-ლას პალმასი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 22.00 | 100 | სარაგოსა-ნუმანსია | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 23.00 | 101 | რაიო ვალეკანო-დეპორტივო | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 36-ე ტური

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 102 | ეიბარი-უნივერსიდადი | 1,7 | 2,9 | 4,7 |
| 21.00 | 103 | ლეიდა-ფეროლი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 21.00 | 104 | ხეტაფე-უელვა | 2,7 | 2,7 | 2,6 |
| 21.00 | 105 | ლევანტე-ელჩე | 1,75 | 3,0 | 4,4 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 106 | ესტრემადურა-ტენერიფე | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 15.00 | 107 | ლეგანესი-ბეტისი | 3,1 | 2,8 | 2,3 |
| 21.00 | 108 | მურსია-კორდობა | 2,1 | 2,7 | 3,6 |
| 21.00 | 109 | სალამანკა-ატლეტიკო | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 21.00 | 110 | ალბასეტე-კომპოსტელა | 1,65 | 3,1 | 4,7 |
| 21.00 | 111 | სპორტინგი-ხაენი | 1,75 | 2,9 | 4,2 |
| 23.00 | 112 | სევილია-ბადახოსი | 1,5 | 3,1 | 8,0 |

### პორტუგალია. I ლიგა. 31-ე ტური

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 116 | ბოავიშტა-ჟილ ვისენტე | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 117 | ბოავიშტა-ჟილ ვისენტე 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 118 | კამპომაიორენსე-ფარენსე | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.00 | 119 | ფერეირა-გიმარაეში | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 20.00 | 120 | ამადორა-სალგეირუში | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 20.00 | 121 | ლეირია-ავეში | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 23.00 | 122 | ბელენენსეში-სპორტინგი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 01.00 | 123 | ბეირა მარი-პორტუ | 4,0 | 3,0 | 1,85 |

### პორტუგალია. II ლიგა. 31-ე ტური

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 124 | მაია-ლამაში | 1,4 | 3,8 | 7,0 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 125 | სანტა კლარა-ვარზიმი | 1,95 | 2,9 | [illegible] |
| 20.00 | 126 | ფელგეირაში-ლეცა | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 20.00 | 127 | ნასიონალი-იმორტალი | 1,3 | 4,0 | 8,0 |
| 20.00 | 128 | რიუ ავე-ფრეამუნდე | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 20.00 | 129 | შავეში-აკადემიკა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 130 | ნავალი-მარკუ | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 20.00 | 131 | ესპინიუ-პენაფიელი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 21.00 | 132 | სეტუბალი-ოვარენსე | 1,25 | 5,0 | 9,0 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. 31-ე ტური

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 133 | ტვენტე-როზენდალი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.00 | 134 | ალკმაარი-ტილბურგი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.00 | 135 | ვიტესი-როდა | 2,2 | 3,1 | 3,0 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 136 | პსვ-ჰერენვენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 17.30 | 137 | გრონინგენი-სპარტა | 1,75 | 3,3 | 3,6 |
| 17.30 | 138 | გრააფსხაპი-ნაიმეგენი | 1,95 | 3,3 | 3,3 |
| 17.30 | 139 | ბრედა-უტრეხტი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 20.15 | 140 | ფეიენოორდი-სიტარდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. 31-ე ტური

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 141 | იგლსი-ჰელმონდი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 22.00 | 142 | ემენი-დორდრეხტი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 22.00 | 143 | ტელსტარი-ოსი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 22.00 | 144 | დენ ჰააგი-ვეენდამი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 22.00 | 145 | დენ ბოსხი-ზვოლე | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 22.00 | 146 | ექსელსიორი-ეინდჰოვენი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 22.00 | 147 | კამბური-ჰაარლემი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 22.00 | 148 | მაასტრიხტი-ვენლო | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 149 | ვოლენდამი-ჰერაკლესი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

### ბელგია. I დივიზიონი. 32-ე ტური

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 151 | ბრიუგე-ანდერლეხტი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 152 | სენტ ტრუიდენი-ბევერენი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 23.00 | 153 | ბეერსხოტი-ლიერსი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.00 | 154 | ლუვიე-გენკი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 23.00 | 155 | სტანდარდი-გენტი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 23.00 | 156 | ლოკერენი-მუსკრონი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 157 | აალსტი-შარლერუა | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 18.00 | 158 | ვესტერლო-ჰარელბეკე | 1,7 | 3,5 | 3,5 |

### ბელგია. II დივიზიონი. 34-ე ტური

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 159 | ჰეკელგემი-ოსტენდე | 2,1 | 3,1 | 3,0 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 160 | ჰეუსდენი-ლიეჟი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 18.00 | 161 | ლომელი-მონსი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 18.00 | 162 | დაინცე-რუზელარე | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 18.00 | 163 | მაასლანდი-სერკლი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 18.00 | 164 | მოლენბეკი-ინგელმუნსტერი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 18.00 | 165 | ტურნჰაუტი-სტრომბეკი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 18.00 | 166 | დესელი-გეელი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 18.00 | 167 | ტინენი-დენდერლეუ | 2,0 | 3,0 | 3,5 |

### საბერძნეთი. 28-ე ტური

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 168 | პანათინაიკოსი-აეკ | 1,75 | 3,0 | 4,4 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 169 | პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი | 4,2 | 3,1 | 1,75 |
| 19.30 | 170 | ირაკლისი-ათინაიკოსი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 19.30 | 171 | იანინა-არისი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.30 | 172 | ქსანთი-ეთნიკოსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.30 | 173 | კალამატა-ოფი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.30 | 174 | პანაჰაიკი-პანილიაკოსი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 21.30 | 175 | პაოკ-იონიკოსი | 1,4 | 3,8 | 7,0 |

### ჩეხეთი. 27-ე ტური

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.15 | 177 | ჟიჟკოვი-დრნოვიცე | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.30 | 178 | იაბლონეცი-სლავია | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| 19.30 | 179 | ბრნო-სიგოტი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.30 | 180 | პრჟიბრამი-პლზენი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 19.30 | 181 | სიგმა-ბოჰემიანსი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 19.30 | 182 | სპარტა-ბანიკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |

**7 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 183 | ბუდეიოვიცე-ბლშანი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

**პოლონეთი. 23-ე ტური**

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 184 | სტომილი-ლეგია | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 20.00 | 185 | ამიცა-რუხი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.00 | 186 | შლიონსკი-პლოცკი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 20.00 | 187 | პოლონია-ზაგლებე | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 20.00 | 188 | ოდრა-რაძიონკოვი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 20.00 | 189 | პოგონი-გროცლინი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 20.15 | 190 | გურნიკი-ვიძევი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 191 | კატოვიცე-ვისლა | 3,3 | 2,8 | 2,2 |

**თურქეთი. 31-ე ტური**

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 193 | ანთალია-სამსუნი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.30 | 194 | იოზგათი-ქოჯაელი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 18.30 | 195 | ადანა-ერზურუმი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 21.00 | 196 | ბეშიქთაში-ისთანბული | 1,4 | 3,6 | 6,5 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 197 | იეთფა-გენჩლერბირლიგი | 3,2 | 3,3 | 1,9 |
| 18.30 | 198 | დენიზლი-გაზიანთეფი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 18.30 | 199 | რიზე-ბურსა | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 21.00 | 200 | ფენერბაჰჩე-გალათასარაი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**შოტლანდია. 36-ე ტური**

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 201 | მოზერუელი-აბერდინი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 202 | სენტ ჯონსტონი-სენტ მირენი | 1,8 | 3,4 | 3,5 |
| 19.00 | 203 | დანდი-კილმარნოკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 204 | ჰართსი-რეინჯერსი | 3,6 | 3,2 | 1,85 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 205 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 19.00 | 206 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 1,7 | 3,4 | 4,0 |

**ავსტრია. 33-ე ტური**

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 208 | ადმირა-ზალცბურგი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.30 | 209 | გრაცერი-ლინცერი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 18.30 | 210 | რიდი-შტურმი | 2,8 | 3,1 | 2,3 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 211 | რაპიდი-აუსტრია | 1,95 | 3,2 | 3,4 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. მე-10 ტური**

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.15 | 212 | გრასჰოპერი-ლუგანო | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.15 | 213 | სენტ გალენი-სიონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.15 | 214 | სერვეტი-ლოზანა | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.15 | 215 | ბაზელი-ციურიხი | 1,85 | 2,9 | 4,2 |

**შვეიცარია. A/B ჯგუფი. მე-10 ტური**

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 216 | ბელინცონა-ლუცერნი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 20.30 | 217 | არაუ-ვინტერთური | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 22.30 | 218 | ქსამაქსი-ვილი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.15 | 219 | ივერდონი-იანგ ბოისი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. მე-10 ტური**

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 220 | ვანგენი-ბადენი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.30 | 221 | კრინსი-ლოკარნო | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.30 | 222 | სოლოთურნი-კარუჟი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 22.30 | 223 | დელემონი-თუნი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

**დანია. 27-ე ტური**

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 224 | ოლბორგი-აკადემისკი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 18.00 | 225 | ჰადერსლევი-ბრიონდბიუ | 6,0 | 3,8 | 1,35 |
| 18.00 | 226 | ოდენსე-სილკებორგი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 20.05 | 227 | კოპენჰაგენი-ვიბორგი | 1,75 | 3,2 | 4,0 |

**7 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 228 | ორჰუსი-მიდტიულანდი | 2,6 | 3,1 | 2,4 |

**რუსეთი. მე-8 ტური**

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 229 | ჩერნომორეცი-დინამო | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 16.00 | 230 | სპარტაკი-ფაკელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 231 | სპარტაკი-ფაკელი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 16.00 | 232 | როტორი-სატურნი | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 16.00 | 233 | როსტსელმაში-ზილ | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 16.00 | 234 | ლოკომოტივი-ალანია | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 16.00 | 235 | ზენიტი-ტორპედო | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| 16.00 | 236 | სოკოლი-კრილია | 2,3 | 2,9 | 3,0 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 237 | ცსკა-ანჟი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

**შვედეთი. მე-5 ტური**

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 238 | ჰეკენი-მალმიო | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 20.00 | 239 | იურგორდენი-იორგრიტე | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 20.00 | 240 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 1,75 | 3,1 | 4,2 |

**7 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 241 | ჰამარბი-იორებრო | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 22.00 | 242 | გიოტებორგი-აიკ | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.00 | 243 | ტრელებორგი-ჰალმსტადი | 3,6 | 3,2 | 1,85 |

**ნორვეგია. მე-5 ტური**

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 244 | ბოდიო-გლიმტი-მოსი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 21.00 | 245 | ბრანი-სოგნდალი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 21.00 | 246 | ლილესტრიომი-ლინი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 21.00 | 247 | მოლდე-ბრინი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 21.00 | 248 | რუსენბორგი-ტრომსიო | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 21.00 | 249 | სტაბეკი-ოდ გრენლანდი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 21.00 | 250 | ვიკინგი-სტრიომგოდსეტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**ფინეთი. მე-4 ტური**

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 251 | იოკერიტი-ატლანტისი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 18.00 | 252 | კუოპიო-ჰიკ | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 18.00 | 253 | ტამპერე-მიუპა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 18.00 | 254 | ვაასა-ლაჰტი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 20.30 | 255 | ინტერი-ჰაკა | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**7 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 256 | ჯაზი-როვანიემი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**საფრანგეთი.**

**ლიგის თასის ფინალი**

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 257 | მონაკო-ლიონი | 2,6 | 3,1 | 2,4 |

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები**

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 504 | მადაგასკარი-ტუნისი | 4,9 | 3,2 | 1,75 |
| 19.00 | 505 | ნიგერია-ლიბერია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 19.30 | 506 | ს.აფრიკა-ზიმბაბვე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 19.30 | 507 | სიერა ლეონე-განა | 3,6 | 3,2 | 1,8 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 508 | ანგოლა-კამერუნი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 18.30 | 509 | კონგო-დრ კონგო | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 510 | ტოგო-ზამბია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.15 | 511 | ეგვიპტე-სენეგალი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

**ჰოკეი. 1/4 ფინალი**

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 902 | ბუფალო-პიტსბურგი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 22.00 | 903 | დალასი-სენტ ლუისი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 04.00 | 904 | ნიუ ჯერსი-ტორონტო | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.30 | 905 | ლოს ანჯელესი-კოლორადო | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**7 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 906 | ტორონტო-ნიუ ჯერსი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 05.00 | 907 | სენტ ლუისი-დალასი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატის (გერმანიაში)**

**5 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 914 | ჩეხეთი-რუსეთი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 19.00 | 915 | ფინეთი-აშშ | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 19.00 | 916 | შვეიცარია-იტალია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.00 | 917 | კანადა-გერმანია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.00 | 918 | შვედეთი-სლოვაკეთი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.00 | 919 | იაპონია-ლატვია | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**6 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 920 | რუსეთი-შვეიცარია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 19.00 | 921 | აშშ-ავსტრია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.00 | 922 | იტალია-ჩეხეთი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.00 | 923 | უკრაინა-ფინეთი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**7 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 924 | შვეიცარია-იტალია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 19.00 | 925 | ბელარუსი-იაპონია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.00 | 926 | ავსტრია-უკრაინა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.00 | 927 | ნორვეგია-ლატვია | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| I ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | | | |
| **5 მაისი** | | | | | | | | | | |
| 18.30 601 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 3,8 | 10,0 | 18,0 | 4,7 | 5,0 | 4,7 | 18,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.30 602 | მიუნხენი-კიოლნი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 5,0 | 5,6 | 18,0 | 10,0 | 4,4 |
| 23.15 603 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 5,0 | 5,6 | 18,0 | 10,0 | 4,4 |
| **6 მაისი** | | | | | | | | | | |
| 20.30 604 | ფრაიბურგი-ჰერტა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 5,0 | 5,6 | 18,0 | 10,0 | 4,2 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | | | |
| **5 მაისი** | | | | | | | | | | |
| 19.00 605 | არსენალი-ლიდსი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,5 | 18,0 | 10,0 | 5,4 |
| 19.00 606 | ჩელსი-ევერტონი | 1,9 | 12,0 | 30,0 | 3,5 | 5,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 19.00 607 | ლესტერი-ტოტენჰემი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,6 | 18,0 | 10,0 | 4,2 |
| 19.00 608 | სანდერლენდი-ჩარლტონი | 2,6 | 11,0 | 22,0 | 4,0 | 5,0 | 7,0 | 18,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 609 | ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი | 2,5 | 11,0 | 25,0 | 3,8 | 5,0 | 7,0 | 18,0 | 10,0 | 6,5 |
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | | | |
| **5 მაისი** | | | | | | | | | | |
| 18.00 610 | ბოლონია-უდინეზე | 2,6 | 10,0 | 25,0 | 3,8 | 4,7 | 7,0 | 18,0 | 10,0 | 7,0 |
| 23.30 611 | ლეჩე-ბრეშა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,2 | 6,5 | 18,0 | 10,0 | 5,6 |
| **6 მაისი** | | | | | | | | | | |
| 18.00 612 | ინტერი-ატალანტა | 2,5 | 10,0 | 25,0 | 3,8 | 4,7 | 8,0 | 18,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.00 613 | ვერონა-ფიორენტინა | 4,0 | 10,0 | 18,0 | 4,2 | 4,4 | 4,2 | 18,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.00 614 | პერუჯა-მილანი | 4,7 | 10,0 | 18,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 18.00 615 | ვიჩენცა-რეჯინა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 7,0 | 18,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.30 616 | იუვენტუსი-რომა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 18,0 | 10,0 | 5,0 |
| **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | | | | | |
| **6 მაისი** | | | | | | | | | | |
| 21.00 617 | ვალიადოლიდი-მალაგა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 21.00 618 | ოვიედო-ბილბაო | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 21.00 619 | ვილიარეალი-ლას პალმასი | 2,4 | 10,0 | 25,0 | 3,6 | 5,0 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 23.00 620 | რაიო ვალეკანო-დეპორტივო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

რაგბი

# ჩემი მორაგბე ჩემთან!

## ეროვნული ჩემპიონატი ზაფხულამდე გადაიდო

**არა** და არ დაალგა საშველი ეროვნული ჩემპიონატის დაწყებას. წესით და რიგით ქვეყნის პირველობა კვირას, 6 მაისს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ გუშინ საქართველოს რაგბის კავშირის ოფისში გამართული თათბირის შემდეგ ჩემპიონატის სტარტი სავარაუდოდ 2 ივნისამდე გადაიდო.

პირველი და მთავარი მიზეზი — უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე რამდენიმე კლუბმა ჩემპიონატის დაწყების თარიღის გადადება მოითხოვა. საქმე ის გახლავთ, რომ ახლად შექმნილი საქართველოს 21-წლამდე ნაკრები 25 მაისიდან რუმინეთში გასამართ ახალგაზრდული მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება, მოსამზადებელ შეკრებაზე კი ქართველი ახალგაზრდები ბათუმში 7 მაისს მიემგზავრებიან. ბუნებრივია, ამ პერიოდის განმავლობაში ნაკრებში გამოძახებული მორაგბეები თავიანთ კლუბებს მოაკლდებიან და ვერაფრით დაეხმარებიან ქვეყნის პირველობაზე. „უნივერსიტეტს", „აიას" და „ყოჩებს" სამი და მეტი მორაგბე ჰყავთ მივლინებული 21-წლამდელთა ნაკრებში. საქართველოს რაგბის კავშირის დებულების თანახმად, იმ გუნდებს, რომელთა სამი ან მეტი მორაგბე ნებისმიერი ასაკის ნაკრებშია გამოძახებული, უფლება აქვთ, თავიანთი მატჩების გადადება მოითხოვონ. სწორედ დებულებით მინიჭებული უფლებებით ისარგებლეს ზემოთ ჩამოთვლილმა კლუბებმა და მათი თხოვნაც დაკმაყოფილდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ამ პრობლემების გარეშეც საეჭვო იყო ჩემპიონატის დაწყება. ამჯერად უკვე რაგბის კავშირმა წაუყენა თავისი მოთხოვნები უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე კლუბებს. ქვეყნის პირველი გუნდის ტიტულის მაძიებლებმა — „უნივერსიტეტმა", „დათვებმა", „ლოკომოტივმა", „ყოჩებმა", „აიამ" და ასკ-მ სამონაწილეო განაცხადები კი წარადგინეს, მაგრამ წარდგენაც არის და წარდგენაც. ზოგიერთი მორაგბის გვარი ერთდროულად სხვადასხვა გუნდების განაცხადშია ჩაწერილი. ერთი სიტყვით, სანამ ყველაფერი ბოლომდე არ გაირკვევა და ახალგაზრდული ნაკრები შესარჩევ ტურნირს არ მოილევს (იმედი ვიქონიოთ წარმატებით), მანამდე ეროვნული ჩემპიონატი არ დაიწყება.

თვითონ თათბირი კი საკმაოდ დიდხანს და მწვავე კამათში დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. იქიდან გამოსულ რაგბის კავშირის პრეზიდენტ **ბიძინა გეგიძეს** კომენტარი ვთხოვეთ: „კლუბებმა, რომელთაც მორაგბეები ახალგაზრდულ ნაკრებში ჰყავთ მივლინებული, გვთხოვეს, მატჩები გადაგვიდეთო. ჩვენც დავთანხმდით, ვინაიდან მათ ამის უფლება აქვთ. გარდა ამისა, აქ არის ისეთი საკითხები, რომელთა გაურკვევლობის შემთხვევაში გამორიცხულია ჩემპიონატის ჩატარება. ზოგიერთი კლუბის განაცხადში სულელური შეცდომებია დაშვებული, არ არის მითითებული მორაგბის ასაკი, ამპლუა, მისამართი და ასე შემდეგ. თვითონ ხელმძღვანელთა ფუნქციები შეცდომით არის ჩაწერილი. ვერ გაიგებ, ვინ არის პრეზიდენტი, მწვრთნელი, ექიმი... რამდენჯერმე ერთი მორაგბის გვარი ორი კლუბის განაცხადში გვხვდება. თუ არ გაირკვა, ვინ ვინ არის და ვინ ვისთან ითამაშებს, ჩემპიონატს არ ჩავატარებთ".

თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ საკითხავი ერთია, კი მაგრამ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები რომ მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში მიიღებდა მონაწილეობას, ეს კარგა ხნით ადრე უწყოდა რაგბის კავშირმა, თარიღიც ცნობილი იყო. მართალია, არ იცოდნენ, რომელ მორაგბეებს შეარჩევდნენ მწვრთნელები, არც ის, რომელი კლუბიდან რამდენი მოთამაშე წავიდოდა ნაკრებში, მაგრამ ადრე რომ მოეწვიათ კლუბების ხელმძღვანელები, დამსხდარიყვნენ და საფუძვლიანად ესაუბრათ, ხომ შეიძლებოდა, საქმე აქამდე არ მისულიყო.

სულ სხვაა, თუ განაცხადი არასწორადაა შევსებული. ეს კავშირის ბრალი სულაც არ არის, უფრო კლუბების არაორგანიზებულობის შედეგია. ვერავინ დაგვაჯერეს, რომ ერთი და იგივე მორაგბე ორ გუნდში თამაშზე დათანხმდა, ან კი, აქვს ამის უფლება? ერთი სიტყვით, ჯერ მწვრთნელებმა და მორაგბეებმა არკვიონ, ვინ ვისთან ითამაშებს და დანარჩენს მერე ვნახავთო, თქვა რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ.

**ბაჩო სვანიძე**

ჭადრაკი

ევროპის ქალთა ჩემპიონატი (ვარშავა)

# საზეიმო სტარტის მძაფრი ბოლო

## ნონას ვარშავაშიც მიულოცეს

*„ბოლო ტური არაჩვეულებრივად საზეიმოდ დაიწყო. ჯერ მათ მიულოცეს, ვისაც ჩემპიონატის მსვლელობისას დაბადების დღე ჰქონდა — ასეთი 9 მანდილოსანი გამოდგა — მერე კი ცალკე ნონა ტერენტის ასული გაფრინდაშვილი გამოიძახეს, რომელსაც – ათეული წელი შეუსრულდა და მას მთელი დარბაზი ტაშს უკრავდა, რადგან ნონა გაფრინდაშვილი ეპოქაა ჭადრაკში, თითქმის ყველა იქ მყოფი მოჭადრაკე მის პარტიებზე გაიზარდა. მილოცვები გამორჩეულად თბილი იყო, იუბილარს განსაკუთრებით ადგილობრივი კაზინოს საჩუქარი მოეწონა, რომელშიც ნონა ტერენტის ასულმა არცთუ მცირე დრო გაატარა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეიფორია ჩაცხრა და საათები ჩაირთო. დაიწყო ჩემპიონატის ყველაზე დაძაბული ტური" — ასე ტაქტიანად აღწერს ვარშავაში მყოფი რუსი კომენტატორი ევროპის ქალთა პირველობის ბოლო ტურის პროლოგს.*

მერე კი იყო ფრთხილი სისხლისღვრა ლიდერთა შორის ღლევანდელი კვერცხისა და ხვალინდელი ქათმის გასაყარზე. კვერცხი გახლდათ ადგილი 29 საუკეთესოში, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს იძლეოდა და მოწინავე ოცეულის ყოველ წევრს ყაიმიც ჰყოფნიდა ამ მიზნის მისაღწევად. მოჭადრაკეთა სიფრთხილეც ამან განაპირობა, მაგრამ დიდ ცდუნებას აღძრავდა ქათამიც: ევროპის ჩემპიონის ტიტული, ამისთვის კი ცხრილის თავში მოხვედრა იყო საჭირო, ერთ-ერთ ლიდერად, რათა მერე პლეი ოფში გარკვეულიყო ჩემპიონის ვინაობა.

პლეი ოფების დრო უკვე დადგა. მათში, ვინც 8 ქულა დააგროვა და ჩემპიონის ტიტულზე ფიქრობს, ქეთევან არახამია-გრანტიც ურევია. მისი რისხვა ბოლო ტურში ჰოლანდიის სახელით მოთამაშე ჩინელ ყაოკინ პენგს დაატყდა, რომელსაც ქართველმა თეთრებით მოუგო. სასინელი სტარტის შემდეგ ბოლო ტურები თავის ბენეფისად აქცია ალისა გალიამოვა-ივანჩუკმა. მსოფლიო პირველობის ექსპრეტენდენტი ფინიშზე ძნელი ამოცანის პირისპირ იდგა: შავებით უნდა მოეგო კარგა ხანს ლიდერად მავალ ინა გაპონენკოსთვის. პარტია სანახაობრივი იყო. გალიამოვამ პაიკი შესწირა, მერე ფიგურა, მერე გაპონენკომ აქეთ შემოსწირა ხარისხი და პაიკი, ხოლო ცეიტნოტის შედეგად გალიამოვა ზედმეტი ფიგურით დარჩა და მოიგო. გალიამოვა პლეი ოფში გავიდა, ხოლო სხვა ფინალისტები არიან: მოლდოველი ალმირა სკრიპჩენკო-ლოტიე, რუსები ეკატერინა კოვალევსკაია და ტატიანა სტეპოვაია-დიანჩენკო, რუმინელი კრისტინა ადელა ფოიშორი და იუგოსლაველი ნატაშა ბოიკოვიჩი. ამათგან არახამიას პირველ მეტოქედ სტეპოვაია-დიანჩენკო ერგო, ხოლო მომდევნო ეტაპზე უშრომლად სკრიპჩენკო-ლოტიე გავიდა, რახან პლეი ოფს 7 მოჭადრაკე თამაშობს და კენჭისყრით მეტოქე არ შეხვდა.

ნინო ხურციძეც მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს. იგი ბოლო ტურში გერმანელ ელიზაბეტ პეტცთან დაზავდა და 7,5 ქულით მე-8-14 ადგილები გაიყო. ეს ჯგუფიც თავის პლეი ოფს ჩაატარებს ადგილების ზუსტი განაწილებისთვის. ხურციძის პირველი მეტოქე დღეის მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველთა დამწიოკებელი, რუმინელი კორინა პეპტანი გახლა.

7 ქულა მოჭადრაკეთა მთელმა არმიამ დააგროვა და 24-დან ერთი ქართველი ნონა ძაგნიძე გახლავთ. მსოფლიო პირველობის საგზურებისთვისაც პლეი ოფების მოწყობაა დაგეგმილი. ძაგნიძე პირველად პოლონელ მარტა ზელინსკასთან იბრძოლებს. კიდევ ორი ქართული გვარის წაკითხვა შეიძლება 7-ქულიანებში: ქეთევან კახიანი-გერშინსკასი გერმანიიდან და ჰენრიეტა ლაგვილავასი ბელარუსიდან, ხოლო სხვა ქართველებმა ვარშავაში თამაში ასე დაამთავრეს: ანა მათნაძე, სოფო ხუხაშვილი, სოფო ტერელაძე — 6 ქულა; სოფო გვეტაძე, მაია ლომინეიშვილი 5,5; ლელა ჯავახიშვილი, თამარ ხმიადაშვილი 5; ნონა გაფრინდაშვილი 4,5.

**დავით გულუა**

ჰოკეი

NHL. სტენლის თასი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)




სკოტ ნიდერმაიერს გატეხილ ყბას უსინჯავენ

# გატეხილი ყბა

3 მაისი

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| ტორონტო | 2 |
| ნიუ ჯერსი | 2 |

**ტორონტო 3:1 ნიუ ჯერსი (1:0 2:1 0:0)**

1:0 კორსონი 15 (1), 2:0 ბერეზინი 22 (2), 2:1 ელიაში 30 (3), 3:1 სუნდინი 31 (5)

ამ მეტოქეთა წლევანდელ სერიაში თითქოს მათი შარშანდელი დაპირისპირების სურათს ვხედავთ. მაშინაც ოთხი თამაშის შემდეგ ანგარიში 2:2 იყო, თანაც ტორონტომ პირველი და მეოთხე თამაში მოიგო, მაგრამ საქმეში ჩახედული კაცი, რომელიც გულმოდგინედ ადევნებს თვალს საპლეიოფო ბატალიებს, აუცილებლად შეამჩნევდა, რომ შინაარსით ეს ორი სერია ძალიან განსხვავდება. ჯერ სტატისტიკური მონაცემები შევადაროთ. შარშან ტორონტოს ლიდერმა მატს სუნდინმა 6 თამაშში მხოლოდ ერთი შედეგიანი პასი გააკეთა, მისი ტრიოს ანგარიშზე კი მხოლოდ ერთი გოლი იყო. წლეულს 4 თამაშში შვედმა უკვე 3 გოლი და 3 პასი დააგროვა. ბოლო შეხვედრაში გადამწყვეტი, მესამე გოლი ამჯერადაც სუნდინმა შეაგდო. მან საშუალო დისტანციიდან ისე გაგზავნა შაიბა, მარტინ ბროდოს შანსი არ დაუტოვა. მეორე მხრივ, შარშან არნოტ — ელიაშ — სიკორას სამეული შეუდარებელი იყო, წლეულს კი მეტოქე მათ წინააღმდეგ საკმაოდ ეფექტურად იბრძვის. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მთლიანობაში ნიუ ჯერსის არ გამოსდის საფირმო თამაში, რითაც შარშან გუნდმა ტრიუმფს მიაღწია. ეს მეოთხე მატჩმაც ცხადყო. „ეშმაკებს" ხომ სულ ორჯერ-სამჯერ გამოუვიდათ ეგრეთ წოდებული ვერტიკალური შეტევა, როდესაც მეტოქე შაიბის დაკარგვის შემდეგ უკან დახევასაც კი ვერ ასწრებს, იმდენად ელვისებურად ვითარდება კონტრიერიში. როგორც კი ტორონტომ ანგარიში გახსნა, საბოლოოდ დამშვიდდა და მეტოქე კლანჭებში მოიმწყვდია. ეს მასპინძლების ფორვარდთა დამსახურებაა. ისინი შაიბის დაკარგვისთანავე უმალ ბრძოლაში ებმებოდნენ და მეტოქის მცველების საპასუხო შეტევის მცდელობას ძირშივე აუვნებლებდნენ. პირველი და მეორე გოლიც სწორედ ასეთ მომენტებში გავიდა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი მეორე იყო. იანიკ პერომ მოწინააღმდეგეს შაიბა აართვა და ჩინებული პასი გადააწოდა ბერეზინს. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ პროდოს გაუმკლავდა ლამაზად. გარდა ამისა, ტორონტოელებმა პროვოცირებით მიაღწიეს მიზანს — მეტოქე მოთმინებიდან გამოიყვანეს. მართალია, ამის გამო თავიდან რამდენჯერმე უმცირესობაში დარჩნენ, მაგრამ მერე უხეშობაში „ეშმაკებიც" არ ჩამორჩნენ და ბოლო წუთებში უმცირესობაში მყოფებმა მეკარეც კი ვერ შეცვალეს. ერთადერთი, რამაც ტორონტოს გონივრულ თამაშს ჩრდილი მიაყენა, იყო ის, რომ ჩხუბისთავმა ტაი დომიმ თამაშის დასრულებამდე 20 წამით ადრე (!) განზრახ ისე ჩაარტყა სკოტ ნიდერმაიერს სახეში ყვანჯი, რომ გონება დააკარგვინა და საკაცით გასაყვანი შექნა. როგორც მერე გაირკვა, მას ყბა გაუტყდა და მომდევნო თამაშებში გუნდს ვეღარ დაეხმარება, ისევე როგორც თავად დომი. მისმა საქციელმა ბევრს მარტი მაკსორლის უხეშობა გაახსენა. ასე რომ, მას სერიოზული დისკვალიფიკაცია ელის. ჩვენ კი იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალი თამაში მშვიდად ჩაივლის. ყოველ შემთხვევაში, ნიუჯერსელთა კაპიტანმა სკოტ სტივენსმა, რომელიც ყველაზე გაცხარებული ჩანდა, მატჩის შემდეგ ჟურნალისტები დაამშვიდა, არანაირი შურისძიება არ იქნება, მხოლოდ იმაზე ვიზრუნებთ, რომ ჩვენი საუკეთესო ჰოკეი ვაჩვენოთო.

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| სენტ ლუისი | 4 |
| დალასი | 0 |

**სენტ ლუისი 4:1 დალასი (0:0 2:1 2:0)**

1:0 ხავანოვი 30 (2), 2:0 ტკაჩუკი 35 (2), 2:1 ნუინდაიკი 37 (4), 3:1 პრონგერი 57 (1), 4:1 იანგი 59 (4)

როგორც ჩანს, წლევანდელი პლეი ოფი იმით შევა ისტორიაში, რომ დიდი გუნდების ეპოქა დაასრულა. 3 მაისს კიდევ ერთი ელიტის წარმომადგენელი გამოეთიშა ბრძოლას, დალასი. მისმა მთავარმა მწვრთნელმა კენ ჰიჩკოკმა აღიარა: „ამ მოთამაშეთა ჯგუფმა ჩემს თვალწინ განვლო ხანგრძლივი, წარმატებებით აღსავსე გზა, რომელიც დღეს დასრულდა". ძნელია, არ დაეთანხმო მას. ბოლო 4 წლის განმავლობაში დალასმა ჩინებულად ჩაატარა 80-ამდე საპლეიოფო თამაში, ერთი თასი, ერთი ფინალი, ორი ნახევარფინალი... ასეთი რამ სხვამ ვერავინ შეძლო. მაგრამ ოდესმე ყველაფერი მთავრდება და მობერებულმა გუნდმა უფრო ახალგაზრდა, სწრაფ და მობილურ მეტოქეს დაუთმო გზა. მართალია, ტეხასელებმა სერია მშრალი ანგარიშით წააგეს, მაგრამ ყველა თამაშში ბოლომდე იბრძოდნენ. მათ ძალა აღარ ეყოთ, თან ტრავმებმა შეუშალათ ხელი. ეს მათი მარცხის მთავარი მიზეზებია, თუმცა ეგებ სხვა ნაკლებმნიშვნელოვანმა ფაქტორებმაც ითამაშა რაღაც როლი.

როგორც იქნა, სენტ ლუისის მეკარე რომან ტურეკმა აჩვენა ის თამაში, რომელსაც მისგან ელოდნენ. მოსისხლე მტრის, სან ხოსეს დაქცევამ ჩეხს ესოდენ საჭირო თავდაჯერება შეჰმატა. დალასთან დაპირისპირებაში იგი ძალიან საიმედოდ იდგა, კრიტიკულ მომენტებში შეცდომებს არ უშვებდა. მაგალითად, ბოლო მატჩის პირველ პერიოდში, როცა სასოწარკვეთილმა დალასმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა, ვერც მაიკ მოდანომ შეძლო ტურეკის მოტყუება და ვერც დერილ სიდორმა. ერთხელაც ბოლო მესამედში იხსნა გუნდი ტურეკმა, როცა ანგარიში ჯერ კიდევ 2:1 იყო, ბრეტ ჰალი აღმოჩნდა მასთან პირისპირ, მაგრამ მეკარე მისწვდა შაიბას, მერე კი იგი ალექსანდრ ხავანოვმა გამოიტანა კარის ზაზიდან.

გარდა ამისა, სენტ ლუისს ყველა თამაშში ჰყავდა ეგრეთ წოდებული ჯოკერი — პირველ ორში მარტი რიზონერი, რომელმაც ძირითადში ასპარეზობის უფლება ბრწყინვალედ გამოიყენა და კეიტ ტკაჩუკიც კი გამოაღვიძა, მესამე და ალბათ ყველაზე დაძაბულ თამაშში მესამე ტრიო და კერძოდ კორი სტილმანი, ხოლო ბოლო შეხვედრაში ლიდერებმაც გაილაღეს. მხოლოდ დაცვაზე კონცენტრირებულმა კრის პრონგერმაც კი იწყო შეტევებში ჩაბმა და გოლით და პასით გამოირჩა. თავისი შაიბა ტკაჩუკმაც შეაგდო, ხოლო საქმე სკოტ იანგმა დაასრულა პიერ ტარჯონის დახმარებით.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ახალი გუნდი პირველად მოხვდა დასავლეთის ფინალში. სენტ ლუისმა დეტროიტისა და დალასის ჩრდილს თავი დააღწია და ახლა ალბათ კოლორადოს შეეჭიდება.

**სამველ ლარიბიანი**

ბომბარდირები: ფორსბერგი (კოლორადო) 13 (4+9), ჰოლიკი (ნიუ ჯერსი) და ლემიე (პიტსბურგი) 12 (5+7), ჰეიდუკი (კოლორადო); ტარჯონი (სენტ ლუისი) და შატანი (ბუფალო) 12 (3+9), სუნდინი (ტორონტო) 10 (5+5), გომესი, მოგილნი (ორივე ნიუ ჯერსი) და იანგი (სენტ ლუისი) 10 (4+6), დრური (კოლორადო) 9 (6+3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტურზე ერთით მეტი გუნდი იქნება

## სამაგიეროდ, არ იქნებიან მეკობრე, ჩიპო და სხვები

**მარკო პანტანი**, მარიო ჩიპოლინი და ალექს ცულე წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე“ არ გამოვლენ. არა, მათ არც ტრავმა მიუღიათ და არც კარიერა დაუსრულებიათ, უბრალოდ, „ტურის“ ორგანიზატორებმა მათი გუნდები შეჯიბრზე არ მიიწვიეს.

„ტურ დე ფრანსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორმა ჟან-მარი ლებლანმა ოთხშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე ადრე შერჩეულ 16 გუნდს ოთხის ნაცვლად ხუთი დაამატა, რაც მეორე სიურპრიზი იყო. პირველი კი ისაა, რომ „ტურმა“ დიდ სახელებს კარი მიუხურა.

დიდი სახელებიდან, პირველ რიგში, იტალიელი მარკო პანტანია აღსანიშნავი, რომელმაც 1998 წელს დუბლი შეასრულა, ანუ „ჯირო“ და „ტური“ მოიგო, რაც ველოსპორტის ისტორიაში მეტად იშვიათი შემთხვევაა და მხოლოდ უძლიერესთა ხვედრია. თუმცა პანტანი გარკვეული მიზეზების გამო არ მიიწვიეს. „მეკობრე“ იტალიურმა მართლმსაჯულებამ ისე გააწამა დოპინგთან დაკავშირებული საქმეების გარჩევით, რომ ვარჯიშისთვის თითქმის აღარ სცალია. მისი „მერკატონე უნოც“ თავისი ლიდერის მსგავსად ამ სეზონში მეტად უსახურად გამოდის და ჩრდილშია მოქცეული. თანაც „ფლანდრიის ტურზე“ ერთ-ერთ მერკატონეელს, ფაბიანო ფონტანელის ჰემატოკრიტების დონე ზღვრულზე მაღალი აღმოაჩნდა. მართალია, მას ეპო-ს მიღება არ დაუმტკიცდა, მაგრამ... ამასთანავე, ის ფაქტიც გაითვალისწინეთ, რომ შარშანდელი „ჯიროს“ ჩემპიონის, სტეფანო გარძელის „მაპეიში“ გადასვლამ „მერკატონე უნო“ საკმაოდ დაასუსტა. ასე რომ, მისი შეჯიბრის მიღმა დარჩენა ერთი შეხედვით ლოგიკურია, მაგრამ პანტანის არყოფნით „ტურს“ ხიბლი საკმაოდ მოაკლდება.

მარიო ჩიპოლინის საქციელიც, ალბათ, მობეზრდათ „ტურის“ ორგანიზატორებს. სუპერმარიო საფრანგეთში სამის ნაცვლად დიდი-დიდი კვირანახევრით ჩადიოდა, რამდენიმე სპრინტერულ ეტაპს იგებდა, მერე იტყოდა, მთებში ვერ ვივლი, ალპინისტი ხომ არ ვარო და იტალიაში ბრუნდებოდა. ამასთანავე, „ჩიპოს“ გუნდ „საეკოზე“ საზიანოდ იმანაც იმოქმედა, სალვატორე კომესო აკრძალული ნივთიერებებით ვაჭრობაში გაერია. აქედან ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ისეთ „ნამდვილებს“, როგორებიც ლორან დიუფო და პასკალ საჟოლყე... არიან, „ტურზე“ ვერ ვიხილავთ, თორემ ჩიპოლინის დარი პეპლები და კომესოსნაირი გრეგარები მაინც ბევრნი იქნებიან.

რაც შეეხება „ვუელტას“ 1998 წლის გამარჯვებულისა და „ტურის“ 1999 წლის ვიცე-ჩემპიონის, შვეიცარიელი ალექს ცულეს ახალ გერმანულ გუნდს „კოასტს“, ჟან-მარი ლებლანმა განაცხადა, რომ იგი ახალშექმნილია და პელოტონში თავისი ადგილის დასამკვიდრებლად რამდენიმე შედარებით ნაკლებად პრესტიჟულ ტურნირზე უნდა გამოიჩინოს თავი.

„ჩვენ 13 კანდიდატი გვყავდა ბოლო 4 ადგილისთვის: „მერკატონე უნო“, „საეკო“, „კოასტი“, „მერკური“, „ლოტო“, „ესკალტელი“, „ლიკიგასი“, „ვინი კალდიროლა“, „უოლდ ონლაინი“, „ფრანსეზი“, „ბიგმატი“, „კანტინა ტოლო“ და „ალექსია“. ამიტომაც მეტად რთული ამოცანა უნდა გადაგვეწყვიტა. უნდა გაგვეთვალისწინებინა გუნდების გამარჯვებების რაოდენობა, მათი ადგილი ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის კლასიფიკაციაში, მათი მრავალდღიანი რბოლების გამოცდილება, ლიდერების ამჟამინდელი მდგომარეობა, საშუალო ასაკი, ახალგაზრდა მრბოლების აღზრდისადმი დამოკიდებულება და ეთიკა, ანუ დოპინგის საკითხი“ — თქვა ლებლანმა რჩეული გუნდების გამოცხადებაზე.

ისე, სანამ ლებლანი ამ გუნდებს დაასახელებდა, ორ მათგანს „ტურის“ პელოტონში ადგილი, ფაქტობრივად, უკვე განაღდებული ჰქონდა.

სეზონი მშვენივრად დაიწყო ბელგიურმა „ლოტომ“ და თავისი მაღალი კონკურენტუნარიანობაც დაამტკიცა. ამასთანავე, გასათვალისწინებელი იყო ის, რომ „ტური“ სამი დღით ბელგიაშიც გადადიოდა. 9 ივლისის ეტაპი ანტვერპენში სრულდება, სადაც დაიწყება კიდეც 10 ივლისის ეტაპი, რომელიც სერენგში დამთავრდება. 11 ივლისს კი პელოტონი სტარტს უიში აიღებს. შესაბამისად, „ლოტო“ უნდა შერჩეულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ დანიური „ონლაინის“ შედეგები საკმაოდ საშუალოა, წარმოუდგენელი იყო, რომ ჟან-მარი ლებლანს ამ გუნდში გადაბარგებული ლორან ჟალაბერის გარეშე დაეტოვებინა ფრანგი მაყურებელი, რომლისთვისაც „ჟაჟა“ ერთ-ერთი უსაყვარლესი სპორტსმენია.

დარჩენილი ორი ადგილისთვის კი სამი რეალური კანდიდატი იბრძოდა, რადგან დანარჩენები ლებლანის კრიტერიუმებს მთლიანად ვერ აკმაყოფილებდნენ. „ტურის“ დირექტორს აღარ სურდა, აღრინდელივით მიეხურა კარი ბასკური „ესკალტელისთვის“, რომლის სიძლიერეც მრავალდღიანებზე ყველას კარგად მოეხსენება. შესაბამისად, „ტურს“ მიღმა უნდა დარჩენილიყო ერთ-ერთი ფრანგული გუნდი — ან „ბიგმატი“, ან „ფრანსეზი“.

„ამ ორიდან რომელიმეს თამაშგარე მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელი იყო, ამიტომ წლევანდელ „ტურზე“ ოცის ნაცვლად ოცდაერთი გუნდი იქნება. ამ გადაწყვეტილებით ჩვენ ფრანგულ ველოსპორტს დახმარების ხელი გავუწოდეთ“ — განაცხადა ჟან-მარი ლებლანმა.

**გაგი გურული**

**გაგაცნობთ იმ 21 გუნდის სიას თავ-თავიანთი ძირითადი მრბოლებით, რომლებიც 2001 წლის „ტურ დე ფრანსში“ მიიღებენ მონაწილეობას:**

1. პრევუაიანსი (საფრანგეთი) — ანიოლუტო, კირსიპუუ
2. ბონჟური (საფრანგეთი) — რობენი, სიმონი, რუ
3. კოფიდისი (საფრანგეთი) — მილარი, მონკუტიე, მატანი
4. კრედი აგრიკოლი (საფრანგეთი) — ვულიჩი, ოგრედი, ვოიგტი
5. ფესტინა (საფრანგეთი) — კასერო, მორო
6. დელატური (საფრანგეთი) — ალგანი, ბროშარი
7. ფრანსეზი (საფრანგეთი) — დიურანი, მანიენი
8. ბიგმატი (საფრანგეთი) — ელო, კაპელი
9. დომო (ბელგია) — ვაინსტეინსი, მერქსი.
10. ფასა ბორტოლო (იტალია) — კასაგრანდე, რუმსასი, ფრინგო
11. იბანესტო (ესპანეთი) — მანსებო, ხიმენესი
12. კელმე (ესპანეთი) — ბიტერო, ენია
13. ლამპრე (იტალია) — კამენზინდი, სკიანდრი
14. მაპეი (იტალია) — გარძელი, ნარდელო
15. ონსე (ესპანეთი) — ბელოკო, ოლანო
16. რაბობანკი (ჰოლანდია) — დეკერი, ბოგერდი
17. ტელეკომი (გერმანია) — ულრიხი, ზაბელი, ვინოკუროვი
18. პოსტალი (აშშ) — არმსტრონგი, ერასი
19. ონლაინი (დანია) — ჟალაბერი, ჰამბურგერი
20. ესკალტელი (ესპანეთი) — ეჩებერია, დელ ოლმო
21. ლოტო (ბელგია) — ვერბრიუგე, აერტსი






ჟან-მარი ლებლანის სიტყვამ „ტურ დე ფრანსი“ მარკო პანტანის გარეშე დატოვა



მორის გრინი და მასმედია მეგობრები არიან

# მძლეოსნები დიდ პრიზებზე ნადირობას იწყებენ

**6 მაისიდან** პროფესიულ მძლეოსნობაში კულმინაციური მომენტი დგება — რიო დე ჟანეიროში მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) „გრან პრის“ გათამაშებები იწყება. 10 „გრან პრი“ პლუს ფინალი მელბურნში — ასეთი გახლავთ „ოქროს ლიგის“ შემდეგ უმნიშვნელოვანესი ტურნირების სერიის რაოდენობრივი მახასიათებელი. იააფ-ი ატარებს „გრან პრი 2“-საც, მნიშვნელობით მესამე გათამაშებას, რომლის 11-დან 2 ეტაპი უკვე იყო, მაგრამ ელიტარული მძლეოსნებიდან მასში გამოსვლით თითქმის არავინ შეწუხებულა. სხვა საქმეა „გრან პრი“. აქ საპრიზო ფონდი მეტია და რიოში არ ვიცით, მაგრამ იაპონური ოსაკის მეორე ეტაპზე ასპარეზობას აპირებენ ოლიმპიური ჩემპიონები მორის გრინი, სტეისი დრაგილა და შიმონ ციოლკოვსკი პოლონეთიდან. გრინი მორბენალია, დრაგილა — მეჭოკე ქალი, ციოლკოვსკი კი უროს ტყორცნის. „ოსაკის გრან პრის“ შემადგენლობა უფრო სოლიდური უნდა ყოფილიყო, მაგრამ 12 მაისს იქ მონაწილეობაზე უარი თქვეს კუბელმა ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — მოთარჯრბენე ანიერ გარსიამ და სიგრძეზე მხტომელმა ივან პედროსომ. უარის მთქმელი კიდევ ორი კუბელი ასევე ცნობილი მძლეოსანია: გარსიას კოლეგა იოელ ერნანდესი და სიმაღლეზე მხტომელი ქალბატონი იომნეტ კინტერო.

ხოლო რადგან კუბელებს მაჯაგანით ვერ ამოაცალეს უარის ზუსტი მიზეზი, „ოსაკის გრან პრის“ ორგკომიტეტის პრესასთან ურთიერთობის გამგებელმა ოცუში ჰოშირომ ბუნდოვნად განაცხადა, ტრავმა ან კალენდარული პრობლემები უნდა უშლიდეთ ხელსო. გაირკვა, რომ კუბელებს „რიოს გრან პრიზეც“ აუღიათ ხელი, მაგრამ ბრაზილიელებმაც დანამდვილებით ვერ დაადგინეს, რად უარყვეს თავისუფლების კუნძულელებმა ისეთი ტურნირი, სადაც გამოსვლა მხოლოდ სასიკეთოდ წაადგებოდათ.

ამასობაში მორის გრინი ნაყოფიერი სეზონისთვის ყოველმხრივ ემზადება, ბევრს ვარჯიშობს და ჟურნალისტებთან ენაწყლიანობს. ანონსი ამერიკელს დიდებული გამოუვიდა, 100 მეტრზე ჩემი მსოფლიო რეკორდი უნდა დავამხო, ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატს აუცილებლად მოვიგებო და მისთანები. თან ბოლო დროს გრინი კეთილი ნების თამაშებზე გადაირია, რომელიც 29 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით ბრისბენში უნდა შედგეს. 31 აგვისტოს „ოქროს ლიგის“ ბოლო ეტაპია ბერლინში, 50 კილო ოქროს ბედი გადაწყდება, ამ დროს კი გრინი ავსტრალიაში იქნება და პროფესიონალებში არცთუ პოპულარულ შეჯიბრზე ირბენს. ვერ ჯდება ეს ამბავი თანამედროვე ბიზნესის ჩარჩოებში და ახლა იმის მოფიქრებას თქვენ განდობთ, გრინს ვინ და რამდენი გადაუხადა, ასე რომ მოქცეულიყო და მეტიც, შემდეგი თამამი განცხადება გაეკეთებინა: „100 მეტრის მსოფლიოს რეკორდს კეთილი ნების თამაშებზე დავამხობ. ყველაფერი ...თკენ მიდის“.

ბრისბენში არა და უცებ ედმონტონში, მსოფლიოს ჩემპიონატზე სირბილის სურვილი მაიკლ ჯონსონმა გამოთქვა, ვისი ინდივიდუალური კარიერაც უკვე დამთავრდა და საესტაფეტოც მალე უნდა გასრულებულიყო. ჯონსონმა უარი თქვა ამერიკის ჩემპიონატში სირბილზე, მაგრამ გუშინწინ განაცხადა, თუ ნაკრებში მიმიწვევენ, მსოფლიო პირველობაზე ესტაფეტებს ვირბენო. სიტუაცია დელიკატურია — ამერიკის მძლეოსნობის დირექტორთა საბჭოს ბრძანებით, იმ ათლეტს, რომელიც ქვეყნის ჩემპიონატზე არ გამოვა, ნაკრებში მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიიღებენ. ამერიკა ამერიკაა და იქ კანონი კანონია, მაგრამ ჯონსონიც ჯონსონია და ვნახოთ, თავნებობა თუ გაუვა. ოღონდ ეს სხვა ისტორიაა, წერილი კი „იააფ-ის გრან პრის“ თემაზე დაიწერა და მისი განრიგითვე დავამთავროთ.

**დავით გულუა**

**„იააფ-ის გრან პრის“ ეტაპები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | 6 მაისი | რიო დე ჟანეირო |
| 2 | 12 მაისი | ოსაკა |
| 3 | 18 მაისი | დოჰა |
| 4 | 27 მაისი | იუჯინი |
| 5 | 9 ივნისი | პალო ალტო |
| 6 | 11 ივნისი | ათენი |
| 7 | 4 ივლისი | ლოზანა |
| 8 | 9 ივლისი | ნიცა |
| 9 | 17 ივლისი | სტოკჰოლმი |
| 10 | 22 ივლისი | ლონდონი |
| ფინალი | 9 სექტემბერი | მელბურნი |

ელექტრონული ბიბლიოთეკა



REUTERS ტორონტოდან

# თავი ქუდში

იოლია, როცა უკვე ჩემპიონი ხარ. ლენოქს ლუისის წამქცევი და ფედერაციისა (იბფ) და საბჭოს (ვბკ) ჩემპიონი ჰასიმ რაჰმანი კარგი მოკრივიდან ვარსკვლავად იქცა და მშობლიური ბალტიმორის ნამდვილი გმირია. ამიტომაც, მისმა ტყორცნამ გახსნა „ბალტიმორ ორიოლზისა“ და „ნიუ იორკ იანკიზის“ საბეისბოლო მატჩი.



REUTERS ბალტიმორიდან

# კვლავ დომის მუშტი

„ნიუ ჯერსი“ — „ტორონტოს“ მორიგ საპლეიოფო ჯახში კვლავ გაისვარა ხელი „ტორონტოს“ მოჩხუბარმა ტაი დომიმ. ეს დომი ამასწინათ ფილადელფიელ გულშემატკივარს ეჩხუბა, ახლა კი კოლეგას დასცხო შეხვედრის ბოლო წამებზე. საკაცეზე დასვენებულ ნიუჯერსელ სკოტ ნიდერმაიერს თანაგუნდელი პეტრ სიკორა მიაცილებს.



REUTERS ბომბეიდან

# ბორგი ბომბეიში

ბომბეიში რომ ძველ ვარსკვლავთა საქველმოქმედო ტურნირი, „ლეგენდები“ მიმდინარეობს, გუშინაც გაუწყებდით. ოთხდღიან საჩოგბურთო შეჯიბრში ბევრი სასეირო ღონისძიებაცაა ჩართული. ვთქვათ, კედელთან სახალხოდ ვარჯიში, რასაც მშვენივრად ახერხებს ბიორნ ბორგი.

# მელოუნს ხელი ნაუხდა



ხარობს დალასი და მოთქვამს სოლტ ლეიკ სიტი. „დალას მავერიქსმა“ სტუმრად მოუგო გადამწყვეტი საპლეიოფო თამაში „იუტა ჯაზს“ და შემდეგ წრეში „სან ანტონიოს“ შეხვდება. შეხვედრის ანგარიში 84:83 იყო, როცა მასპინძელთა ლეგენდამ, კარლ მელოუნმა ბოლო წამის ტყორცნა ააცილა და ნირწამხდარი გაერიდა იქაურობას. დალასელთა სკამზე კი ზეიმი იყო, მწვრთნელი დონ ნელსონი და ვიჟ მაქსად წოდებული ვერნონ მაქსველი გასახარელს ხარობდნენ.



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

# ტერფი გაჭიმე, მორის!

სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ას მეტრზე რბენაში ამერიკელი მორის გრინი კვლავ სიდნეიშია და კეთილი ნების თამაშების მხარდასაჭერ კამპანიაში მონაწილეობს ტრინიდადელ სპრინტერ ატო ბოლდონთან ერთად. ეს თამაშები ბრისბენში გაიხსნება 29 აგვისტოს. მანამდე კი მორის გრინი მორაგბეთა ვარჯიშობაში ჩაბმულა და დარტყმას სწავლობს. დიდი ვერაფერი მოწაფეა, განა ფეხი ეგრე უნდა გაიქნიოს? ტერფი აუცილებლად უნდა გაჭიმოს.



REUTERS სიდნეიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ იაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge